

საქართველო

ინანტის რეკონსტრუქცია

საერთაშორისო
კერძო
სამართალი

თბილისი 2002

თინათინ ჩიქვანაია

საქართველოს სასაქონლო
რეგისტრაციის ეროვნული
სამსახური
№ 1853

საერთაშორისო
კერძო
სამართალი

გოგაღი ნაწილი

(ღამსმარე სახელმძღვანელო)

პირის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საქონლბიუროს იურიდიულ და საეკონომიკურ სამსახურს
შემოსული № 153
200 წ.

თბილისი 2002

წიგნში განხილულია საერთაშორისო კერძო სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხები. განვიხილავთ სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოცდილება და სასამართლო პრაქტიკა. იგი გარკვეულ დასმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, პრაქტიკოსებს და საერთაშორისო კერძო სამართლით დაინტერესებულ სხვა მკითხველებს.

რედაქტორი: პროფესორი რომან შენგელია



საქართველოს დამოუკიდებლობამ, ქვეყანაში მიმდინარე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეფორმამ, ჩვენი საზოგადოების დია საზოგადოებაში გადასვლამ და ფოკელივე ამის შედეგად სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან კერძო სასიათის ურთიერთობების დამყარებამ და განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სპეციალობებზე. საერთაშორისო კერძო სამართლისა და მისი ცალკეული ნაწილების სწავლების საჭიროება.

საერთაშორისო კერძო სამართლის ცოდნას აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც სტუდენტებისათვის, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ეკონომიკური უწყებების, სამართალდამცავი ორგანოების, განსაკუთრებით სასამართლოს, ნოტარიატის, ადვოკატურის მუშაკებისა და საჩაღხო მეურნეობის სფეროში დასაქმებული იურისტებისათვის.

ამერიკელი მეცნიერის, გ. გუდრიანის სატოვანი გამოთქმით, „იურისპრუდენციაში უმაღლეს მათემატიკად“ წოდებული, ამ თურიდიული დისციპლინის სწავლება გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს გარემოება უპირველესად გამოწვეულია იმით, რომ მისი შესწავლა შეუძლებელია სამართლის ზოგადი თეორიის, შედარებითი სამართლის, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების და, რასაკვირველია, სამოქალაქო (საოჯახო), შრომითი და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცოდნის გარეშე. ამიტომ, როგორც სხვა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, საერთაშორისო კერძო სამართლის სწავლება მეტ ეფექტს იძლევა ამ საგნების ათვისების შემდეგ. ხოლო, იმ ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, რომელთა სასწავლო პროგრამაში აღნიშნული საგნები შეტანილი არ არის, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ საკითხებზე, რომლის ცოდნა აუცილებელია საერთაშორისო კერძო სამართლის შესასწავლად. ასე მაგალითად, მხელია საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ვილაპარაკოთ, თუ რომელი ქვეყნის სამართლით განისაზღვრება ფიზიკური და თურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, თუ სტუდენტს არ განუფარტავთ რაში გამოიხატება უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის არსი, ან შვეხით უცხო ელემენტების მქონე გარიგებებს, ან სანიდოთ

სამართალთან დაკავშირებულ კოლიზიურ საკითხებს და არ ვიცდით, რა არის თვითონ გარიგება, ნიუთხე უფლების წარმოშობა, შეკვლა და შეწყვეტა.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლის მეორე სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მისი საგანი და სახელწოდებაც კი სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, ნაკლებად არის ცნობილი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი მიუკუთვნება ახალშექმნილ იურიდიულ დისციპლინათა რიცხვს, რომელიც, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, სხვადასხვა ქვეყნებში გახული სუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, ხოლო საქართველოში მისი წარმოშობა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას უკავშირდება.

სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო კერძო სამართლის საკნის, წყაროების და სხვა მთელ რიგ პრობლემებზე საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები გაბოთქმული, რისი გაცნობის შესაძლებლობაც სხვა საკითხებთან ერთად აქვთ სტუდენტებს სახელმძღვანელოში. რაც შეეხება სადავო და სადისკუსიო საკითხებს, მათზე უფრო დრმა და ფუნდამენტურ ცოდნას მკითხველი მიიღებს საერთაშორისო კერძო სამართლის იმ მრავალრიცხოვანა ლიტერატურიდან, რომლის გარკვეულ ნაწილებზე მითითებულა წიგნში ამა თუ იმ პრობლემების განხილვის დროს.

საქართველოში საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლას ართულებს ისიც, რომ ვერჯერობით არ არსებობს ამ სასწავლო დისციპლინის სახელმძღვანელო ან სწავლების მეთოდური ხასიათის ლიტერატურა. არ არის გამოცემული საერთაშორისო კერძო სამართლის დოკუმენტების კრებული, რომელშიც შეტანილი იქნება საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში შემავალი ნორმატიული აქტები. ამ სახის კრებულის გამოცემა საგრძნობლად შეუწყობს ხელს საერთაშორისო კერძო სამართლის თეორიული საკითხების დამუშავებისა და გაანალიზების პროცესს.

ეს წიგნი ქართულ ენაზე საერთაშორისო კერძო სამართლის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. ბუნებრივია, ის დახლეულო ვერ იქნება ხარვეზებისაგან.

ავტორი ინტერესით და მადლიერებით მიიღებს მკითხველის ყველა საქმიან შენიშვნასა და მოსაზრებას.

შინაარსი თავი პირველი

საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება, საგანი და სისტემა

წინათქმა	3
§1 საერთაშორისო კერძო სამართლის ძნიშვნელობა	9
§2 საერთაშორისო კერძო სამართლის საგანი	14
1. საერთაშორისო კერძო სამართლის თავისებურებანი.	14
2. დოქტრინა საერთაშორისო კერძო სამართლის საგნის შესახებ.	22
3. შეხედულებანი საერთაშორისო კერძო სამართლის სახელწოდების შესახებ.	26
4. საერთაშორისო კერძო სამართალი და სამოქალაქო სამართალი.	28
5. საერთაშორისო კერძო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში.	29
§3 საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო საჯარო სამართალი.	33
§4 საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერება და სისტემა.	41
§5 საერთაშორისო კერძო სამართლის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების ტენდენციები.	43

თავი მეორე

საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები

§1 საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროთა სახეები.	61
§2 საერთაშორისო ხელშეკრულებები მიდასახელმწიფოებრივ სამართალში	65
§3 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.	68
1. ორმხრივი ხელშეკრულებები.	68
2. მრავალმხრივი ხელშეკრულებები და კონვენციები.	72
3. საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების	

მოშაღება-შემუშავება.....73

§4. შიდაკანონმდებლობა.....79

1. შიდაკანონმდებლობა, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი და არსებითი წყარო.....79

2. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები.....81

3. უცხო ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები.....84

§5 ჩვეულებანი.....92

§6 სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა.....95

თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ

უნიფიცირებული ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1 სამართლებრივი უნიფიკაციის აუცილებლობა და უნიფიცირებული ნორმების სახეები.....98

§2 მატერიალური ნორმების უნიფიკაცია.....100

§3 პროცესუალური ნორმების უნიფიკაცია.....101

§4 რეკომენდაციული სასიათის უნიფიცირებული ნორმები.....102

§5 უნიფიცირებული ნორმების სამართლებრივი ბუნება.....103

თ ა ვ ი მ ე ო თ ს ე

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და რეგულირების მეთოდები

§1 რეგულირების კოლიზიური და მატერიალურ-სამართლებრივი მეთოდი. კოლიზიური ნორმების თავისებურებანი.....106

1. სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური ნორმების ურთიერთდაპირისპირების შემოხვევები.....108

2. მატერიალური ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში.....111

§2 კოლიზიური ნორმების სტრუქტურა.....113

§3 კოლიზიური ნორმის მათითება (მათითებას ფორმულები). 118

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

კოლიზიური ნორმების გამოყენება. ნაცვალებება საერთაშორისო კერძო სამართალში

§1 კოლიზიური ნორმის განმარტება და გამოყენება.....122

§2 უკუმათითება და მათითება შესაძე ქვეყნის სამართალზე.....126

§3 კოლიზიური ნორმის სახეები.....128

§4 ნაცვალებება.....133

§5 საჯარო წესრიგი და საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები.....136

* §6 უპირატესი ხელშეწყობისა და ეროვნული რეჟიმი საერთაშორისო კერძო სამართალში.....139

თ ა ვ ი მ ე ე მ ე ს ე

ფიზიკური პირები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1 აღამანის უფლებები და საერთაშორისო კერძო სამართალი.....142

§2 უცხოელთა სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა.....146

1. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი საკითხები.....146

2. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპები და ვარანტიები საქართველოში.....150

§3 ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში.....156

§4 საქართველოს მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა საზღვარგარეთ.....159

თ ა ვ ი მ ე მ მ ი დ ე

იურიდიული პირები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1 იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.....163

1. იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი საკითხები-----163

• §2 უცხოური იურიდიული პირები საქართველოში-----168

§3 სახელმწიფო - როგორც ქონებრივი ურთიერთობების სუბიექტი-----170

§4 იურიდიული პირების მონაწილეობა საერთაშორისო სამეურნეო საქმიანობაში და მისი სახელმწიფოებრივი კუთვნილების განსაზღვრა-----172

1. საერთაშორისო მონაპოვლებების სახეება-----172

2. იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის აუცილებლობა-----175

3. უცხოური იურიდიული პირების სამართლებრივი კლასიფიკაცია და არჩევა-----177

თავი I

საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება, საგანი და სისტემა

§1 საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელობა

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია სახელმწიფოთა შორის როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობების დამყარება და განვითარება.

ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები, არ შემოსაზღვრება უშუალოდ სახელმწიფოთაშორისა კავშირებით. სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებს, ფორმებსა და მოქალაქეებს შორის მრავალფეროვანი ქონებრივი და არაქონებრივი, კერძო ხასიათის ურთიერთობები ყალიბდება.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესმა, შეუძლებელი გახადა კონკრეტული ქვეყნის დანარჩენი სამყაროსაგან მოწყვეტით და იზოლირებულად არსებობა. ამ მოვლენებმა სახელმწიფოთა მჭიდრო დაახლოება გამოიწვია. სახელმწიფოთა შორის მრავალმხრივი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის უშუალო გამოვლიანების მატყუნებელია.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის შუახანებში, სახელმწიფოებს შორის ძირითადად საგარეო სავაჭრო ურთიერთობები იყო განვითარებული. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკურ ურთიერთობათა სფერო მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოიცვა, როგორც საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, ასევე სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობათა ფართო სფერო, ერთობლივი გამოგონება, პატენტირება, ლიცენზირება, ერთობლივი ამირეწველო საქმიანობა და ერთობლივი საქარმოების შექმნა. ამ ურთიერთობებში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის ვინაიკური და იურიდიული პირები.

სახელმწიფოებსა და ამ სახელმწიფოთა ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის არსებული კავშირურთიერთობები, სახელმწიფოთა

თანაარსებობის ობიექტურ აუცილებლობად და კაცობრიობის განვითარების თანამედროვე უტასის მნიშვნელოვან მოვლენად გვევლინება.

სახელმწიფოთა შორის არსებულ ურთიერთობათა ფართო სპექტრი ქმნის საერთაშორისო სისტემას.

„საერთაშორისო სისტემა, ფართო ვაგებით, მოიცავს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც სახელმწიფოს გარეთ წარმოქმნილი ურთიერთობების კომპონენტებს შეიცავს, განურჩევლად იმისა, აღარებს კონკრეტული ურთიერთობა სამთავრობათაშორის, თუ არასამთავრობათაშორის ხასიათს, მონაწილეობს მასში ფიზიკური თუ იურიდიული პირი, პოლიტიკური პარტია თუ სახელმწიფო, როგორც სვედენური უფლების მატარებელი“¹.

სახელმწიფოთა შორის კავშირურთიერთობების დამყარების აუცილებლობას განაპირობებს ისეთი გლობალური პრობლემები, როგორცაა: მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა, ჩაურევლობის პოლიტიკა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, მსოფლიო ოკეანეების აუ კონსერვაციის ათვისება და მრავალი სხვა.

სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობები, ასევე მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის კონტაქტებს. ეს ვულისხმობს: საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, საერთაშორისო გამოყენების მოწყობას, სპორტული შეჯიბრებების გამართვას, საზღვარგარეთ ცოდნის მიღებას და ვასტროლებს, სამსახურებრივ თუ ოჯახურ მოგზაურობას.

საერთაშორისო კავშირურთიერთობების პროცესში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ურთიერთობები მხოლოდ სახელმწიფოებს შორის არის დამყარებული. საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები კი სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოიშობა.

ურთიერთობები, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფოთა, მთავრობათა შორის მყარდება, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეობს, საჯარო ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებას ემსახურება, საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროს მიეკუთვნება. საერთაშორისო კერძო სამართალში კი შედის კერძო ინტერესებიდან გამომდინარე არასახელმ-

1. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998 წ.

წიფოთაშორისი სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, საკრედიტო, ასევე კერძო ხასიათის პირადი, ჰონებრივი, საოჯახო, შრომითი ურთიერთობების რვეულირება, რომლებშიც შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები და ორგანიზაციები გამოდიან მხარეებად.

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე, ზემოთ აღნიშნული პროცესების გარდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის მიგრაციის მკვეთრი ზრდა.

უკანასკნელ პერიოდში, დასავლეთ ევროპაში მშრომელ ემიგრანტების რიცხვი საგრძობლად გაიზარდა. მიგრაციის ფართო მასშტაბებზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: მაგალითად, ემიგრანტების რიცხვი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან შეადგენს 2.8 მილიონ ადამიანს, იტალიიდან - 10 მილიონს, პოლონეთიდან - 8 მილიონს, პოლანდიიდან - 6 მილიონს. ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული კენის 1991 წლის კონვენციის მონაცემებით, ბოლო 40 წელიწადში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპაში გადასახლებულთა რიცხვმა შეადგინა 12 მილიონი ადამიანი.

კონკრეტული ქვეყნიდან სხვა სახელმწიფოში მიგრაციის შედეგად, ამა თუ იმ ქვეყანაში ყალიბდება დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ უცხოელთა მნიშვნელოვანი ფენა. ეს კი აფენებს უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემას, რასაც ემსახურება საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვადასხვა სახელმწიფოებში ამ კუთხით მიღებული ერთნაირი საკანონმდებლო აქტები.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების გაყვართობისა და გაღრმავების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. საკომუნიკაციო საშუალებების და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეების განვითარებამ გააადვილა სახელმწიფოთაშორისი კავშირები, ხოლო რადიო-ტელევიზიით და ვიდეო გადაცემებით შესაძლებელი გახდა, ინფორმაციული საშუალებების ტრანსნაციონალური სარგებლობა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სფეროში.

სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში უდიდეს როლს ასრულებს სამართლებრივი საშუალებები და მეთოდები. ამდენად, საქართველოსათვის საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელობა უაღრესად აქტუალურია.

საერთაშორისო კერძო სამართლის ინტერესს წარმოადგენს საერთაშორისო სისტემა ვიწრო გაგებით, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს მოიცავს, ე.ი. ურთიერთობებს, რომლის ძირითად სუბიექტებად ფიზიკური და იურიდიული პირები გვევლინება.

საერთაშორისო კერძო სამართალი კოლიზიური ნორმების შემკვობით განსაზღვრავს, საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტების მონაწილეობით წარმოშობილი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის, რომელი ქვეყნის სამართალი იქნეს გამოყენებული. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები კი, ერთი მხრივ კოლიზიური ნორმების ძალით, მეორე მხრივ უშუალოდ, არსებითად არეგულირებენ წარმოშობილ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს.

80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში, გოფილ საბჭოთა კავშირში დაწყებულმა „პერესტროიკის“ პროცესმა, რადიკალური ცვლილებები შეიტანა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და სამშენაო პოლიტიკაში.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან პირდაპირი კავშირურთიერთობების დამყარების ფართო შესაძლებლობა მიუცა.

საქართველოს სამრეწველო და საწარმოო ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებსა და ფიზიკურ პირებთან თავისუფალი საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების დამყარების უფლების მინიჭებამ და საგარეო ვაჭრობაში ფოკუსირებული ბარიერის მოხსნამ, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება გამოიწვია. გაჩნდა საერთაშორისო მასშტაბით სამეურნეო საქმიანობის ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის, არსებული სამეურნეო კავშირების შესწორებისა და მისი კიდევ უფრო გაფართოების ტენდენცია.

საგარეო ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნამ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარებისათვის ხელსაწყო საინვესტიციო კლიმატის შექმნის ამოცანებმა დღის წესრიგში დააყენა ინტეგრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, ახალი სამართლებრივი ფორმების შემუშავებისა და სრულყოფის საკითხები.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის წლებიდან იღებს სათავეს. მისი მნიშვნელობა საქართველოს და საზოგადოებაში გადასვლისთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება მჭიდროდა დაკავშირებული სახელმწიფოთა შორის არსებულ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებთან.

საქართველოსა და მისი ორგანიზაციის მოქმედება, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში გამოძინარეობს ჩვენს კონსტიტუციური განმტკიცებული პრინციპებიდან. საქართველოს ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან სახელმწიფოთა თანასწორობას, სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების აღიარებას, მათ ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ხელშეუხლებლობას და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს ემყარება.

სახელმწიფოთა დამოუკიდებულება საერთაშორისო კერძო სამართალთან, განისაზღვრება ისეთი ძირითადი ფაქტორებით, როგორცაა ზოგადსაკაცობრიო ინტერესების პრიორიტეტის აღიარება, საერთაშორისო ურთიერთობების ჰუმანიზაციის წინა პლანზე წამოწვევა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინება, საერთაშორისო ვალდებულებების კეთილშობილური შესრულება, საერთაშორისო ხელშეკრულებების რაღისა და მნიშვნელობის გაზრდა, ერთიანი ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური მექანიზმის ურთიერთშეხამება, რომლის მიზანია საერთაშორისო ინტეგრაციის მიღწევა.

საერთაშორისო კერძო სამართლის ფორმირების ცენტრში დგას ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები. საქართველო თანამდევრულად იცავს ადამიანის უფლებებს, უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში, უზრუნველყოფს საქართველოსა და უცხოელი მოქალაქეების ქორწინების თავისუფლებას.

ამდომად, საქართველოში მიმდინარეობს საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვისა და მეურნეობრიობის განკეთებისათვის საჭირო და აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და სრულყოფა-დახვეწის პროცესი. საქართველო ერთიანდება საერთაშორისო ორგანიზაციებში და მონაწილეობს მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში. ეს პროცესი შემდგომად და შემდგომი განვითარების სტადიაში იმყოფება. კონსტიტუციური, სახელმწიფოებრივი და

დარგობრივი საკანონმდებლო აქტები სრულ შესაძლებლობას გვაძლევს ვამხედველოთ, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგის შესახებ. ამასთან ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოთ მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებები და მოსაზრებები.

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებში განმტკიცებულია სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესები. მისი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია კანონის უზენაესობა. კანონის როლის ამადლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმების სტაბილურობას სახელმწიფოში.

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანი და აუცილებელია სამართლებრივი ნორმები და მათ შორის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები ხელშისაწვდომი იყოს ყველასათვის. უნდა ხდებოდეს მათი საჯარო პუბლიკაცია. ეს შეეხება როგორც კოლიზურ და მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ამ ხელშეკრულებებში უნიციტირებულ ნორმებს.

მიწერა XX საუკუნე. მოახლოებული მესამე ათასწლეული უნდა განდეს მსოფლიოში სამართლის ზეობისა და ბატონობის ეპოქა. საქართველოსათვის კი - ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისა და სხვადასხვა ქვეყნებთან კავშირურთაგრობების ვალრმეების ხანა. ეს კი განაიწვევს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაუართობებას და შესაბამისად საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელობის ამადლებას.

§2 საერთაშორისო კერძო სამართლის ხვანი.

1. საერთაშორისო კერძო სამართლის თავისებურებანი. საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერებისა და სამართლის დარგის ერთობლიობას. მის არსს რომ ჩავწვდეთ, კვლევის საკითხთან მიმართებით, მიზანშეწონილია დაგადგინოთ საკითხთა და მოვლენათა რომელი ხეურო აინტერესებს მას, როგორია მისი ადვილი სამართლის დარგთა სისტემაში, რეგულირების რა მეთოდებს და საშუალებებს იყენებს იგი.

საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, საუკუნე ნახეუროს ისტორიას ითვლის, მაგრამ მისი ცალკეული ნიშნების ჩამოყალიბება, რომის სამართლიდან დაიწყო. სამართლის კერძო და საჯარო სამართლად დაყოფაც რომის სამართლიდან მომდინარეობს. „რუსტინიანეს დიგესტებში ჩამოყალიბებული კლასიკური დებულება კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯუნის შესახებ (რომ კერძო სამართალი აწესრიგებს კერძო ინტერესებს, საჯარო-საჯარო ინტერესებს), უკვე კარგახანია ვეღარ ხსნის ამ ურთულეს საკითხს, მაგრამ სამართლის ამკვარი სისტემატიზაცია მნიშვნელოვანია და დღემდე გამოიყენება კონტინენტური ევროპის იურიდიულ მეცნიერებაში“¹.

რომაელმა იურისტებმა სამართლებრივი ნორმების ორი სისტემა შექმნეს: მოქალაქეთა ანუ სამოქალაქო სამართალი (jus civile) და ხალხთა სამართალი (jus gentium). ძველ რომში სამართლის სუბიექტები დადოფილი იყო რომის მოქალაქეებად და პერეგრინუსებად. მოქალაქეთა სამართალი მხოლოდ რომის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა². იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ხალხთა სამართალი, ძირითადად რომაელებსა და პერეგრინუსებს, ასევე სხვადასხვა წარმოშობის პერეგრინუსებს შორის საეაჭრო ბრუნვის რეგულირებისათვის იყო განკუთვნილი და არ შეიცავდა საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებს³. განსხვავებული მიპოთუხის თანახმად, საერთაშორისო სამართალი იმ მნიშვნელობით, როგორადაც ის იხმარება ამჟამად, რომაელებისათვის ცნობილი იყო⁴.

უძველესი სამართლის სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადრეულ პერიოდში, ცნებები „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ და „საერთაშორისო კერძო სამართალი“ - არ არსებობს. ეს ცნებები შედარებით გვიან მკვიდრდება.

1. ლადო ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 1997 წ. გვ. 42.

2. ab. M. M. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы - ТИИС 1994-503 с. с. 32.

3. Манделыштам А. Н. Гаагские конференции о кодификации международного частного права. Пр., 1900 Т. 1. 1-4.

4. Грабарь В. Э. Первоначальное значение римского термина jus gentium. Тарту 1966 г. с. 38. იგივე: Римское право в истории международного-правовых учений. Юрьев 1901. с. 193-218.

აღსანიშნავია, რომ საუკუნეების მანძილზე საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ მრავალი თეორია და შეხედულება ჩამოყალიბდა, რომაც ხელი შეუწყო საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებას და მისი თანამედროვე სახით ჩამოყალიბებას. ამიტომ, საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაში დოქტრინის მნიშვნელობაზე არაერთი საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალისტი ამახვილებს ყურადღებას. ამ საკითხების დეტალური განხილვა ხელს შეუწყობს საერთაშორისო კერძო სამართლის არსის უკეთ გარკვევასა და გაანალიზებას. (იხ. §5)

საერთაშორისო კერძო სამართალს, რომელსაც განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს, განსაკუთრებული და გამოჩენილი ადგილი უჭირავს სამართლის დარგებისა და იურადიოლუ მენეჯერებასა სისტემაში. სამართლის ეს დარგი ვარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მისა სპეციფიურობა განპირობებულია იმით, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი დაკავშირებულია სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემასთან. საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულაციების საგანი სცილდება კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებს და მოიცავს უცხო ქვეყნებს.

ამ შეთხვევაში საკითხი ეხება საერთაშორისო ხასიათის ანუ როგორც მას სხვანაირადაც უწოდებენ, „უცხო ელემენტების“ („სავარგო ელემენტების“) მქონე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს (მ. კლერა, ვ. სირო – შეიციარია, ს. პერეტერსკი, ი. ს. კრილოვი, მ. პოვუსლავსკი – რუსეთი)¹. ეს ურთიერთობები ზეუღლებრივი კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებულად რეგულირდებიან. კონკრეტული ქვეყნის ავტორის მიერ წივნის გამოცემა უცხო ქვეყანაში, სხვადასხვა სახის საქონლის ტრანსპორტირება საზღვარგარეთ, ერთობლივი საწარმოების შექმნა, კონკრეტული ქვეყნის მოქალაქის დაქორწინება უცხო ქვეყნის მოქალაქესთან, უცხოეთში შემგვიდროების მალემა, უცხო ელემენტების მქონე ვარიეტები და სხვა მრავალი მსგავსი საკითხი აღის წესრიგში ადგენებს დამატებით პრობლემას. ეს კი განსხვავებულ მდგომარეობას და სპეციალურ გადაწყვეტას მოითხოვს, რისი საჭიროებაც

1. იხ. Keller, M; Sicht K., Allgemeine Lehren des internationalen Privatrechts. Zurich 1986. c. - 86. იხ. Перетерский И. С., Крылов С. Б. Международное частное право 1959 с. 5-19. М. М. Бонуславский. Международное частное право. М. 1988.

არ არსებობს იმ ურთიერთობის რეგულირებისათვის, რომელიც კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს არ სცილდება.

საერთაშორისო კერძო სამართლის ძახანია, სხვა საკითხებთან ერთად, მრავალფეროვანი საგატრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირურობითობებს სამართლებრივი რეგულირება იმ კუთხით, რომელაც საერთაშორისო კერძო სამართალს შეეხება.


საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნორმებს, რომელიც მიმართულია საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტების სამოქალაქო, შრომითი და პროცესუალური უფლებების დასაცავად.

საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულირების სფეროში შედის უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის განსახლერის. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა და პირიქით, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა კერძო ხასიათის პირადი, ქონებრივი და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, უცხო ელემენტების შემცველი შრომითი ურთიერთობები, უცხოური ელემენტების მქონე საგატრო და სხვა სახის ვარიეტები.

გარდა აღნიშნულისა, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში შედის უცხო ელემენტების მქონე სავალუტო, საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო ურთიერთობების რეგულირება¹.

ამრიგად, საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულირების ობიექტს წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ანუ როგორც მას, ასევე უწოდებენ, საერთაშორისო სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, მაგრამ არა ჩვეულებრივი, კერძო სამართლებრივი, არამედ საერთაშორისო ხასიათის მქონე, უცხო ელემენტების შემცველი ურთიერთობები. ვინაიდან, ამ შემთხვევაში ძირითადად გამოიწვ ხაზად გვევლინება უცხოური ელემენტი, მიზანშეწონილია ვაგერკვეთ, რა იგულისხმება ამ ტერმინის შინაარსში. ვერ კიდევ ვასული საუკუნის ბოლოს, პოლანდიელმა იურისტმა ი. ვიტიმ კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სამ ვკუთხად დაჰყო: 1. ეროვნული; 2. შედარებით ინტერნაციონალური (საერთაშორისო), რომელსაც ინტერნაციონალურად მიიჩნევენ ერთი რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო, ხოლო

1. В.П. Звекон. Международное частное право Курс лекций М. 1999 с. 3-4.



ეროვნულად-სხვა სახელმწიფო; 3. აბსოლუტურად ანტიერნაციონალურია, რომელსაც ასეთად მიიხედავს უკლებლივ ყველა სახელმწიფო¹.

ბულგარული იურისტები გ. სტალიევი ამ სამ კატეგორიას შემდეგი სახელწოდებით მოიხსენიებს: 1. ადგილობრივი (შიდა ანუ ეროვნული), რომლის ელემენტები (სუბიექტა, იურიდიული ფაქტი, ობიექტი, უფლებები და მოვალეობები, აქტის განხორციელების ადგილი) დაკავშირებულია მხოლოდ ერთ სახელმწიფოსთან; 2. უცხოური, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახელმწიფოსთან; 3. საერთაშორისო ანუ შერეული, რომელიც ცალკეული ელემენტებით (მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული ფაქტის განხორციელების ადგილი, ობიექტის ადგილმდებარეობა, ვალდებულებათა შესრულება) დაკავშირებულია ერთ ან ძალიან უცხო სახელმწიფოსთან.

საერთაშორისო კერძო სამართალში შედარებით გავრცელებული კონკრეტული მახედავი, კერძო სამართლებრივი ურთიერთობები შიდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებად და უცხოურ ანუ საერთაშორისო სამოქალაქო ურთიერთობებად არის დაყოფილი. ამ თეორიის მიმდევარმა შეზღუდვებით, ანტიერნაციონალური ურთიერთობები, ჩვენი მოსაზრებით, სრულად მართებულია მკარგი ანუ საერთაშორისო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა კატეგორიას მიკუთვნება.

რუსი მეცნიერი მ. ბოგუსლავსკი გამოყოფს ქონებრივ ურთიერთობათა სამ ძირითად ჯგუფს, რომელთაც უცხოური ელემენტები ახასიათებს.

1. ქონებრივი ურთიერთობები, რომელთა სუბიექტად გამოდის მხარე, რომელიც უცხოური ხასიათისაა. ეს შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე და უცხოურმა ორგანიზაციამ. უცხო სახელმწიფოც კი (მაგ. რუსეთის ორგანიზაცია დებს ხელშეკრულებას ინგლისის ფირმასთან საქონლის პარტიის ნაყიდობის შესახებ. უცხოური ელემენტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ხელშეკრულებაში მოხსენიებულს ინგლისური ფირმა).

2. ქონებრივი ურთიერთობები, რომლის ყველა მხარეც კერძოების კონკრეტულ სახელმწიფოს, მაგრამ ობიექტი, მაგ. საქმიანობა, რის გამოც წარმოიშვა შესაბამისი ურთიერთობა, იმყოფება საზღვარგარეთ.

3. ქონებრივი ურთიერთობები, რომელთა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა დაკავშირებულია საზღვარგარეთ მომხდარ იურიდიულ ფაქტთან (მაგ. ზიანის მიყენება საზღვარგარეთ, ხელშეკრულების დადება საზღვარგარეთ)¹.

როგორც ვხედავთ, ბოგუსლავსკი უცხო ელემენტების დახასიათების დროს გამოყოფს მხოლოდ ქონებრივ ურთიერთობებს, მაგრამ საერთაშორისო კერძო სამართალში შედის არაქონებრივი ურთიერთობების რეგულირებაც, რომელთაც ასევე ახასიათებთ უცხოური ელემენტი. კერძო ხასიათის ურთიერთობებში თუნდაც ერთი უცხოური ელემენტის არსებობა (სუბიექტი არის უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობა დაკავშირებულია უცხო ქვეყნის სამართალთან. ობიექტი იმყოფება საზღვარგარეთ. იურიდიული ფაქტი საზღვარგარეთ არის წარმოშობილი.) მიუთითებს იმაზე, რომ ის უცხოური ხასიათისაა და საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს მიეკუთვნება.

იმ მრავალფეროვან საერთაშორისო ხასიათის მქონე კერძო სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, ბუნებრივია, სტირდება სამართლებრივი რეგულირება.

საკუთარი და სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და ორგანიზაციების სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფოები შეიძულებულნი არიან, კოლიზურ სირბულს, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ ამ უცხოური ელემენტების მქონე კერძო ხასიათის ურთიერთობებს რეგულირებისათვის, რომელიც ნორმა იქნეს გამოყენებული, შიდასახელმწიფოებრივი თუ უცხო სახელმწიფოსი. ამასთან დაკავშირებით კი წამოიჭრება საკითხი:

1. რომელი ქვეყნის სასამართლომ განიხილოს საქმე;
 2. რომელი მატერიალური კანონი იქნეს გამოყენებული.
- უცხოური ელემენტების მქონე სამოქალაქო ურთიერთობების რეგულირების საკუთრივობა იმაში გამოიხატება, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის კოლიზური სირმა არ შეიცავს პირდაპირ პასუხს, არსებითად როგორ გადაწყდეს კონკრეტული ურთიერთობა, არამედ,

1. იხ. იმა ი. Le conflit de droit international privé. La Haye (18-90) p. 200-215.
 2. იხ. Ж. Салев. Судность и форумная на международное частное право. с. 19-42

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., перераб. и доп. М. Юристъ 1998-408 с. с. 18.

კოლიზიური ნორმის მართლებითი ნაწილი კოლიზიური კრიტერიუმის საფუძველზე განსაზღვრავს, რომელი კანონი ექვემდებარება გამოცენტრის მოცემულ შემთხვევაში.

„კოლიზია“ (collisio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საპირისპირო მიხედვლებათა შეჯახებას. საერთაშორისო კერძო სამართალში ამ ტერმინის დამკვიდრებას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი ნორმების ურთიერთდაპირისპირება და განსხვავებულობა, რის გამოც იხინა ერთმანეთს უწინააღმდეგებთან.

სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი კოლიზიური ნორმებია, რაც შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ხშირად ერთმანეთსავე განსხვავებულად და ერთი და იგივე ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვნად რეგულირდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც კოლიზიური ნორმის მართლებითი ნაწილი, ასევე ის ნორმა, რომლისკენაც მართებაა მიმართული. ასევე შესაძლებელია, ეს თუ ის ურთიერთობა რიც ქვეყანაში საერთოდ სამართლებრივად მოუწესრიგებელი იყოს ანუ ადგილი ჰქონდეს ნორმაში „სარვეხს“. ეს ფაქტი თანამედროვე სამართალში ბუნებრივ მოვლენად ითვლება და კანონის არასრულყოფილებას ეწოდება აუკიდებლობადაც კი მიიჩნევენ. რადგან სამართალში ყველა ცხოვრებისეული ფაქტის გათვალისწინება, მოსაწყისრიგებელი ურთიერთობათა მრავალფეროვნებიდან გამოსვლიდან, შეუძლებელი ხდება. ამ სარვეხის შექმნას ემსახურება კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპის გამოყენება და სამოსამართლო სამართალი. ისინი საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში შეიძლება ისევე გამოვიყენოთ, როგორც ჩვეულებრივ შიდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

კოლიზიური ნორმების მართლებითი ნაწილის განსხვავებულობის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გილვა-გაყიდვის ხელშეკრულების დროს წარმომადგენელი ურთიერთობების არაერთგვაროვანი მოწესრიგება სხვადასხვა სახელმწიფოში. მთელი რიგი ქვეყნები ამ შემთხვევაში გამოიყენებენ ამ ქვეყნის კანონს, სადაც განმცხადებელი ორგანიზაცია მდებარეობს, ზოგი კი — სადაც მფლობელი ორგანიზაციაა. ზოგიერთი ქვეყანა უპირატესობას ანიჭებს ნაციონალის კონტრაქტის ხელისმოწერის ადგილის კანონს, ზოგან კი ხელშეკრულების პირობების შესრულების ადგილის კანონი გამოიყენება. უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებული კოლიზიური ნორმებით, სახელშეკრულებათა ურთიერთობებიდან

გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა უმეტეს შემთხვევაში, მხარეების მიერ შერჩეული კანონით ხდება. რაც ქვეყნებში მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება დამკვიდრებლის მოქალაქეობის კანონით (Lex patriae). ზოგან კი (ინგლისი, ამერიკა), მემკვიდრეობითი საკითხების რეგულირებისათვის გამოიყენება მემკვიდრის დამტოვებლის უკანასკნელი ადგილსამყოფელი (Lex domicilii).

სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური ნორმათა სხვადასხვაობა სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების პროცესში იწვევს სერიოზულ სირთულეს. საერთაშორისო კერძო სამართალში ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ორი გზა შემუშავდა:

1. ერთგვაროვანი კოლიზიური ნორმების შექმნა ურთიერთობათა გარკვეულ სახეებში და სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ საკითხებზე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება.

2. მატერიალური და პროცესუალური ნორმების უნიფიკაცია.

კოლიზიური ნორმების უნიფიკაციას და მთელი ცივილიზირებული სამყაროსათვის ერთიანი საერთაშორისო კერძო სამართლის კოდექსის შექმნის იდეას, ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ კონფერენციაზე მრავალი მომხრე გამოუჩნდა. მაგრამ ამ იდეის საბოლოო განხორციელება უადრესად რთული პროცესია და იგი მომავლის საქმეა.

საერთაშორისო კერძო სამართალი კოლიზიური ნორმების გარდა, მოიცავს შიდაკანონმდებლობის მატერიალურ ნორმებს, რომლებმაც უშუალოდ კოლიზიური ნორმების გარეშე უნდა დაარეგულიროს უცხოური ელემენტების მქონე კერძო ხასიათის ურთიერთობები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი საერთაშორისო კერძო სამართლის იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიის საგანია.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლის ხფეროში შედის როგორც უცხოური ელემენტების შემცველი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების, ასევე პროცესუალური ხასიათის საკითხების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია უცხოელებისა და უცხოური იურიდიული პირების სამართლებრივი უფლებების დაცვასთან სასამართლო ორგანოებსა და არბიტრაჟში.

1. Лебедев С. П. Унификация правового регулирования международных хозяйственных отношений М. 1979.

სასამართლოებში საერთაშორისო ხასიათის მქონე საქმეთა განხილვა, ჩვეულებრივ სამსახულაქო საქმესთან შედარებით როულია. ამ დროს, დღის წესრიგში დგება სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრის საკითხი, რაც სორციელდება საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპების საფუძველზე. უცხო ელემენტების მქონე საქმეთა განხილვის დროს საჭიროა გამოსაყენებლად შესაფერისი სამართლის შერჩევა, უცხოური სამართლის შინაარსის დადგენა (ეს ამ შემთხვევაში, როდესაც მითითება მიმართულია უცხო ქვეყნის სამართალზე), საზღვარგარეთიდან მტკიცებულებების გამოთხოვა. იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტების დასადგენად, ვარაუბობია გახარკვევად ან დოკუმენტების შეგროვების მიზნით საჭიროა, კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასამართლო მოქმედებათა განხორციელება, სასამართლო აღძრავს შუამდგომლობას უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულებათა წინაშე სამართლებრივი დახმარების შესახებ. უცხო ქვეყნის სამართლის დადგენაში აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე მხარეები.

ამრიგად, საერთაშორისო კერძო სამართალი არის სამართლის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წარმოშობილ უცხო ელემენტების მქონე, კერძო ხასიათის, პირად, ქონებრივ, საოჯახო, შრომით, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა კერძო ხასიათის ურთიერთობების რეგულირებისა და მათი საპროცესო განხილვის წესებს.

საერთაშორისო კერძო სამართალი არის ამ წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც სავალდებულოა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

საერთაშორისო კერძო სამართლის მიზანია საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა ქმედების დარეგულირება.

2. დოქტრინა საერთაშორისო კერძო სამართლის საგნის შესახებ. ვინაიდან, საქართველოში საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც სამართლისა და მეცნიერების დარგი, ჩამოყალიბების პროცესშია, ინტერესს არ აქვსა მოკლებული შევხვით, საერთაშორისო კერძო სამართლის საგნის შესახებ იურიდიულ დოქტრინატურაში არსებულ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შეხედულებებს.

საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინა ამ საკითხის მიმართ არაერთგვაროვანია და მოსფლითში საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალისტთა მიდგომა ამ საკითხის მიმართ განსხვავებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ნაწილის შეხედულებით, საერთაშორისო კერძო სამართალი თავისი შინაარსით კოლიზიურია სამართალითა, ხოლო მისი ნორმა, ეს არის ნორმა ნორმის შესახებ (ა. შაკაროვი). საერთაშორისო კერძო სამართალი მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი) ზოგიერთი ავტორის მიერ დღემდე კონფლიქტური სამართლის სახელწოდებით მოიხსენიება.

ფრანგი იურისტის ბატიფოლის შეხედულებით, საერთაშორისო კერძო სამართალი უნდა ემსახურობოდეს სხვადასხვა იურიდიული სისტემის თანაარსებობას. ბატიფოლი თავის ნაშრომში სცილდება კოლიზიური სამართლის ფარგლებს და გამოადის საერთაშორისო კერძო სამართლის პლურალიზმიდან.

შვეიცარიელი იურისტი პიერ ლალიეცე მიიჩნევს, რომ არ არსებობს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საფუძველი იმისათვის, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი შემოიფარგლოს მხოლოდ კოლიზიური ნორმებით.

რუსული დოქტრინის მიხედვითაც, კოლიზიური სამართალი წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის არსებით, ამასთან, როდეს შემადგენელ ნაწილს მაგრამ საერთაშორისო კერძო სამართალი კოლიზიური ნორმებით არ ამოიწურება. საერთაშორისო კერძო სამართალში აუცილებელია ჩაერთოს ყველა ის ნორმა, რომელიც უცხოური ელემენტების მქონე სამსახულაქო სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ამ ურთიერთობათა რეგულირებისათვის კი შესაძლებელია რამდენიმე მეთოდის გამოყენება, მატერიალურ-სამართლებრივი და კოლიზიური მეთოდი — ეს არის ორი საშუალება უცხო ელემენტების მქონე ურთიერთობების რეგულირებისათვის. გაცილებით ადრე მსგავსი შეხედულება აქვს გამოთქმული რუს მეცნიერებს ი. პერეტრსკოსა და ს. კრილოვს. ისინი შიდა მატერიალურ

1. Batiffol H. Droit international privé T. 1 P. 1. 1970 P. 75

2. Lalive P. Tendence et methodes en droit international privé//Res cours T. 155 (1977-2) p. 33.

3. აბ. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., перераб. и доп. - М. Юристъ 1998 408 с. с. 80-81.

ნორმებს, რაიმდენიც უშუალოდ კოლიზიური ნორმების გამოყენების გარეშე არეგულირებს უცხოური ელემენტების მქონე ურთიერთობებს, საერთაშორისო კერძო სამართალს მიაკუთვნებენ¹. რუსულ დოქტრინაში არის მოსაზრება (დ. ლუნცი), რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შემადგენლობაში მატერიალური ნორმების ჩართვამ შეიძლება საერთაშორისო კერძო სამართალსა და სამოქალაქო სამართალს შორის განსხვავების მოშლა გამოიწვიოს². უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიურობიდან გამომდინარე, არ ერევა შიდა სამართლის სისტემის სხვა ნორმებში, არამედ ინარჩუნებს განკერძოებულ ხასიათს და უცხო ელემენტების მქონე კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებას ემსახურება.

ინვლისელი (ა. დახი, დ. ჩეშირი, პ. ნორტი) და ამერიკელი (დ. ბილი, გ. გულდინი) ავტორების ნაშრომებში, განიხილება როგორც კოლიზიური, ასევე განსჯადობის საკითხები. კერძოდ, წესები სამართლის არჩევის შესახებ, ასევე საკითხი, უცხო ელემენტების მქონე ურთიერთობებთან დაკავშირებული რომელი დაგა განიხილოს ადვილობრივმა და რომელი სხვა ქვეყნის სასამართლომ³.

ფრანგული დოქტრინა (ა. ბატიფოლი, პ. ლაგარდი) საერთაშორისო კერძო სამართალში აერთიანებს მოქალაქეობის შესახებ ნორმებს, სახელმძღვანელო კურსში ტრადიციულად განიხილება უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა, უცხოელთა შემოსვლა და გასვლა საფრანგეთიდან, მათი ქონებრივი და სხვა უფლებები, აგრეთვე კოლიზიური საკითხები და საერთაშორისო განსჯადობა⁴.

გერმანულა იურისტები (დ. რააბი, გ. კეგელი) საერთაშორისო კერძო სამართალს განიხილავენ, როგორც კოლიზიურ სამართალს. ამასთან, კეგელს თავის სახელმძღვანელოში კოლიზიურ საკითხებთან ერთად დანართის სახით შეტანილა აქვს „საერთაშორისო სამოქალაქო

1. იხ. Перетерский И. С., Крылов С. Б. Международное частное право., М., 1940 г.; 2-е изд., испр. и доп. М., 1959.

2. იხ. Луиц А. А. Курс международного частного права: общая часть 1959 с. 1-11.

3. Чешир Д. Норт П. З. Международное частное право. М. 1982 с. 17-20.

4. Batiffol H. Lagarde P. Droit international privé 8 ed. T. 1. P. 1993; 7 ed. T. 2P.

პროცესის“⁵. „საერთაშორისო ექსპროპრიაციის სამართლის“, „საერთაშორისო სავალუტო სამართლის“ პრობლემატური საკითხები⁶.

მ. ისააღს (აღჯირი) შეხედულებით, თანამედროვე პარობებში საერთაშორისო კერძო სამართალი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კოლიზიური სამართლით. მისი აზრით, საერთაშორისო კერძო სამართალი, ეს არის სამართალი, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, დამოუკიდებლად გამოსაყენებელი მეთოდისა. მეთოდი შეიძლება იყოს რამდენიმე, ერთი არ გამოირჩევა მეთოდის არსებობას⁷.

ჩეხა იურისტი პ. კალენსკა, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს შიკუთვნებს როგორც კოლიზიურ სამართალს, ისე მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს⁸. ანალოგიური მიდგომა ახასიათებს ბულგარულ ავტორ გ. კუტიკოვს⁹, ხოლო მეორე ბულგარელი ავტორის ფ. სტალევის მიდგომა საერთაშორისო კერძო სამართლისადმი განსხვავებულია. ის საერთაშორისო კერძო სამართალს განიხილავს, როგორც კოლიზიურ სამართალს¹⁰.

ჩინური დოქტრინისათვისაც დამახასიათებელია აღნიშნული საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა. ჩინეთში არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის ფართო და ვიწრო გაგება. იმ ავტორებს, რომლებიც მხარს უჭერენ საერთაშორისო კერძო სამართლის ფართო გაგებას (იან ხუანგი, რენ ლიმენგი), საერთაშორისო კერძო სამართალში შეაქვთ უცხო ელემენტების მქონე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ყველა შემთხვევა. ზოგი ავტორი (ხუან დე პეი) საერთაშორისო კერძო სამართალს განიხილავს როგორც კოლიზიურ სამართალს და ამით მხარს უჭერს საერთაშორისო კერძო სამართლის ვიწრო გაგებას¹¹.

1. Raape/sturm. Internationales Privatrecht. Bd. I. Allgemeine, Lehren 6 Aufl. 1977 Kegel C. Internationales Privatrecht. Munchen 8 aufl. 1992.

2. იხ. Исмаи М. Международное частное право. / Пер. с фр. М., 1989 Учебник. 3-е издание, переп. и доп. - М. Юристъ 1998-408 с.

3. Kalensky P. treatise of private International Law. Prague 1971.

4. Кутиков В. Международное частное право. София 1976.

5. Сталев Ж. Същност и функции на международното частно право С. 1982 Курс международногo частного права: обща часть, 1959 с. 1-11.

6. М. М. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы - М. ТЕИС 1994-507 с. с. 91.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო კერძო სამართალს გამოვიდა კოლიზიური სამართლის რიგებიდან და მოიცვა საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვანი სფერო, როგორც პირადი, ქონსტრუქციული, საოჯახო, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობები. ამ გარემოებას ხელი შეუწყო სამხრეთი საქმიანობის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის ამაღლებამ, სამართლებრივი ხორძების უნიფიკაციისადმი მიმართულმა სამუშაოებმა და მრავალმა სხვა ფაქტორმა. ასეთ პირობებში საერთაშორისო კერძო სამართლის საგნის შემოზღვევა მხოლოდ კოლიზიური სამართალით, სათანადო კვლევისა და მხედლობის გარეშე დატოვებს თავისი ბუნებით ერთიანი წარმომადგენლობის საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ფართო სფეროს. საერთაშორისო კერძო სამართლის საგანმა უნდა მოიცვას საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ყველა შემთხვევა, რომელთა რეგულირება ხორციელდება კოლიზიური და მატერიალური ნორმების ურთიერთშეხამებით, კოლიზიური და მატერიალური სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით.

3. შეხვედრებიანი საერთაშორისო კერძო სამართლის სახელწოდების შესახებ საერთაშორისო კერძო სამართლის საგანთან არის დაკავშირებული სამართლის ამ დარგის სახელწოდების წარმომადგენლობის თვრიდულ ლიტერატურაში წარმოდგენილია დაახლოებით ოთხივე სახელწოდება („სახელმწიფოთაშორისი კერძო სამართალი“, „საგარეო კერძო სამართალი“, „სახელმწიფო კერძო სამართალი“, „საერთაშორისო სამოქალაქო სამართალი“). თანამედროვე პერიოდის როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო ლიტერატურაში, უმეტესად „საერთაშორისო კერძო სამართლის“ სახელწოდება გავრცელებულია. მისი დამკვიდრება ამერიკელი მეცნიერის ლ. სტორის სახელს უკავშირდება. ვეროპის სახელმწიფოში ამ სახელწოდების საყოველთაო გამოყენება დაიწყო XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან. XX საუკუნიდან კი მას ინგლისურ-ამერიკულ დოქტრინაში ვხვდებით „კონფლიქტურ სამართალს“ და „კოლიზიურ სამართალთა“ ურთოდ. ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის თვრიდულ ლიტერატურაში „საერთაშორისო კერძო სამართლის“ სახელწოდების დამკვიდრებას რუსი მეცნიერის ი. მაკაროვის სახელს უკავშირებენ.

საერთაშორისო კერძო სამართლის დამოუკიდებელი თვრიდული დისციპლინის სახით ჩამოყალიბების პროცესში, საერთაშორისო კერძო სამართლის სახელწოდების სამივე ელემენტი დავის საგანს წარმოადგენდა.

ავტორთა ერთი ნაწილის მტკიცებით, საერთაშორისო კერძო სამართალი არის არა საერთაშორისო, არამედ შიდა სამართალი. სხვა ავტორთა შეხედულებით კი, ეს კერძო სამართალი არ არის. მესამენი მიიჩნევენ, რომ ეს საერთოდ არ არის სამართალი, არამედ ტექნიკური წესებია სამართლის არჩევის შესახებ. ვინაიდან, ბოლო მოსაზრება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და ამ შეხედულებას იხიარებს საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალისტთა უმრავლესობაც, შევხებით მხოლოდ პირველ ორ მოსაზრებას. როგორც აღინიშნა, საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ნორმათა მოქმედების არეალი სცილდება კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს და მოიცავს უცხო ქვეყნის ტერიტორიას. აქედან გამომდინარე, გაბატონებულია კონცეფცია, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი ცალკეული ქვეყნის შიდასამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. რამდენადაც საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებიც, ამდენად, მთლიანად საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები საერთაშორისო მამტაბისა და საერთაშორისო ხასიათს ატარებს.

ი. პერეტერსკი ვერ კიდევ 50-იან წლებში ამჩვილებდა ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში გამოყენებული ტერმინი „საერთაშორისო“ სხვადასხვა შინაარსს შეიცავს. მისი შეხედულებით, საერთაშორისო საჯარო სამართალი წარმოადგენს „საერთაშორისოს“ იმ გაგებით, რომ ის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს ადგენს, ხოლო საერთაშორისო კერძო სამართალში აქვს ის მნიშვნელობა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს პირებს შორის არსებულ ურთიერთობებს არეგულირებს. ამრიგად, პირველ შემთხვევაში ტერმინი „საერთაშორისო“ გამოიყენება „სახელმწიფოთაშორისი“ ურთიერთობების, მეორე შემთხვევაში კი უცხო ელემენტების მქონე კერძო ხასიათის ურთიერთობების რეგულირების მნიშვნელობით.

საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სფეროში გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ფართო ცნება, რომელიც მოიცავს კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ყველა შემთხვევას.

სახელწოდება - „საერთაშორისო კერძო სამართალი“, გამომდინარეობს იმ ურთიერთობათა შინაარსიდან, რომელსაც სამართლის ეს დარგი არეგულირებს. ეს ცნება უკეთ გამოხატავს იმ ურთიერთობათა მოცულობას, რომელიც საერთაშორისო მამულებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოიშობა და დამოუკიდებლობასა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება.

4. საერთაშორისო კერძო სამართალი და სამოქალაქო სამართალი (მოკლე ისტორიული ექსკურსი).

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან ამით განსხვავდება, რომ ისინი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებით არ შემოსაზღვრება. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები კი წარმოიშობა კონკრეტული ქვეყნის შიგნით და მის ტერიტორიას არ სცილდება.

აღსანიშნავია, რომ ათწლეულების მანძილზე „სამოქალაქო სამართალი“ და „კერძო სამართალი“ იდენტური ცნებები იყო. შემდეგში, კერძო სამართლის დარგების (როგორცაა: „საეკონომიკური სამართალი“, „საკონსტიტუციო სამართალი“, „რეკისა და თამასუტის სამართალი“, „შრომის სამართალი“), ცალკე გამოყოფამ შეცვალა ეს შეხედულება. კერძო სამართლის შიგნით უნდა განვასხვავოთ სამოქალაქო სამართალი, როგორც ზოგადი კერძო სამართალი და სხვა სპეციალური დარგები, მათ შორის მეწარმეთა სამართალი, ინტელექტუალური სამართალი, შრომის სამართალი და ა.შ.

სამოქალაქო სამართალი განსაზღვრავს ისეთ ფუნქციონალურ დებულებებს, რომელიც კერძო სამართლის დარგში, მათ შორის საერთაშორისო კერძო სამართალშიც გამოიყენება. მათ რიცხვს მიეკუთვნება უფლებაუნარიანობა, ქმედუნარიანობა, გარიგებები, ხელშეკრულების თავისუფლება, საკუთრების უფლება და მრავალი სხვა. უფრო მეტიც, საერთაშორისო კერძო სამართალი სამოქალაქო ურთიერთობების რეგულირებას ისევე უწყობს ხელს, როგორც სამოქალაქო სამართალი, მაგრამ მისი ნორმები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება უცხოური ვლემენტების

1. ლალო ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომცემლობა „სამართალი“. თბ., 1997 წ. გვ. 42.

არსებობისას. თუ სამოქალაქო სამართალი, ქვეყნის შიგნით, თავისი ნორმების შემწვეობით უშუალოდ და პირდაპირ არეგულირებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, რაც მის სპეციფიურობას განაპირობებს, საჭიროა სპეციალური კოლიზიური ნორმების გამოყენება. რის შემდეგაც ურთიერთობათა საბოლოოდ რეგულირებაში მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ერთდება. ამასთან, რიგი უცხო ელემენტების მქონე კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება ხორციელდება კოლიზიური ნორმების გამოყენების გარეშე უშუალოდ მატერიალური ნორმებით.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი არეგულირებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს ფართო გაგებით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მსოფლიო იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო კერძო სამართლის სახელწოდებასთან ერთად გამოიყენება საერთაშორისო სამოქალაქო სამართლის ცნება.

5. საერთაშორისო კერძო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში. დოქტრინაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო კერძო სამართალი საერთაშორისო სამართლის შემადგენლობაში შედის თუ შედა კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია.

რიგი ავტორების შეხედულებით (ხ. კრილოვი, მ. პერეტერსკი, მ. გრადარი), საერთაშორისო კერძო სამართალი შედის საერთაშორისო სამართლის შემადგენლობაში, ამ სიტყვას ფართო გაგებით. აღნიშნულის საფუძვლად მიიჩნევენ როგორც, საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალს შორის მჭიდრო კავშირურობას, ასევე წყაროსა ერთიანობას. ამ უკანასკნელს გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ შეხედულების მიმდევრები კურადლებას ამახვილებენ მასზე, რომ ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი დავა, კონფლიქტი ცალკეულ პირებს შორის, შეიძლება გადაიზარდოს სახელმწიფოთა შორის კონფლიქტში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სხვა მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების ბუნების განსაზღვრა უნდა მოხდეს მოსაწყისრიგებელი ურთიერთობების ხასიათის

ვათვალისწინებით. იქედან გამომდინარე, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის საგანი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებია, საერთაშორისო კერძო სამართალი შედის შიდა სამოქალაქო სამართალში, ხოლო საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერება წარმოადგენს ერთ-ერთ სამოქალაქო მეცნიერებას (ი. პერეტერსკი). ამ მოსაზრებამ შემდგომი ასახვა ჰპოვა ლ. ლუნცის ნაშრომში. ეს შეხედულება ასევე გაიზიარეს მ. ბრატინსკიმ, ჯ. ეგოროვმა, მ. მაკაროვმა. რუსი მეცნიერებს ა. მოუხანსს თვალსაზრისით, თანამედროვე მსოფლიოში სამართლის ორი სისტემა არსებობს: საერთაშორისო სამართალი და სამართლის ეროვნული სისტემა. საერთაშორისო კერძო სამართალი წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფოს ეროვნული სამართლის სისტემის შემადგენელ ნაწილს¹.

ინტერესს არ იჭნეა მოკლებული, განვიხილოთ მესამე შეხედულება, რომლის თანახმად, საერთაშორისო კერძო სამართლის განსაკუთრებულობა ისეთ ურთიერთობათა რეგულირებაში გამოიხატება, რომელიც ორმაგი ბუნებით ხასიათდება. ეს მოსაზრება, რომელიც თავდაპირველად გამოთქვა ა. მაკაროვმა, შემდგომში დამუშავდა რ. მიულერსონის მიერ. ამ შეხედულების მიხედვით, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებით რეგულირდება არამდლაუფლებრივი ხასიათის საერთაშორისო ურთიერთობები, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. სახელდობრ, ეროვნული სამართლებრივი სისტემისა და საერთაშორისო საჯარო სისტემის განსაზღვრული ნაწილებისაგან. აქედან გამომდინარეობს საერთაშორისო კერძო სამართლის თავისებურებანი, ამ ნორმათა „ორმაგი“ ხასიათი, რომელთაც სამართალში „საკუთარი“ სისტემა არ გააჩნიათ. ამ შეხედულებას იზიარებს მ. ბოგუსლავსკი და მან აახვავა ჰპოვა მისი ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელო კურსისა და სხვა ნაშრომებში „საერთაშორისო კერძო სამართალში, ერთი მხრივ, მოქმედებს საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მეორე მხრივ – სახელმწიფოს შიდასამართლებრივი კატეგორიები (სამოქალაქო, შრომის, საოჯახო, პროცესუალური), რაც შეესაბამებლობას გვამდევს კლასიკური საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერების დარგის კომპლექსურ ხასიათზე, როგორც იურისპრუდენციის ჰიბრიდზე, სამართლებრივი ნორმების კონკლომერატზე“². შემდგომი პერიოდის

საერთაშორისო კერძო სამართლის რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მ. ბოგუსლავსკის მიერ გაზიარებულია გაბატონებული შეხედულება, რომლის თანახმად, საერთაშორისო კერძო სამართალი ყოველი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია. ამასთან ერთად, შეჩარხებულია პოზიცია საერთაშორისო კერძო სამართლის დარგის კომპლექსურობის შესახებ³.

სამართლის დარგის კომპლექსური ხასიათის შესახებ საინტერესო და მისაღები შეხედულებაა გამოთქმული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. კომპლექსურობა დამახასიათებელია მრავალი სფეროსათვის. პრაქტიკულად შეუძლებელია მოვნახოთ სამართლის დარგი, რომელსაც ამგვარი თვისება არ ახასიათებდეს. სამართლის ყველა დარგი, მეცნიერება შეიცავს სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებს. წმინდა სახით სამართლის ნორმა, ამა თუ იმ დარგის მიხედვით, არ არსებობს. ასე მაგალითად, საბინაო სამართალი არის სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, მაგრამ საბინაო სამართლებრივ ნორმათა დიდი უმრავლესობა ადმინისტრაციულ სამართლებრივია. ამიტომ, სამართლის დარგების კომპლექსურ დარგებად დაყოფა იმით, რომ სამართლის სხვადასხვა დარგების ნორმებს შეიცავს, არასწორია⁴. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამს ვ. მაზლინი, რომელიც მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე მნიშვნელოვანი სფეროს გამოჩვენება, რომელშიც სამოქალაქო სამართალი სამართლის სხვა დარგების ნორმებთან კოოპერაციის გარეშე მოქმედებდეს⁵.

სამეურნეო ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციამ, ინტეგრაციის პროცესების განვითარებამ, ტექნიკურმა პროგრესმა თავისებური გავლენა იქონია საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაზე. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაზარდა საერთაშორისო ხელშეკრულებათა რაოდენობა და გავლენა ამ ურთიერთობათა რეგულირებაში. საერთაშორისო ხელშეკრულებები გახდა საქართველოს შიდა კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი. ეს ხელშეკრულებები შიდა

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., перераб. и доп. - М. Юристъ 1998-408 с. с. 28.

2. იხ. ეფრემია „სამართალი“ გლობალური პრობლემა და სამართალი. ლალი ჭანჭყალია, 1992 წ. გვ. 14.

3. იხ. Развитие Советского Гражданского права на современном этапе. Под ред. В. П. Моисилова. М. 1986 г. с. 40.

1. А. П. Мовчан. Воздушное международное право. М. 1980 с. 22.

2. М. М. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы - М. ТЕИС 1994-507 с. с. 3.

კანონმდებლობის სხვა ნორმებთან ერთად წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს. მართალია, საერთაშორისო კერძო სამართალში საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან ერთად მოქმედებს სახელმწიფოს შიდასამართლებრივი კატეგორიები, მაგრამ ამას გამო, საერთაშორისო კერძო სამართალი კომპლექსური დარგი არ შეიძლება იყოს. ის, რომ საერთაშორისო კერძო სამართალში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება კომპლექსური რეგულირება, რომლის დროსაც ურთიერთმოქმედებენ არა მხოლოდ შიდა კანონმდებლობის სისტემის სხვადასხვა სამართლის ნორმები, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმები, ეს ამ დარგის სპეციფიურობიდან გამომდინარეობს. ამის გამო, საერთაშორისო კერძო სამართალი თავისი ბუნებით არ შეიძლება ჩაითვალოს კომპლექსურ დარგად. საერთაშორისო კერძო სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რომლისაც გარკვეული ადგილი უჭირავს სამართლის დარგების სისტემაში და მომიჯნავე სამართლის დარგებთან მჭიდრო კავშირებით ხასიათდება.

საერთაშორისო კერძო სამართლის ყოველი სახელმწიფოს შიდა სამართლებრივ სისტემაში მიუკუთვნებისას, ბუნებრივია, წარმოიჭრება საკითხი: როგორი ადგილი უჭირავს მას ამ სისტემაში და რომელ ნორმებს აერთიანებს იგი. ეს საკითხი შესაძლებელია სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარად იქნეს გადაწყვეტილი. დამახასიათებელი მაგალითი — კოლიზიური ნორმების რეგულაცია საოჯახო სამართალში. იმ ქვეყნებში, სადაც საოჯახო ურთიერთობები სამოქალაქო სამართალით რეგულირდება (გერმანია, შვეიცარია, საქართველო) და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებული კოლიზიები ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს საერთაშორისო კერძო სამართალში, ეს პრობლემა არ წამოიჭრება. ეს საკითხი იდება იმ ქვეყნებში, სადაც საოჯახო სამართალი სამართლის დამოუკიდებელ დარგს (როსეთი, ჩინეთი, ყოფილი სსრკ) წარმოადგენს.

საბჭოთა დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საოჯახო, შრომითი, მიწის და სხვა უცხოური ხასიათის კერძო სამართლებრივი ურთიერთობები, გამოიძინარე იქედან, რომ ყველა ამ ურთიერთობას საერთო ნიშნები ახასიათებს, უნდა დარეგულირდეს საერთაშორისო კერძო სამართლით. ეს ნიშნებია: მხარეთა თანასწორუფლებიანობა, რეგულაციების კოლიზიური მქაილის გამოყენება, ურთიერთობათა პირიპირდაპირი ხასიათი. ამ შეხედულებების მიმდევრებს ასაბუთებენ

საერთაშორისო კერძო სამართლის დამოუკიდებელი დარგის ხასით გამოყოფას და მისთვის სამართლის სისტემაში სათანადო ადგილის მოკუთვნებას. ამ ავტორთა შეხედულებით (ა. ლევიტინი, ლ. ლუნცი, ს. ლებედევი, ვ. მატკევი, მ. ბოგუსლავსკი)¹, საერთაშორისო სამოქალაქო სამართალი (მ. ბოგუსლავსკი მას საერთაშორისო კერძო სამართლის სახელწოდებით მოიხსენიებს) არეგულირებს ისეთი ხასიათის სამოქალაქო ურთიერთობებს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში წარმოიშობა და დამძიმებულია უცხოური ელემენტებით. ამ შეხედულების მიმდევრები არაერთგზის ამხვილებენ კურადლებას იმ ფაქტზე, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის დარგი, მჭიდროდ არის დაკავშირებული და ხშირად გადახლართულია საერთაშორისო სამართალთან. მაგრამ ასეთი კავშირის კონსტანტაცია არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი, თუნდაც „შუთავსებით“, მოკუთვნოთ საერთაშორისო სამართლის შემადგენლობას. სრულიად მართებულად მიუთითებს ს. ლებედევი, რომ თანამედროვე პირობებში ასეთი კავშირები დამახასიათებელია არა მარტო საერთაშორისო კერძო სამართლისათვის, არამედ სხვა დარგებისთვისაც.²

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების შიდა სახელმწიფოებრივი რეგულირების დროს, ჩვენ ვაწყდებით საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობას, რაც განაპირობებს საერთაშორისო კერძო სამართლის მჭიდრო კავშირს საერთაშორისო საჯარო სამართალთან.

§3. საერთაშორისო კერძო სამართალი და საჯარო სამართალი

საერთაშორისო ურთიერთობები, ფართო გაგებით, ისეთი ურთიერთობებია, რომელიც არ არის შემოსაზღვრული კონკრეტული

1. Переверский И.С. Система Международного частного права. с. 27-28. Левития А.Б. К вопросу о предмете Международного частного права общая часть с. Лебедев Г.К. О природе Международного частного права. Матвеев Г.К. Международное частное право. Киев 1985 с. 12.

2. Лебедев Г.К. О природе Международного частного права С. 76.

ქვეყნის ფარგლებით. ეს არის სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ამ სახელმწიფოთა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. რომლებიც შესაბამისად საერთაშორისო საჯარო სამართალითა და საერთაშორისო კერძო სამართალით არის მოწესრიგებული.

საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო საჯარო სამართალი წარმოიშვა რეალურად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი პროცესების განვითარების შედეგად. სამართლის ამ ორ დარგს, ერთმანეთისაგან განმასხვავებელი მრავალი ნიშანი და ამავე დროს, საერთო ნიშნები გააჩნია, რაც მათ შორის მჭიდრო კავშირს განაპირობებს. ერთიცა და მეორეც, როგორც აღინიშნა, არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ მოვლენებს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საჯარო ანუ საერთაშორისო სამართალი დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემაა, ხოლო საერთაშორისო კერძო სამართალი, ვაბატონებული კონცეფციის თანახმად, ცალკეული ქვეყნების შიდასამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. „საერთაშორისო სამართლის ერთერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი „სახელმწიფოთაშორის“ სამართალია. ე.ი. მისი ძირითადი სუბიექტები სახელმწიფოებია. საერთაშორისო სამართლის სპეციფიურობა განაპირობებს სუბიექტის ცნების თავისებურებასაც. „საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობების ისეთ მონაწილეს, რომელიც არამარტო ფლობს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან ერთად, თვითონ ქმნის ამ ნორმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას“¹.

საერთაშორისო საჯარო სამართალში მთავარი ადგილი უკუიარაღს სახელმწიფოთა პილიტატიკურ ურთიერთკავშირებს, შშვილობის დაცვას, საერთაშორისო უსაფრთხოებას, სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, შეიარაღების პრობლემებს. ამასთან, საერთაშორისო საჯარო სამართალში საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის

სამართლებრივი რეგულირების საკითხები დღითი დღე იზრდება. რამაც დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის ფორმირების საკითხი, მაგრამ ეს ურთიერთობები ატარებენ არა კერძო, არამედ სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათს.

საერთაშორისო კერძო სამართალი კი რეგულირდება ურთიერთობათა კანსაკუთრებული ფაქტები, რომლებიც არამალაუფლებრივი ხასიათისაა. ეს არის ძირითადად ქონებრივი ურთიერთობები. ასეთ ურთიერთობებთან ერთად საერთაშორისო ბრუნვის პროცესში წარმოიშობა მასთან დაკავშირებული არაქონებრივი ურთიერთობები (მაგ. საავტორო სამართლის სფეროში, საპატენტო სამართალში), რომლებიც ასევე მხეკუთვნიან საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს.

საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის მთორე განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ საერთაშორისო საჯარო სამართალი არეგულირებს ისეთ სახელმწიფოთაშორის და სამთაურობათაშორისო ურთიერთობებს, რომლის ძირითადი სუბიექტები არიან სუვერენული სახელმწიფოები, ხოლო საერთაშორისო კერძო სამართალი არეგულირებს სხვადასხვა სახელმწიფოების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ანუ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერები და ორგანიზაციები. საერთაშორისო საჯარო სამართლის არატიპური სუბიექტებია ვატიკანი, თავისუფალი ქალაქი.

აღსანიშნავია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება საერთაშორისო სამართლის უფრო ფართო სპექტრში განვრცობის შესახებ, რაც საერთაშორისო სამართლის კონცეფციის განვითარებით და ფიზიკურ პირთა საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტთა ნუსხისადმი მიკუთვნების გზით უნდა მოხდეს. „რადგან პოზიტივისტური თეორია იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, ხოლო ფიზიკური პირი კი — ობიექტი, აღარ შეესაბამება დღევანდელ რეალობას“¹.

1. იხ. გელა ბეჟუაშვილი. თვითგამომკვევის ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპების ურთიერთქმედება. Tasic ქართული სამართლის მომხილველი ეკონომიკური პილიტატიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-გეროპული საკონსტიტუციო ცენტრი. 1998 წ. გვ. 4.

„თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის ძირითად უფლებათა ვისუფლებათა დაცვის რეალური პრაქტიკიდან გამოქდინარე, მათი მოცულობის გაფართოებისა და დაცვის სამართლებრივი მექანიზმისა და პროცედურის გაუმჯობესების ტენდენციების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას რომ ადამიანი იმყოფება საერთაშორისო სამართლის სრულყოფილ სუბიექტის თვისების მოპოვების გზაზე და ამ თვისების მოსაპოვებლად დარჩენილია დამატავრებელი, დასჯენითი უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მიღება“ – შენიშნავს ქართველი მეცნიერი ბ. სავანელი¹.

საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, მაგრამ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოც შეიძლება გამოვიდეს სუბიექტის სახით.

საერთაშორისო ქონებრივი ურთიერთობები, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ჩვეულებრივ, ორ გვერუდად იყოფა: პირველ გვერუდში შედის ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა სუვერენულ სახელმწიფოებს, ასევე სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ, საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში. მეორეა სამართლებრივი ურთიერთობები, რომელშიც სახელმწიფო გამოდის როგორც ერთი მხარე, მეორე მხარე ასეთ სამართლებრივ ურთიერთობებში შეიძლება იყოს უცხოური იურიდიული პირები, საერთაშორისო სამეურნეო, არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული მოქალაქეები.

პირველი რიგის ურთიერთობები რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმებით და ოუმიცა ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული მეორე სახის ურთიერთობებთან, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში არ შედიან. რაც შეეხება მეორე სახის ურთიერთობებს, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საქონლის მიწოდებასთან, სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევასთან და ა.შ.

სახელმწიფო შეიძლება გამოვიდეს სუბიექტის სახით ისეთ ურთიერთობებში, რომელიც დაკავშირებულია სესხთან, იმპორტ-ექსპორტის გამოშვებასთან, რომელიც უცხოელებზე ვაიციდება ასევე, სახელმწიფო შეიძლება გამოვიდეს მხარედ საინვესტიციო და საკონცესიო, აგრეთვე

ისეთ ურთიერთობებში, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთ მოქმედებასთან, საზღვარგარეთ მიწის არენდით აღებასთან ან საცხოვრებელი პინის შექმნასთან და სხვა. ასევე, შესაძლებელია სახელმწიფო გამოვიდეს ბეთალმანი ქონების შემკვიდრედ, რომელიც დარჩა ამ სახელმწიფოს გარდაცვლილ მოქალაქეს საზღვარგარეთ ან ასეთი ქონების შესაკუთრულ ანდერძის საფუძველზე.

მხანაშქონილია შევხებით ქონებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს.

დასავლეთის ქვეყნების დოქტრინის მიხედვით, სახელმწიფო, შეიძლება ითქვას, „ორსახოვანია“. პირველ შემთხვევაში, სახელმწიფო, როგორც ხელისუფლების სუბიექტი, თავისი სუვერენიტეტის ძალით მოქმედებს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, გამოდის, რა ქონებრივ ურთიერთობებში სუბიექტის სახით და დებს გარიგებებს, ის სხვა სახის იურიდიულ პირებს უთანაბრდება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სხვა შეხედულებების მიხედვით, სახელმწიფო ქონებრივი ურთიერთობების სფეროში გამოდის, როგორც სამართლის განსაკუთრებული სუბიექტი. „ავითონ სახელმწიფო განსაზღვრავს, რომელი წარმონაქმნი შეიძლება იყოს იურიდიული პირი. ხოლო იმისათვის, რომ სახელმწიფო აღიჭურვოს იურიდიული პირის უფლებამოსილებით, საჭიროა შესახელმწიფოებრივი ორგანო ან მსოფლიო მთავრობა, რომელიც არ არსებობს“².

ქართველი მეცნიერის ლ. ჭანტურიას მოსაზრებით, ქონებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს მონაწილეობა პაციფიკურობით გამოირჩევა. რადგან ის არის კანონმდებელი, უზენაესი პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი და მეორე მხრივ, ქონებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს, თავისი ამოცანებისა და მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლია თვითონ შექმნას მრავალი იურიდიული პირი, რომლის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს სათანადო კანონმდებლობა განსაზღვრავს³.

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., перераб. и доп. - М. Юристъ 1998. 408 с. с. 28.

2. ლადო ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზეგად ნაწილში. გამოქმედობა „სამართალი“. თბ., 1997 წ. გვ. 277-278.

1. ბიძინა სავანელი. სამართლის იურიდი. თბ., 1997 წ. გვ. 132.

ჭონებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ თანამედროვე დასავლეთის კონცეფციამ გამოსატულება გამოაქვეყნა. ახალ სამოქალაქო კანონმდებლობაში, რომლის მიხედვით სახელმწიფო სამოქალაქო - სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფოს უფლებამოსილებას ამ დროს ასრულებს მისი ორგანოები, სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ. ეს ორგანოები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. ისინი ახორციელებენ სახელმწიფო საქმიანობას კონკრეტულ სფეროში და გამოდიან სახელმწიფოს ხაზელთი ჭონებრივ ურთიერთობებში. ამრიგად, სახელმწიფოთა კავშირი - ეს არის საერთაშორისო, საჯარო სამართლის სფერო, ხოლო სხვადასხვა სახელმწიფოების იურადიულ და ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობები, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროა, როდესაც სახელმწიფოები დებენ ხელშეკრულებას ეკონომიკის, ვაჭრობისა თუ ზღვაოსნობის სფეროში, მათ შორის საერთაშორისო საჯარო სამართლებრივი ურთიერთობები მყარდება. ხოლო, როდესაც კონკრეტული ქვეყნის ვაჭრობისა და სამრეწველო ორგანიზაციები უცხოურ ფირმებთან დებენ საგარეო-ეკონომიკურ ხელშეკრულებებს, ამ დროს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები ყალიბდება¹.

ჯერ კიდევ 1929 წელს, საერთაშორისო მართლმსაჯულების პალატა (საერთაშორისო სასამართლოს წინამორბედი), სერბიისა და ბრაზილიის სესხთან დაკავშირებულ დავაში მიუთითებდა, რომ ყველანაირი ხელშეკრულება, თუ ის არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს ანუ სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს, რომელიმე კერძო სამართალს უნდა დაეკავშირებოდეს.

საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის მესამე სახის განსხვავება ვლინდება რეგულირების წყაროებში. საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებები. საერთაშორისო კერძო სამართალში საერთაშორისო ხელშეკრულებებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ განსხვავებით საჯარო სამართლისაგან, საერთაშორისო კერძო

სამართლის მთავარ წყაროს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად, კონკრეტული ქვეყნის შიდა კანონმდებლობა წარმოადგენს. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროა ასევე სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა და ჩვეულებები. ეს უკანასკნელი, საერთაშორისო სამართლის წყაროდაც გვევლინება.

საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის განსხვავება გამოიხატება ასევე დავების განხილვის წესების სხვადასხვაობაში, სამართალდარღვევის მიმართ სხვადასხვა საჩქიის გამოყენებაში.

მოუხედავად აღნიშნულისა, სამართლის ეს ორი სისტემა მკვეთრად არ არის ერთმანეთისაგან გამოხეული. მათ ნორმებსა და ინსტიტუტებს შორის მჭიდრო კავშირია. ორივე სამართლის ნორმები საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში სამართლებრივი რეგულირებისათვის სათანადო პირობების შექმნას ემსახურება.

საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის კვშირი ყველაზე მეტად ვლინდება იმაში, რომ საერთაშორისო კერძო სამართალში წყაროს სახით გვევლინება ნორმები, რომელიც თავდაპირველად ფორმულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებში და შემდეგ იმპლიმენტირებულია შიდა კანონმდებლობაში. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ უნიფიცირებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები, რომელთა როლი და მნიშვნელობა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გაიზარდა. ხელშეკრულებაში გაერთიანებული ნორმების ნაწილი „ერთობითმსრულებელი“ ხასიათისაა. რიგი კი „თვითმმსრულებელი“ ნორმებია და მათი გამოყენება მხარეების მიერ უშუალოდ და პირდაპირ არის შესაძლებელი.

საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის მჭიდრო კავშირი აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ კონტრაქტების მსაარსი, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტების მიერ გამოიყენება, გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან. ამავე დროს თითოეულ კონტრაქტს დამოუკიდებელი იურიდიული ძალა აქვს.

საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის საერთოა ის, რომ ორივე შემთხვევაში საკითხი ეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, რომელიც სცილდება კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს და უკავშირდება ორ ან მეტ სახელმწიფოს. ამასთან, საერთაშორისო

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник 3-е изд., перераб. и доп. - М. Юристъ 1998-408 с. с. 14.

2. იგივე ვვ. 32-44.

კერძო სამართლის ნორმები არეგულირებენ არა საჯარო სამართლებრივ, არამედ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები საერთაშორისო იმდენად, რამდენადაც უცხო ელემენტებს შეიცავს.

სამართლის ამ ორ სისტემას შორის ურთიერთკავშირი გამოიხატება იმაშიც, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი გამოიყენებს საერთაშორისო სამართლისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ ზოგად პრინციპებს. როგორცაა სახელმწიფო ზუგუნერნიტეტისა და ამუნიტეტის პატივისცემა, შინაგან საქმეებში ჩაურევლობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შიდა ვაჭრობის მონოპოლიის აღიარება, საერთაშორისო ვალდებულებების კეთილშობილური შესრულება. რიგ შემთხვევებში საერთაშორისო კერძო სამართალი და საჯარო სამართალი არეგულირებს ერთსა და იმავე ურთიერთობათა კომპლექსს, მაგრამ ურთიერთობათა მოსაწყისროგებლად იყენებს მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს.

საერთაშორისო კერძო სამართალი, რომელიც საერთაშორისო ხასიათის მქონე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, გამოიყენებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამავე დროს, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ პრინციპებს.

სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო კერძო სამართლის, ასევე საჯარო სამართლის ნორმების გამოყენება, მიმართულია ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირების სამართლებრივ რეგულირებისა და უზრუნველყოფის საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებას. ამასთან, თუ საჯარო სამართალში ზემოთ აღნიშნულ ურთიერთობებთან ერთად მოკავრ ადგილს იკავებს პოლიტიკური ურთიერთობები, საერთაშორისო კერძო სამართალში ანეკდოტური მნიშვნელობა აქვს პირადი, ქონებრივი, საოჯახო და შრომით ურთიერთობების რეგულირება.

საერთაშორისო კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის მიზანი ერთია. ეს არის სწრაფვა მშვიდობისა და თანამშრომლობისაკენ. საერთაშორისო კერძო სამართალში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობათა პუნქტური ბუნება. საერთაშორისო ურთიერთობათა ყურადღების ცენტრშია ადამიანი და მისი ინტერესები.

საქართველოს კონსტიტუციით, ასევე როგორც სხვა მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციებით, უაქვლია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუკვლია და

უცხადი ადამიანური უფლებობა (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7). კონსტიტუციით განმტკიცებული და აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი სათანადო ასახვას პოულობს საერთაშორისო კერძო სამართალში.

§4 საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერება და ხისტემა

საერთაშორისო კერძო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შესწავლას საფუძვლად უდევს საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემა, რომელიც განმტკიცებულია კერძო ხასიათის საკანონმდებლო აქტებში, რამდენადაც საერთაშორისო კერძო სამართლის საგანს კერძო სამართლებრივი ურთიერთობები შეადგენს.

საერთაშორისო კერძო სამართლის საგანი განსაზღვრავს საერთაშორისო კერძო სამართლის, როგორც სასწავლო კურსის და მეცნიერების დარგის სისტემას.

შესასწავლი მასალებისა და საკითხების თანმიმდევრობით დალაგების თვალსაზრისით საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემა ახლოს დგას პანდექტიკური სამართლის სისტემასთან, თუმცა, მთლიანად არ უმთხვევა მას. საერთაშორისო კერძო სამართალში უნდა გამოვყოთ ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი.

საერთაშორისო კერძო სამართლის ზოგადი ნაწილი აერთიანებს იმ ძირითად საკითხებს, რომელიც საერთოა საერთაშორისო კერძო სამართლისათვის და რომლის შესწავლა და ცოდნა აუცილებელია მისი ნორმებისა და ინსტიტუტების ანალიზისათვის.

ზოგადი ნაწილი, იურიდიული დისციპლინისათვის ტრადიციულად მიღებულ საკითხებთან ერთად (საგანი, ხისტემა, წყაროები), შეიცავს თავებს, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო კერძო სამართლისათვის არის დამახასიათებელი. მათ შორის, კოლიზიური ნორმები, კოლიზიური ნორმების სახეები, კოლიზიური ნორმების მოქმედება, განმარტება და გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულაციების მეთოდები, მითითებისა და უკუმიითითების, ნაცვალეების საკითხები, უპირატესი ხელისშეწყობისა და ეროვნული რეგირი, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების მოქმედების შეზღუდვა საჯარო წესრიგის დებულებებით და სხვა.

განსაკუთრებულ ნაწილში განიხილება ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა უცხო ელემენტების მქონე გარეგანი, საწილო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სახელმწიფოებო და კანონისმიერი ურთიერთობები, საოჯახო სამართალი, სამედიკალური სამართალი, განსაკუთრებულ ნაწილს უჭდა მიეკუთვნოთ, აგრეთვე, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობები, საავტორო და საპატენტო სამართალი, შრომითი ურთიერთობები.

საერთაშორისო კერძო სამართლის ბოლო თავში შეისწავლება საერთაშორისო კერძო სამართლის პრაქტისა, სადაც ასევე შედის საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის საკითხები.

საერთაშორისო კერძო სამართლით დაინტერესება და მისი შესწავლა დაკავშირებულია სავაჭრო ოპერაციების ინტენსიურ განვითარებასთან. ამ კუთხით პირველი გამოკვლევები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ჩნდება XIII-XVI საუკუნეებში. საერთაშორისო კერძო სამართლის პრობლემატიკა განსაკუთრებული ყურადღების საგანი ხდება დასავლეთ ევროპის სამოწველო ქვეყნებში (პოლანდია, საფრანგეთი), შოვენიანებით იტალიასა და გერმანიაში. ინგლისსა და ამერიკაში საერთაშორისო კერძო სამართლით დაინტერესება XIX საუკუნიდან იწყება. ამავდროულად ჩნდება რუსეთში საერთაშორისო კერძო სამართლის პირველი მუხლიკაციები.

საბჭოთა კავშირში საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლა 20-30-იან წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან გამოდის ი. პურცხვანკის, ს. რავეინის, ს. კრილოვის და სხვათა საინტერესო ნაშრომები საერთაშორისო კერძო სამართალში. შემდგომ და თანამედროვე პერიოდში გამოცემულია ლ. ლუნცის, ნ. მარსუკას, ნ. სადიკოვის, კ. მატველის, მ. კუნცოვის, ე. პოზდნიაკოვის, მ. ბოგუსლავსკის, ვ.პ. ზეველის და სხვათა ნაშრომები აღნიშნულ სფეროში.

საერთაშორისო კერძო სამართალს ითაქმის გველა სახელმწიფოებში ჯეროვანი ყურადღება ექცევა. ამას ადასტურებს ის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სახელმძღვანელო და სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო კერძო სამართალს.

აღსანიშნავია, ქართველი მეცნიერების ლ. აღუქსიძის, ლ. ჭანტურას, ბ. სავანელის, ა. შავეჩიძის, კ. კორკელიას, ს. გამყრელიძის ნაშრომები საერთაშორისო კერძო სამართლის ცალკეულ საკითხებზე.

§5 საერთაშორისო კერძო სამართლის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების ტენდენციები

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების ფორმირებასა და განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკა. მისი როლი და გავლენა ადრიადაცე მნიშვნელოვანი იყო და არის როგორც იმ ქვეყნებში, სადაც დოქტრინა საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროა, ასევე იქაც, სადაც სამართლის წყაროდ არ არის მიჩნეული. ამიტომ, საჭიროდ ვთვლით, შევეხოთ საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარების გარკვეულ ასპექტებს და საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ სხვადასხვა თეორიებსა და შეხედულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების წარმოშობის, განვითარებისა და შემდგომ ამ სფეროში შესაბამისი თეორიის ჩამოყალიბების ისტორიულ წინაპირობად მიჩნეულია სამი ფაქტორი: პირველი – ერთმანეთისაგან განსხვავებული სამოქალაქო სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოს, შარის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის არსებობა; მეორე – ამ ერთეულების მოსახლეობას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება; მესამე – ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულებში უცხოელთა უფლებების აღიარება¹.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში უცხოელთა არახელსაყრელ სამართლებრივ მდგომარეობაზე მიუთითებს უძველესი მასალები. მაგალითად, მანუს კანონების მიხედვით (სანსკრიტულ ენაზე, მანავადარმამსტრა), უცხოელი უფლებები იყო და ის საზოგადოებრივ იურატიკულ კიბეზე ცხოველებზე დაბლა იდგა.

ძველ რომში, სამართლის სუბიექტები დაყოფილი იყო რომის მოქალაქეებად და პერეგრინუსებად. პერეგრინუსების რიცხვში შედიოდნენ როგორც უცხოელი მოქალაქეები, ასევე პირები, რომელთაც ფართი სამოქალაქო უფლებები არ გააჩნდათ (მათ შორის, რომის პროვინციის მოსახლეობა). რომის მოქალაქეები ექვემდებარებოდნენ Jus civile-ს, ხოლო უცხოელები Jus gentium-ს.

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы. М. ТЕИС 1994-507 с. с. 32.

Jus gentium იყო ხალხთა სამართალი, სამართლის ხორძათა ერთიანი სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი სამართლის ფორმირების ვხით. ის კოლიზიურ ნორმებს არ შეიცავდა.

როგორც ხემათ აღვნიშნეთ (წმ), არის მოსაზრება, რომ *Jus gentium*-ის მთავარი დანიშნულება იყო ნავაჭრო ურთიერთობების რეგულირება. პოლანდელი იურისტის ი. ჟიტის შეხედულებით, ხალხთა შორის მშვიდობიანი ვაჭრობის განვითარებამ წარმოშვა მისი რაციონალური ორგანიზების აუცილებლობა. ამით ჟიტი ხაზს უსვამს საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარების საქმეში ვაჭრობის როლსა და მნიშვნელობას.

გაიუსის, ციცერონისა და ულბიანეს ნაშრომებში დასაბუთებულია ისეთი სამართლის შექმნის იდეა, რომლის ბაზაზედაც შესაძლებელი გახდებოდა ხალხთა შორის კავშირურობის დამყარება.

გაიუსის შეხედულებით, ყველა ხალხი საკუთარ ერთმანეთს სამართალს ექვემდებარება. ნაწილობრივ კი სარგებლობს იმ სამართლებრივი პრინციპებით, რომელიც ყველა ხალხისათვის საერთოა.

ამდენად, ვაჭრობის განვითარება გარკვეულწილად ცვლის სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათს.

საბერძნეთში უცხოელებთან მიმართებაში ჩამოყალიბდა, ვ.წ. სტუმარმასპინძლობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, უცხოელი ადგილობრივი მოქალაქის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა. ამასთან, ქალაქ-სახელმწიფოებს შორის დაღებული ხელშეკრულებებით ბერძენებისათვის შესაძლებელი გახდა *Lex foeni*-ს გამოყენება, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მდებარეობის ადგილის კანონის პრინციპის მოქმედებას.

დასავლეთ ევროპაში საერთაშორისო კერძო სამართლის წარმოშობა უკავშირდება ჩრდილო და ხემა იტალიის ქალაქებს (ბოლონია, მოდენა, ვენეცია, გენუა, პიზა და სსვც) შორის ფართო სავაჭრო კავშირურობის განვითარებას (XIII-XV სს). ამ ქალაქებს ადგილობრივი ჩვეულებების საკუთარ კოდიფიკაციები ჰქონდათ, რომელთაც სტატუტის სახელწოდება მიიღეს. თავდაპირველად თითოეული ქალაქი საკუთარ სამართალს იცნებდა, მაგრამ პრაქტიკული

სამართლებრივი მოღვაწეობის პროცესში ადგილობრივი სასამართლოს სხვა ქალაქის მოსახლეობის მიმართ გამოყენებამ, ერთგვარი წინააღმდეგობა გამოიწვია. იმ დროის იურისტები გამოსვლის მოქმედებას სამართლის განმარტებით და მისი გამოყენებით ცდილობენ. ამ პრობლიდან წარმოიშვა გლოსატორების თეორია. (XIII ს.).

გლოსატორები იურისტინანეს დიგესტებს უკეთებდნენ ხელნაწერ შენიშვნებს, გლოსებს, რომელიც შემდგომში სტატუტების თეორიის წარმოშობას დაელო საფუძვლად. პირველი ასეთი ცნობილი გლოსა შესლევი შინაარსისა: თუ ბოლონიის მცხოვრებელს მიმართ აღძრულია საჩხელი მოღვენამი, ის არ შეიძლება გასამართლდეს მოღენის კანონით, რადგანაც ამ კანონს არ ექვემდებარება.

გერ კიდევ XII საუკუნეში, გლოსატორული სკოლის წარმომადგენელ ალდრიკუსს მიანდა, რომ შრავალი სამართლებრივი წესრიგის არსებობისას, მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მათი გამოყენების საკითხი. ფაქტიურად, ალდრიკუსმა საკითხისადმი ამდგვარი მიდგომით სამართლის არჩევის ავტონომიას ჩაუყარა საფუძველი.

XIV საუკუნიდან გლოსატორებს ცვლიან პოსტგლოსატორები, სამართალკომენტატორები, (ბართოლი 1314-1357 წწ. ბალდი 1327-1400 წწ.). ისინი საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინის ფუძემდებლებად გვევლინებან. პოსტგლოსატორები არ ქმყოფილდებიან მხოლოდ გლოსებით, ახდენენ რომის სამართლის ტექსტების ფართო კომენტირებას. პოსტგლოსატორებმა უფრო მეტად განაერცეს მოძღვრება სტატუტებზე, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლის ფარგლებში სამემკვიდრეო, საოჯახო და დელიქტური სამართლის შემთხვევებს მოიცავდა. მათი თეორია ყველა სტატუტის ხასყებად დაყოფას და შემდგომში მათთვის შესაბამისი კოლიზიური პრინციპის დადგენას ითვალისწინებს, რომლის განსაზღვრა რომის სამოქალაქო სამართლის მატერიალური ნორმების შინაარსიდან გამომდინარე უნდა მოხდეს.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ბართოლი მიხსულია იმ პირველ მეცნიერად, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლის კატეგორიებს აყალიბებს. ის ასევე ცდილობს ჩამოყალიბოს საერთაშორისო კერძო სამართლის ზოგადი ნაწილის სხვა საკითხები.

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы. М. ТЕИС 1994-507 с. с. 33.

2. Jitta J. Questions pratiques de droit international privé. La Haye 1913 vol. p. 30.

ბართოლომეოს მოწაფე ბაღდი, რომელიც ისევე როგორც ბართოლომეოს, საერთაშორისო კერძო სამართლის ბრწყინვალე წარმომადგენლად არის აღიარებული, სტატუტების სამ კონკრეტულ სახეს გამოჰყოფს:

- 1. statuta personalia - პირივნებსაგან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.
- 2. statuta realia - ეს სტატუტა ვრცელდებოდა ერთ ქალაქ-სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ ნივთებზე.
- 3. statuta mixtra - ამ ნაწილში შედიოდა ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.

ბაღდი ასევე ახდენს სტატუტების ერთგვარ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით, ისინი დაყოფილია დასაშვებ და აშკრძალვად შეხლულად და შეღავათიან კანონებად. მისი შეხედულებით, სტატუტების ნაწილი უნდა სარგებლობდეს ექსტერიტორიალური ძალით, ნაწილი კი - მხოლოდ ტერიტორიალურით.

XVI და XVII საუკუნეებში პოსტკლასიკოსების მოძღვრება განვიტარეს ფრანგმა და ჰოლანდიელმა იურისტებმა.

XVI საუკუნის საფრანგეთის პროვინციებში სწავდასწავა სახის ჩვეულებები მოქმედებდა. ამ დროს სამოქალაქო სამართლის არარსებობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა სახელმწიფოთაშორის, არამედ სამხარეო ხასიათის კოლიზიებს.

XVI საუკუნის ფრანგმა იურისტმა შარლ დომენემ (1500-1569 წწ.) ჩამოაყალიბა მხარეთა ნების ავტონომიის თეორია, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილეებს შეეძლოთ გამოყენებინათ ის კანონი, რომელსაც ურთიერთშეთანხმებით თვითონ შეარჩევდნენ. „ნების ავტონომიის“ პრინციპის გამოყენება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა განსახილველი საკითხი: „რეალურ“ ანუ „საჩივთო“ ნივთებს (მაგ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი) თუ „პერსონალურ“ ანუ „პირადს“ (მაგ. პირის ქვადუნარიანობის საკითხი).

XVI საუკუნის მეორე ფრანგი იურისტი ბერტრან დ. არჟანტრე, (1519-1590 წწ.) ცნობდა ე.წ. „შერეული“ სახის ჩვეულებებს, რომელიც ერთდროულად როგორც ნივთებს, ასევე პირებს შეეხებოდა. მან წინა პლანზე წამოსწია ტერიტორიალური პრინციპი, რომელიც უძრავი ნივთის მიმართ ნივთის ადგილმდებარეობის კანონის უპირობო გამოყენებას ითვალისწინებს.

ბერტრან დ. არჟანტრეს ტერიტორიული პრინციპი გამოიყენეს და განავითარეს ჰოლანდიელმა იურისტებმა ულრიკ ვუბერმა (1636-1944 წწ.), პაველ ვუტმა (1613-1667 წ.წ.) და მისმა ვაჟმა იოანეს ვუტმა (1647-1784 წ.წ.).

XVI საუკუნის ჰოლანდიურმა სკოლამ დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაზე. ამ სკოლის წარმომადგენელთა მოსაზრებით, უკლებლივ ყველა სტატუტს ტერიტორიული ხასიათი აქვს და ის უნდა გავრცელდეს ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება. ჰოლანდიური სკოლის წარმომადგენელთა მოძღვრებაში ერთმანეთს ორი პრინციპი დაუპირისპირდა. ბუნებითი სამართლისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის. ჰოლანდიური სკოლის განსაკუთრებულ მიღწევად ითვლება მოძღვრება Comitatus-ზე; ეს მოძღვრება გულისხმობს უცხო ქვეყნის ისეთი კანონების გამოყენებას, რომელიც არ დააზარალებს ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტს და საერთაშორისო პატივისცემას პრინციპებს დაეყრდნობა.

მერიკული დოქტრინის მიხედვით (ეოზეფ სტორი - 1779-1845 წწ.), ყოველი ხალხი საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში სუვერენიტეტითა და იურიდიკით სარგებლობს, რაც ძირითადად და საწყის დებულებას წარმოადგენს. ამ უფლების პირდაპირი შედეგია ის, რომ კანონი ვრცელდება როგორც რეალურ, ასევე პირად საკუთრებაზე და ნებისმიერი პირის მიმართ; ამასთან, ნებისმიერ კონტრაქტსა და აქტზე, რომელიც განხორციელებულია კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს საკუთარი კანონმდებლობის თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოქმედებაზე. კანონისადმი ექსტერიტორიული ძალის მინიჭება უნდა ემყარებოდეს ტერიტორიული ხელისუფლების კეთილ ნებას. ინგლისურ-ამერიკული მოძღვრების მიხედვით, უცხოური კანონის გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ საკითხი ადგილობრივ ფირმებთან დაკავშირებულ საქმიან ურთიერთობებს შეეხება.

გერმანულმა (ფრედრიხ კარლ ფონ სავინი) და იტალიურმა (პასკუალე მანინი) მოძღვრებამ ახალი იმპულსი მისცა საერთაშორისო კერძო სამართლის შემდგომ განვითარებას. სავინომ (1779-1861 წწ.) წამოაყენა ე.წ. „საერთაშორისო სამართლის ერთიანობის“ თეორია, რის საფუძველზედაც განავითარა კოლიზიური მოძღვრება. სავინის შეხედულებით, ყველაწარმო სამართალურთიერთობა თავისი ბუნებით

გარკვეული ტერიტორიიდან გამოქდინარუობს. ამიტომ, საჭიროა ცალკეული სამართალურთიერთობის მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედ სამართლებრივ წესრიგთან კავშირის დადგენა. საფინა გამოდის სამართლებრივი ერთიანობის იდეის არასახელმწიფოებრივი ხასიათიდან. მისი მოახზრებით, თითოეული სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით უნდა გამოიძებნოს ისეთი სამართლებრივი ტერიტორია, რომელსაც ის დაეკუძმდებარება თავისი ბუნებით. ის კონკრეტულა საქმის გარემოებადან და საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან გამოქდინარე, კონკრეტული საქმის შემადგენლობას უხადაკებს შესაბამისი სამართლის ნორმას. საფინა ამით კოლიზიური სამართლის ეროვნულ ხასიათს აწვითარებს.

საფინის შეხედულებით, საერთაშორისო კერძო სამართლის მიზანია კანონებს შორის კოლიზიის შეძთხევევაში, ხხვადასხვა სახელმწიფოს ხასამართლოების მიერ, სამართალურთიერთობის მიმართ ერთნაირი შინაარსის გადაწყვეტილების გამოტანა.

საფინის მოძღვრების თანამჯდრევე კომენტატორები მიიხწევენ, რომ საფინიმ პირველმა მოახდინა საერთაშორისო კერძო სამართლის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათის სინთეზი. საბოლოო ჯამში საფინის შეხედულებებმა მნიშვნელოვანი ვავლება მოახდინეს საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაზე როგორც გერმანიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

პასკუალე მანჩინის (1817-1888 წ.წ.) „ეროვნული თეორიის“ თანახმად, ეროვნულობის პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი პრინციპია. ეროვნულობის კრიტერიუმში (lex patriae) ამ თეორიის მიხედვით, ძირითად დებულებად არის აღიარებული.

მანჩინის შეხედულებით, ეროვნული რეჟიმი გამოიყენება ყოველი პირის მიმართ, მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა. თავდაპირველად, ეროვნულობის ქვეშ ის გულისხმობდა გარკვეული ეროვნებისადმი კუთვნილებას. შემდგომში თავის მიხედვრესთან, ჟ. ლორანსა და ა. ვეისისთან ერთად, მანჩინი ეროვნულობას ხასხელმწიფო კუთვნილების (მაჟალაქეობა, ქვეშევრდომობა) მნიშვნელობით განსაზღვროვს. მანჩინი ეროვნული რეჟიმისადმი გამოჩაქლისის დახეებას შესაძლებლად მიიხწევს, მხოლოდ საჯარო წესრიგთან დაკავშირებულ დებულებებთან მიმართებაში. ასევე, იმ შემთხევეებში, როდესაც „ნების ავტონომიის“ პრინციპიდან გამოქდინარე, გამოიყენებელი ნორმის შერჩევა მხარეთა რებაზე დაძოვილებული.

მანჩინი პირველი იურიისტი, რომელიც ცდილობს საერთაშორისო კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის ერთმანეთისაგან გამოხევეას. რაც ეეიმი, რომელიც მანჩინის თეორიების აქტიური პროპაგანდისტია მანჩინეს, რომ მანჩინის როლი გერმანული კოლიზიური სამართლის განვითარებაში დიდია და საფინის დამასხურებას აღეძატება¹.

საფინის მხგავსად, მანჩინი უცხოური კანონის გამოყენებას საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებად მიიხწევს. ის საერთაშორისო თანხმობისა და ხელშეკრულებების დადების იდეით გამოდის. მან წინა პლანზე წამოსწია საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების უნიფიკაციის იდეა. მისი ინიციატივით, ჯერ კიდევ 1861 წელს იტალიის ხახელმწიფო საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი, უნიფიკაციასთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებების მოხადების შესახებ. ის სათანადო მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის მიხით ევროპის რივ ხახელმწიფოებს ეწვია, მაგრამ მისი მიხია უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამ მარცხისა, მანჩინი აქტიურ მუშაობას ეწეოდა რომის კონფერენციის მოსაწვევად, რომელსაც საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები უნდა განეხილა. მაგრამ კონფერენციის მოწვევაც ვერ მოხერხდა. უნიფიკაციის იდეებმა მოკვიანებით, 1893 წელს ჰააგის კონფერენციაზე ჰპოვა პრაქტიკული განხორციელება. ამ კონფერენციის ინიციატორი და ხელისხამდგმელი იყო პოლანდიელი იურისტი თომას ასერი.

საფინისა და მანჩინის თეორიები საფუძვლად დაედო „უნივერსალისტების“ მოძღვრებას, რომლის მიძღვრები XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოდინ ასპარეზზე.

„უნივერსალისტების“ თეორია (ფიორე, დიენა-იტალია; თ. ასერი-პოლანდია; ვ. ლორანი-ბელგია; ა. ვეისი, ოდინე, სურვილი-საფრანგეთი, ფონ ბარი, ციტელმანი-გერმანია) დაკავშირებულია კოლიზიური ნორმების უნიფიკაციის იდეებთან, რაც შემდეგში პრაქტიკულად ჰააგის მიერ რივ კონვენციებში აისახა.

აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ფრანგმა მეკნიერმა ა. პილემ, კოლიზიური საკითხების გადასაწყვეტად კრიტერიუმის ხახით წინა პლანზე წამოსწია კანონის სოციალური მიზანი.

1. Jayme E. Pasquale Stanislao Mancini: Internationales Privatrecht zwischen Risogrimento und practischer Jurisprudence Meidelberg, 1980.

ა. პილუ ხაზს უსვამს არასრულწლოვანის მიმართ ტერიტორიული კანონის გამოყენების აუცილებლობას, რასაც ის არასრულწლოვანის უფლებების დაცვის გარანტიად მიიჩნევს. პილუს მოსაზრებით, უძრავი ქონება ქვეყნის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა დაექვემდებაროს უძრავი ქონების ადგილსამყოფელი ქვეყნის ანუ იმ ქვეყნის ტერიტორიულ სამართალს, სადაც უძრავი ნივთი მდებარეობს.

„უნივერსალისტების“ საწინააღმდეგო თეორია განვითარეს ე.წ. „პარტიკულარისტებმა“ (ე. ბართენი-საფრანგეთი; ფ. კანი-გერმანია; ანცილოტი-იტალია). ისინი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად, მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების მომხრეებად გამოდიან.

საერთაშორისო კერძო სამართლის შემდგომ განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თომას ასერის (1838-1913 წ.წ.). განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციისა და უნიფიკაციის საქმეში. ამიტომაც უწოდებენ მას საერთაშორისო მასშტაბის საკოდიფიკაციო მოძრაობის არქიტექტორს (კ. ვოსკი).

თომას ასერი, რომლის ძალისხმევითაც მოიწვიეს პაავის 1893 წლის კონფერენცია, განსაკუთრებულად უსვამს ხაზს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენელი კერძო ხასიათის კონფლიქტების მოსაგვარებლად სათანადო გზებისა და საშუალებების გამოძახვის აუცილებლობას, რომლის მიზანია არა სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართლის გაერთიანება, არამედ საერთაშორისო მასშტაბის ურთიერთობათა მოსაწყენებლად ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღება. ამ დროს დაცული უნდა იყოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტიც და ავტონომიის პრინციპებაც.

თეორიული თვალსაზრისით ასერი ტერიტორიული პრინციპის წინააღმდეგია. მისი მოსაზრებით, ყოველი სამართალური თეორია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მიუთითებს იმ კარონზე, რომელსაც ის ექვემდებარება. საერთაშორისო პრინციპების დაცვით, ეს კარონი უნდა იქნეს გამოყენებული მიუხედავად იმისა, მივსახელმწიფოებრივია ის თუ უცხო სახელმწიფოსი. ასერი მიიჩნევს, რომ აქტი თუ სამართალური თეორიისა, მოქალაქეობა თუ დომაცილია, სახელმწიფოებრივ ვალდებულებებში აქტივს დადებს თუ მისი შესრულების ადგილი და ასევე სხვა მთელი რივი გარემოებები, უნდა ემსახურებოდეს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრას და გამოდიდეს კრიტერიუმის სახელი.

ასერის შეხედულებით, საერთაშორისო ხასიათის მქონე კერძო ურთიერთობების მოსაწყენებლად უნდა გამოიძებნოს და შემუშავდეს რაც შეიძლება სამართლიანი პრინციპები. ის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების გადაწყვეტის მიმართ, არაერთგვაროვან მიდგომას და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების არარსებობის შესახებვევაში, დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენებას უჭერს მხარს.

საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსეთისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო კერძო სამართლის ხელმძღვანელებმა.

რევოლუციამდელ რუსეთში, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა კ. მალიშევის, ი. ივანოვის, დ. მარტენსის, პ. კაზანსკის, პ. პილუკოს, მ. ბრუნოს, ვ. პოლდეს ნაშრომები.

რუსული დოქტრინის მიხედვით (ი. ივანოვი), კონკრეტული სახელმწიფოს მიერ უცხოური კანონის გამოყენება სასამართლო შეხედულებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ. სასამართლო ვალდებულება იმოქმედოს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც თვითონ ითვალისწინებს უცხოური კანონის გამოყენებას. რუსული დოქტრინა საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში წამოჭრილი რთული და დახლართული მდგომარეობიდან გამოსვალს, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების განვითარებაში ხელაგს. სახელმწიფოებმა ერთიანი მოქმედებითა და შეთანხმებით უნდა გადაწყვიტონ სახელმწიფოთაშორისი საკითხები. როგორც კი სახელმწიფო გახდება საერთაშორისო ურთიერთობების წევრი, საერთაშორისო კერძო სამართალი ამ ქვეყანაში იწყებს მოქმედებას, როგორც ტერიტორიული სამართალი, დამოუკიდებლად რაიმე რეცეფციისა, ამასთან, საერთაშორისო კერძო სამართალი წყვეტს მოქმედებას, როდესაც ის დაარღვევს ქვეყნის საჯარო წესრიგს. სასამართლოს არ შეუძლია ცნოს და დიციკას ასეთი სამართალი (ფ. მარტენსი). რუსი მეცნიერები საერთაშორისო კერძო სამართალში აერთიანებენ არა მარტო კოლიზიურ, არამედ მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს. საერთაშორისო კერძო სამართლის დანიშნულებაა მხოლოდ სამოქალაქო ბრუნვის განვითარებისათვის სათანადო სამართლებრივ პირობების შექმნა, რომლის დროსაც

უსწორებელი ფიქლები იქნება ყოველი პირის სამართლებრივი დაცვა. საერთაშორისო კერძო სამართალმა უნდა განსაზღვროს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის რომელი სამართალი ექნეს გამოყენებული.

XX საუკუნის დასაწყისში ვრძელდება „უნივერსალისტებისა“ და „არტიკულარისტების“ შეხვედრებათა შემდგომი განვითარება და სრულყოფა. ამჯეროდ, ყალიბდება ახალი თეორიები და მოძღვრებანი, რომელთა წარმოშობას განაპირობებს სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისა და ინტერკონტინენტის პროცესები და ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ამაღლება და ვაჭრობის განვითარება. ამ პერიოდის დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ავტორები (მ. ვილჟა, დ. ჰემსრი, დ. რაბა, ა. შილტცერი), თავიანთ სახელმძღვანელო მასალებში საერთაშორისო კერძო სამართალს განსაზღვრებენ, როგორც ფაქტური ქვეყნის შიდა კანონმდებლობას. ამავე დროს, რიგი ავტორთა შეხედულებით, კლასიკურ ჩორმათა სისტემატიზაცია უნდა მოხდეს კმარადი გზით. ყოველგვარი სახელმძღვანელო პრინციპებისა და იდეების გარეშე, ვ. რაბელი, ა. შილტცერი და სხვები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოებისათვის არ არსებობს კოლიზიური საკითხების გადაწყვეტის ერთგვაროვანი სავალდებულო წესები, მაგრამ არსებობს ზოგადად შემუშავებული თეორიული და პრაქტიკული მეთოდი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს კანონის საფუძველზე კონკრეტული ფაქტორთა შერადგენილობის მიხედვით, რომელთაც ამ შესაძლებლობას ყველაზე მეტად კავშირი აქვს.

ამავე პერიოდის მთელი რიგი გამოჩენილი იურისტები ეჭვად ეჭვანობენ საერთაშორისო კერძო სამართლის ზოგადი დებულებების მიხედვით.

ცნობილი ფრანგი იურისტი და საერთაშორისო კერძო სამართლის გამოჩენილი სპეციალისტი ა. ბატიფოლი თვლის, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი იურიდიული სისტემების თანაარსებობას უნდა ემსახურებოდეს. ის თავის ნაშრომში, ისევე როგორც სხვა მთელი რიგი ავტორები, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას საერთაშორისო ხელშეკრულებებს ანიჭებს.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ავტორთა ნაშრომებში ვრძელდება „უნივერსალისტების“ იდეების განვითარება. ამ მკვლევართა რიცხვს მიეკუთვნება რ. მონაკო (იტალია), გ. რიგი (ბელგია), გ. ნიდერენი (შვეიცარია).

3. რიგი თავის ნაშრომში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ურთიერთკავშირს. ნიდერენი კრიტიკულად უყურებს მადრასხელმწიფოებრივი კანონით, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი „საერთაშორისო სასიათის“ მქონე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ფაქტს და ამ კარნოებში ხედავს საერთაშორისო კერძო სამართლის შიდა სამართლებრივ სისტემასთან წინააღმდეგობას.

აღსანიშნავია, რომ მქონე მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრების შემდეგ დროებით მკვიდრდება პრაგმატიზმი, რომელიც კამორიცხავდა უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებას. ზოლო, XIX საუკუნის შუახანებიდან ყალიბდება სრულიად ახალი თეორიები და შეხედულებანი, რომელიც ახალ ბიძგს აძლევს საერთაშორისო კერძო სამართლის შემდგომ განვითარებას.

ამ პერიოდში ამერიკელმა მეცნიერმა ბილიმ ვადადა გადამწვევტი საბიჯი დოქტრინა, „comitas“-იდან, „მოპოვებული სამართლის“ თეორიამდე, ბილი მიიჩნევს, რომ უცხოურ ობიექტურ სამართალში დაყუანებული კონკრეტული სუბიექტური სამართალი წარმოადგენს ფაქტურ გარემობას. თუ ეს სამართალი შექმნილია კანონით, ის თავისთავად ზღვება უაქტი და მისი არსებობა შეიძლება ფაქტორი გახდეს მომავალშიც, როდესაც ეს თუ ის კანონი შექმნის პირობებს ახალი სამართლისათვის. ბილის თეორიის პარალელულად განვითარებას იწყებს ჰოლმსის „სამართლებრივი რეალიზმის“ თეორია. ჰოლმსის მოსაზრებით, სამართალი არის სასამართლოს ფუნქციის განხორციელება. აღნიშნული შეხედულების ანალიზიდან გამოიყვანარე, ეს კელერი მიდის დასკვნამდე, რომ აშშ საერთაშორისო კერძო სამართლის შემდგომი განვითარების ისტორია, სასამართლოს კანონის (lex non) კონკრეტულის ზემოთ აღნიშნული მიდგომიდან იღებს სათავეს.

„სამართლებრივი რეალიზმის“ თეორიამ შემდგომი განვითარება „ადგილობრივი სამართლის“ თეორიაში პოვა. ეს მოძღვრება წინა რიგებში წამოიწია ვ. კუკმა. ამ თეორიის მიხედვით, სასამართლომ უცხოური ელემენტების მქონე სამართლებრივ საქმეთა განხილვის დროს ფაქტობრივ საკუთარი სამართალი უნდა გამოიყენოს, რითაც სასამართლოს მოქმედებაში მოხვავს იდენტური, უკიდურეს შემთხვევაში მსგავსი ნორმები, რომელსაც ის პოულობს ქვეყნის (შტატის), სამართლებრივ სისტემაში, რომელთანაც საქმის მთელი ან ზოგიერთი ელემენტებია დაკავშირებული. ამათ სასამართლო იძულებითი ძალით

აღჭურავს არა უცხოურ სამართალს, არამედ სასამართლოს ძიურ საკუთარი კანონით შექმნილ სუბიექტურ სამართალს. ამასთან, კუკის თავის მოძღვრებაში „უმჯობესი სამართლის“ შერჩევის პრინციპი აქვს წინა პლანზე წამოწეული.

ახალი ამერიკელი სკოლის მეორე წარმომადგენელი ბ. კარი ამუშავებს „სამთავრობო ინტერესების თეორიას“. მისი შეხედულებით, საკუთარი სამართლის გამოყენებით სასამართლო ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციას. ის უცხოურ კანონის გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო არ არის დაინტერესებული მოცემული ურთიერთობების რეგულირებით და ასეთი ინტერესი სხვა სახელმწიფოში შეინიშნება.

ამერიკელი მეცნიერის დ. კეივერსის შეხედულებით, სასამართლოები ბრძალ არ უნდა მიუდგნენ იმ სამართლის შინაარსს, რომლისაკენაც მიუახლოვდნენ კოლიზიური ნორმა. სასამართლომ უნდა იფიქროს გადაწყვეტილების შედეგებზე (რეზულტატის არჩევანი). ამასთან, სასამართლო თავისუფალი უნდა იყოს შეხედულებათა დასაბუთებაში, რამდენადაც მისი ფუნქცია განახორციელოს მართლმსაჯულება ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიმართ. ამერიკელი თეორიები ძირითადად ვალდებულებითი სამართლის ბაზაზე ეფუძნება. აშშ-ს თანამედროვე სამართლის სკოლა ძირითადად მატერიალური სამართლის პრინციპებიდან გამომდინარეობს, რაც მას ევროპის სამართლის სკოლისაგან განასხვავებს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, საერთაშორისო კერძო სამართალს ძირითადად გამოდის კოლიზიური სამართლის ფარგლებიდან და საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვან სფეროს იპყრობს. ამის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება სახელმწიფოს როლის ამადლება სამეურნეო საქმიანობის რეგულირებაში და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების რეალიზაცია.

საბჭოთა კავშირში საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარება ახალ ისტორიულ პირობებში მიმდინარეობს. სამხარეო კოლიზიების გადასაწყვეტად დღის წესრიგში დგება რესპუბლიკათაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობების რეგულირების საკითხი.

ზოგადი მიცნობა (ი.პ. პერეტერსკი) მიიჩნევს, რომ რესპუბლიკათაშორისო კოლიზიების შემთხვევაში შეკდობა იმავე მეთოდებსა და წესების გამოყენება, რაც რუსურ-ს საერთაშორისო კერძო სამართალში გამოიყენება.

საწინააღმდეგო აზრს ავითარებს ან. მაკაროვი. მისი მოსაზრებით თავისი წარმოსახვით ერთიანი ბუნების კოლიზიური ნორმებით უნდა გადაწყდეს, როგორც სახელმწიფოთაშორისი, ასევე საშხარეო კოლიზიები, რომელსაც ასევე ვარკვეული თავისებურებები ახასიათებს. მაკაროვის შეხედულებით, საერთაშორისო კერძო სამართალი არის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც ადვილობრივი სამოქალაქო კანონების სივრცეში მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს. მაკაროვი კოლიზიურ ნორმებს მიაკუთვნებს სახელმწიფოს შიდა სამართლებრივ ნორმებს. ამასთან, ქორწინების შესახებ ჰააგის 1902 წლის კონვენციას, რომელიც ქორწინებასთან დაკავშირებულ კოლიზიურ საკითხებს შეიცავს, საერთაშორისო კერძო სამართალში აერთიანებს. აღსანიშნავია, რომ მაკაროვის მიერ სამართლებრივი წესრიგის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართლად სისტემატიზაცია იღვმდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ი.ს. პერეტერსკის მოსაზრებით, საერთაშორისო კერძო სამართალი, ისევე როგორც საბჭოთა სამართალს სხვა მთელი რიგი დარგები, კლასობრივ ხასიათს ატარებს. უცხოური კანონის გამოყენებას საუბრეოდ უდევს კანონი, რომლის გამოყენება შესაძლებელია, თუ მას საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს. პერეტერსკი მზარს უჭერს კონცეფციას, რომლის თანახმად საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები არეგულირებენ იმ სახის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც განსაკუთრებული ნიშნებით ხასიათდებიან. ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო ხასიათი ანუ ეს ურთიერთობები უცხოურ ელემენტებს შეიცავს.

საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაში აღსანიშნავია კ. კორეცის წვლილი. ის ახდენს საერთაშორისო კერძო სამართლის პრაქტიკული საკითხების ანალიზს და იძლევა მნიშვნელოვან რეკომენდაციებს საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარების შესახებ.

ცნობილია, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საერთაშორისო კერძო სამართალი განიხილებოდა, როგორც კოლიზიური სამართალი და რიგი ავტორების მიერ (ი. პერეტერსკი, ა. მაკაროვი, ა. პლოტკინი, ს. რაველი), საერთაშორისო კერძო სამართლის თეორიის ყურადღების ცენტრში იდგა კოლიზიური ნორმების ბუნებისა და მისი გამოყენების

თავისებურებების განსაზღვრა, კორექტი არაერთხელ უხვამს ხაზს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შექმნის აუცილებლობას, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში. ის აამკარავებს საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულირებაში მხოლოდ კოლიზიური ნორმებისა და რეგულირების კოლიზიური მეთოდის გამოყენების ხარვეზებს. კორექტი თავის ნაშრომში „საერთაშორისო სამეურნეო სამართლის კრებული“, ღიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო კერძო სამართლის პრობლემატური საკითხების განხილვას. საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, კორექტი მიღის დასკვნამდე, რომ მარტოიდან კონფლიქტური სამართლის ზერხებსა და მეთოდებს არ შესწევს უნარი, სრულყოფილად მიაწესრიგოს საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობები. მისი აზრით, საჭიროა ისეთი ნორმების შემუშავება, რომლებიც პარადაირ და უშუალოდ დაარეგულირებს საერთაშორისო საეკონომიკურ ურთიერთობებს. ის მიიჩნევს, რომ ასეთი რეგულირება შიდა მატერიალური ნორმების შემუშავებასთან ერთად შეიძლება განხორციელდეს ორი ან რამდენიმე სასკლმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

საერთაშორისო კერძო სამართლის შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა კორექტის მთელი რიგი შეხედულებების სისწორე. ის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაში კოლიზიურ მეთოდიან ერთად მნიშვნელოვან როლს ანიჭებს რეგულირების მატერიალურ სამართლებრივ მეთოდს, როგორც უცხოელემენტების მქონე კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების მოსახერხებელ და ხელსაყრელ საშუალებას. აღსანიშნავია ისიც, რომ კორექტი საერთაშორისო კერძო სამართლის შემადგენლობაში აერთიანებს ე.წ. „უცხოელების სამართალს“, რომლის გარეშე შეუძლებლად მიიჩნევს სამეურნეო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების სრულყოფილად შეცნობას. კორექტის მოსაზრებით, ყოველი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ყოველს სახელმწიფო საერთაშორისო მკერნობრიობის სფეროში ახორციელებს საკუთარ პოლიტიკას, რაც გამოსატულებას პოულობს იმ საერთაშორისო ნორმებში, რომლებიც ამ ურთიერთობებს არეგულირებენ. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ცალკეული ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემის შესწავლის საჭიროება და აუცილებლობა. კორექტის ეს წინასწარმეტყველება სავსებით დაადასტურა საერთაშორისო კერძო

სამართალში შედარებითი სამართლებრივი მეთოდის შემდგომმა განვითარებამ.

საერთაშორისო კერძო სამართლის საბჭოთა დოქტრინის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ლ. ლუნცსა და მ. ბოგუსლავსკის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მ. ბოგუსლავსკი ავალბებს მთელ რიგ უახლეს შეხედულებებსა და მოსაზრებებს თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.

ლუნცი საერთაშორისო კერძო სამართლის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად აშუშავებს უცხოური კანონის შინაარსის დადგენის პრობლემას. მისი მოსაზრებით, კოლიზიური ნორმის მითითება უცხოური სამართლის სისტემაზე მოითხოვს ამ ნორმის გამოყენებას იმის შესაბამისად, როგორადაც მას სამშობლოში განმარტავენ. საბჭოთა სასამართლომ და დავის განმხილველმა სხვა ორგანომ უნდა იხლამდებინა არა მხოლოდ უცხოური კანონით, არამედ ჩვეულებებით და სასამართლო პრაქტიკის მასალებით. ლუნცი ხაზს უხვამს საბჭოთა სასამართლოებისა და უცხოური სასამართლოების მიერ უცხოური კანონის შინაარსის დადგენისადმი განსხვავებულ მიდგომას. ეს კი ისაში გამოიხატება, რომ დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში უცხოური კანონის შინაარსის დადგენა, მტკიცებულებების შეკრების მთელი სიმძიმე აწევს იმ მხარეს, რომლისაგანაც კოლიზიური ნორმის მითითება მიმართულია. საბჭოთა სახელმწიფოში კი უცხოური კანონის, როგორც სამართლის ნორმის და არა ფაქტის დადგენის ვალდებულება, სასამართლოს გვისრება მხარეთა ინიციატივის დამოუკიდებლად. საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, საქმეთა განხილვის დროს, თითოეული მხარე ვალდებული იყო დაემტკიცებინა ის გარემოებანი, რომლებზედაც ამყარებდა თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს. ეს წესი ვრცელდებოდა საქმეში უცხოური ელემენტების არსებობის შემთხვევაშიც. ამასთან, სასამართლოები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მტკიცებულებების შეგროვებასა და მტკიცებულებათა საშუალებების შერჩევაში. მტკიცებულებათა შეუყენებაში კი სასამართლო ვერდნობოდა სასამართლო სხდომაზე საქმის მასალების სრულ და ობიექტურ განხილვას და არც ერთ მტკიცებულებას არ ჰქონდა სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი საკალდებულო ძალა.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1997 წლის 17 ნოემბერის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ახლებურადაა გადაწყვეტილი მთელი

რიგი საკითხებია. შემოდებულაა სრულიად ახალი, საბჭოთა კანონმდებლობისათვის აქამდე უცნობი ინსტიტუტები. მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრებათ მხარეებს, ისევე როგორც ეს ხდება მთელ რიგ ევროპის სახელმწიფოებში. სასამართლოს აქტიურობა, მისი ინიციატივით მტკიცების პროცესში ჩარევა დაიშვება ამ ზომით და ფარგლებით, რაც გათვალისწინებულია კოდექსით. თუ მხარეებმა, ამა თუ ამ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და მათი სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შეამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ესთანაც არ უნდა იყოს ისინი.

ინგლისურ-ამერიკული სასამართლოები მიუხედავად საქმეში უცხოური ელემენტების არსებობისა ძირითადად საკუთარ პროცესუალურ სამართალს გამოიყენებენ. ამასთან, არსებობს ტენდენცია, მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტის დროს ის კანონი იქნეს გამოყენებული, რომელსაც არსებითად ურთიერთობა ექვემდებარება.

დ. ლუნცის შეხედულებით, საერთაშორისო კერძო სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია. ამასთანავე ის ზაზს უსვამს ამ გარემოებას, რომ მთელ რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს საერთაშორისო საჯარო სამართალისა და საერთაშორისო კერძო სამართლის კატეგორიების კომპლექსურ რეგულირებას. ამ მოსაზრებას აზიარებს მ. ბოგუსლავსკიც. მისი შეხედულებით, საერთაშორისო კერძო სამართალში მოქმედებს როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპები, ასევე სახელმწიფოს შიდა სამართლებრივი კატეგორიები. ეს ფაქტი კი განაპირობებს საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერების დარგის კომპლექსურ ხასიათს.

მ. ბოგუსლავსკის საერთაშორისო კერძო სამართლის სახელმძღვანელოში შეტანილი აქვს ცნობილი სპეციალისტების დ. ლუნცის, ა. სადიკოვის, ნ. ძარიშეკას, მ. მაკოვსკის, ვ. ზეკოვიჩისა და სხვათა ნაშრომები. ბოგუსლავსკი უარყოფითად აფასებს საერთაშორისო კერძო სამართლისადმი, როგორც მხოლოდ კოლიზიური სამართლისადმი ტრადიციულ მიდგომას. მისი მოსაზრებით, არსებობს უცხოური ელემენტების მქონე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ორი მეთოდი: კოლიზიური და მატერიალურ-სამართლებრივი. მას თავის განახლებულ სახელმძღვანელო კურსის განსაკუთრებულ საწილში განხილული აქვს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის მქონე საკითხები, კერძოდ, უცხოელების

სამართლებრივი მდგომარეობა (ფიზიკური და იურიდიული პირები), საკუთრების უფლება, ნაციონალიზაცია, საგარეო-ეკონომიკური კარიერები, სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები, საექსპორტო და გამოშვებისადმი საბარათალი, მემკვიდრეობა, საოჯახო და შრომითი სამართალი. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას, როგორცაა საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი. ის სპეციალურ თავს უძღვნის საერთაშორისო საექსპორტო არბიტრაჟის ცალკეული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების განხილვას, რომელიც ამჟამად ინტენსიური განვითარების სტადიაშია.

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც საერთოდ ქართული სამართალი, დაკავშირებულია რომაულ-ევროპული სამართლის ოჯახთან, რომლის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში, უდავოა, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მსშტპით დაგროვილ მრავალფეროვან მოსაზრებებსა და შეხედულებებს. თუ მოვთხვევლივართ ცნობილი კოლიზიონისტი (ფ. შვინდი) ხატოვან გამოთქმას საერთაშორისო კერძო სამართალში - ისტორია ეს ყველაფერია.

საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში არსებული კონცეფციების განვითარების ვტაპების ცოდნას აქვს აუცილებელი და საჭირო მნიშვნელობა, რის გამოც ყურადღება გაგამახვილოთ ამ სფეროში დაგროვილ რიგ თეორიულ საკითხებზე.

საკონტროლო კითხვები.

1. რა სახის ურთიერთობებს მოიცავს საერთაშორისო სისტემა?
2. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას?
3. რას სწავლობს საერთაშორისო კერძო სამართალი?
4. რა ძირითადი ელემენტები გამოიყოფა კერძო ხასიათის ურთიერთობებში, რომელიც მიუთითებს უცხო ელემენტების არსებობაზე?
5. ვინ გამოიღოს საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტებად?
6. რა შეხედულებანი არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის სახელწოდების შესახებ?
7. რა თეორიები არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის საგნის შესახებ?

8. რით განსხვავდებიან ქრთმანული საგან საერთაშორისო კერძო სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები?
9. როგორია საერთაშორისო კერძო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში?
10. რა განსხვავებაა საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის?
11. როგორია საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემა?
12. რა იცის საერთაშორისო კერძო სამართლის წარმოშობის ისტორიასა და მისი განვითარების ტენდენციებზე?

თ ა ვ ი II

საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები

§1 საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროთა სახეები.

იურიდიული მეცნიერება სამართლის წყაროს ცნებაში გულისხმობს ამ ფორმებსა და საშუალებებს, რომელშიც გამოხატულია სამართლის ესა თუ ის ნორმა.

„თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამართლის მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული კონცეფციის თანახმად, „სამართლის წყაროდ“ მიიჩნევა როგორც სამართლის ნორმის შექმნის პროცესი და საფუძვლები, ასევე ამ საფუძვლებისა და პროცესის შედეგად შექმნილი სამართლის ნორმათა გამოხატვის ფორმები“.

საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებს ახასიათებს გარკვეული სპეციფიურობა. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროთა სისტემაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ის სამართლებრივი ნორმები და წესები, რომელსაც სხვადასხვა სახის საერთაშორისო ხელშეკრულება თუ შეთანხმება ითვალისწინებს.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ხელშეკრულებათა როლი და მნიშვნელობა გაიზარდა. ამ პროცესს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას განუკვეთს კანონმდებლობის ნაწილი, სამართლის წყარო, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს.

საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი წყაროებია:

1. საერთაშორისო ხელშეკრულებები;
2. შიდა კანონმდებლობა;
3. სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა;
4. ჩვეულებები.

1. ლადო ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამოცემულია „სამართალი“ თბ., 1997 წ. გვ. 79.

საგულისხმოსა, რომ სახელმწიფოებში საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროა ამა თუ იმ სახის რელი და მნიშვნელობა არაერთგვაროვანია.

„კონტინენტური ევროპის სამართალსა და ინგლისურ-ამერიკულ სამართალს შორის განსხვავება მკაფიო გამოხატულებას პოულობს სამართლის წყაროებში. ამიტომ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამართლის წყარო არა მხოლოდ სამართლის ნორმის გარეგნულად გამოხატვის ფორმა, არამედ, ამა თუ იმ სამართლის სისტემის არსებობის მეთოდოლოგიური საფუძველიც“¹.

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში, რობულსაც საქართველოც განეკუთვნება, სამართლის ძირითადი წყაროა კანონი. მასში იგულისხმება პარლამენტის მიერ და რეფერენდუმის გზით მიღებული საკანონმდებლო აქტები; ასევე, ნებისმიერი სახელმწიფო აქტი, რომელიც სამართლის ნორმებს შეიცავს. კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა ჩვეულებებიც.

სამართლის წყაროთა სისტემაში კანონის დიდი მნიშვნელობა „განმანათლებლობას“ უკავშირდება (XVI-XVIII), „განმანათლებლობა“ სამართლის წყაროთა ახალი და პროგრესული სისტემა დაამკვიდრა. მან უარყო საერთო სამართალი ანუ რომაულ კანონიკური სამართალი (jus commune), რომელიც სამართლის ძირითად წყაროდ სამართლის მუცისერებასა და სასამართლო პრაქტიკას მიიჩნევდა და სამართლის წყაროდ აღიარა კანონი, რომელიც უნდა ფოფილიყო ნათელი, მარტივი და თვალსაჩინო. ამასთან, იმგვარად შედგებოდა, რომ მოსამართლეს არ ჰქონოდა თავისი შეხედულების შესაბამისად, თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ამდენად, ადამიანთა ბედი მოსამართლეზე კი არ უნდა ფოფილიყო დამოკიდებული, არამედ აუთონ მოსამართლე უნდა დამარჩილებოდა კანონს.

საერთაშორისო, რომ წყაროების შესახებ საბჭოთა სამართლის თეორიაში არსებული მოძღვრება, ანალოგიურია კონტინენტური ევროპის სამართალში აღიარებული მოძღვრებისა. კონტინენტური ევროპის სამართლის სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია კოდეფიცირებული ნორმატიული აქტების არსებობა. ამ სახელმწიფოთა სამართლის სისტემაში მთავარი ადგილი უჭირავს კანონსა და ჩვეულებებს.

1. ლადო ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში გამოცემა „სამართალი“. თბ., 1997 წ. გვ. 67.

ინგლისურ-ამერიკულ საერთო სამართალში კი მთავარ ადგილს სასამართლო ანუ პრეცედენტული სამართალი იკავებს. პრეცედენტული სამართლის სისტემა დამყარებულია ძირითად ნორმაზე, რომელიც უწინდელი სასამართლო გადაწყვეტილებების საჯალღებულობას აღიარებს. სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ ითვლება პრეცედენტად, როცა კონკრეტული შემთხვევის გაშლ მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უდევს ანალოგიური შემთხვევის გადაწყვეტას მომავალში¹.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებში საერთაშორისო კერძო სამართლის ამა თუ იმ სახის წყაროების გამოყენება, პირველ რიგში, დამოკიდებულია ამ ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ხასიათზე. ძირითადია, ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართალში დომინირებული ადგილი უკავია სასამართლო პრაქტიკას, მაგრამ, ამასთან ერთად მოქმედებს საკანონმდებლო პრაქტიკაც. ასე მაგ. დიდ ბრიტანეთში, სადაც ადრე ბატონობდა სასამართლო პრაქტიკა, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის სფეროში, მოკლე დროში მოიღეს მრავალი ნორმატიული აქტი, რაც გამოწვეულია დიდი ბრიტანეთის ჰაავის კონვენციაში მონაწილეობით. მიხი საერთო ბაზარში გაერთიანებით და ამ მიზეზით მთელი რიგი საიმპლანტაციო ღონისძიებების გატარების აუცილებლობით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში სამართლის ძირითად წყაროს კანონი წარმოადგენს, მაგრამ ახვევ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო პრაქტიკას, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში იკავებს გაცილებით დიდ ადგილს, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში. ეს ვარემოება აიხსნება ამ ქვეყნების კანონმდებლობის მისწრაფებით, უცხოური ელემენტების მქონე სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას დროს უზრუნველყონ მაქსიმალური თავისუფლება, რომელიც სპეციალური საერთაშორისო საკანონმდებლო აქტის მიღების შემთხვევაში შეიზღუდებოდა. ამასთან არ უნდა დაგვაიწყდეს ისაც, რომ ბოლო პერიოდში თანდათან მიმდინარეობს ევროპული და ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემების დაახლოებას პროცესი.

1. ლადო ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამოცემლობა „სამართალი“. თბ., 1997 წ. გვ. 90.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების სისტემა არაერთგვაროვანია. ზოგან მიღებულია საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი (ავსტრია, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, იტალია, საქართველო), ზოგან კი, მათ შორის რუსეთსა და დბთ-ში მქმავალ სხვა ქვეყნებში, არ არსებობს სპეციალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ამ ქვეყნებში მიღებულია მიეღვი რიგი დარგობრივი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც საერთაშორისო კერძო სამართალში შემავალ საკითხებს შეიცავს. ასეთი აქტების რიცხვი ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა.

საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მრავალმხრივ კონვენციებს, რომელიც უნიფიცირებულ სამართლებრივ ნორმებს შეიცავს. უნიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონალურ დონეზე, ე.წ. მიდელური კანონების (კოდექსების), ასევე, ამა თუ იმ საკითხებზე დირექტივების მიღების გზით. ევროპის კავშირში შეძგალ ქვეყნებში, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში, ევროპის კონვენციასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის დირექტივები.

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის დასასრულისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ისეთი წესების შემუშავება, რომელიც არ წარმოადგენს არც საერთაშორისო კონვენციას და არც შიდა კანონმდებლობის ნორმებს. ამავე დროს, ეს წესები არ მიეკუთვნება ჩვეულებებს. აღნიშნულის ტიპიური მაგალითია საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები, რომელიც 20 წლის განმავლობაში მუშავდებოდა საერთაშორისო კერძო სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ და მიიღეს 1995 წელს. აღნიშნული პრინციპები ატარებენ ფაქულტატურ ხასიათს. ისინი გამოიყენებიან გარიგებებში მხარეების მიერ, იმ შემთხვევაში, როცა ამის შესახებ ვარიეტაში პირდაპირ არის მითითებული. მხედველობაშია მისაღები ის, რომ ასეთი დოკუმენტის არსებობა ხსნის კოლიზიური ნორმების გამოყენების პრობლემას და ამასთან ერთად, ამცირებს შიდა კანონმდებლობის მოქმედების ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დოქტრინა არ წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროს. მაგრამ არ შეიძლება უგულვებულყოფილ იქნეს მისი მნიშვნელობა საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შემუშავებასა და განმარტებაში.

§2 საერთაშორისო ხელშეკრულებები შიდასახელმწიფოებრივ სამართალში

საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს. ეს ხელშეკრულებები საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ერთიან რეგულირებას ემსახურება. საერთაშორისო ხელშეკრულებებით უშუაღეს წილად რეგულირდება ისეთი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც შიდა კანონმდებლობით მოუწყესრიგებელია ან არასრულად რეგულირებული.

სამართლებრივი ნორმები, რომლებიც თავდაპირველად საერთაშორისო ხელშეკრულებებშია განმტკიცებული, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში გამოიყენება უფრო ხშირად, ვიდრე შიდა კანონმდებლობის სხვა ნორმები. უფრო მეტიც, ძიელი რიგი ურთიერთობების რეგულირებისათვის საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი წყარო კახია საერთაშორისო ხელშეკრულებები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მასხასხიათებელია ეკონომიკური და სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობის, სარგანიზო ტრანსპორტის რეგულირების, ასევე საეცრო და სამატქნტო სამართლისათვის.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებაში სასამართლო ხელისუფლების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ შეიქმნა საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების სამართლებრივი ბაზა. მიიღეს ნორმატიული აქტები, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებების ადგილს განსაზღვრავს სამართლებრივ სისტემაში.

იდეოლოგიური და პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ელდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური უწყება. თანამედროვე პერიოდში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. გაიზარდა კრუნული სასამართლოების რაღია საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმების გამოყენების საქმეში.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და მოქმედების წესის

განსაზღვრავს, საერთაშორისო სახელმწიფოებრივი ურთიერთობების რეგულაციებს ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმია. ამ კანონით დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამი კატეგორია: სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი და უწყვეთათაშორისი. მისი დებულებები გამოიყენება ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას მიმართ, რომელიც, მიუხედავად ხელშეკრულებათა სახისა და სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, პაქტი, კონვენცია, ოქმი, წერილების გაცვლა), საერთაშორისო სამართლის ნორმებით რეგულირდება.

აღნიშნული კანონის დებულებები ვრცელდება ყოფილი სსრკ-ს ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომელთა მიმართ საქართველომ თავი უფლებამოსილი აღიარა.

საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმები შეიძლება იყოს „თვითშემსრულებელი“ და „არათვითშემსრულებელი“. „თვითშემსრულებელია“ ისეთი ნორმები, რომლებიც აღარებენ თავთშემსრულებელ ხასიათს ანუ ამ შემთხვევაში ნორმათა შინაარსი ხელშეკრულებამ ირცელა კონკრეტულად ფორმულირებული, რომ სასამართლოებისა და სხვა ორგანოების მიერ შესაძლებელია მათი უშუალოდ გამოყენება. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმები პარდაპირა მოქმედებისა არიან. „არათვითშემსრულებელია“ ისეთი ნორმა, რომლის სასამართლო და სხვა ორგანოების მიერ გამოყენებისათვის საჭიროა დამატებითი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღება¹. თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა ადგენს კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და მასში გათვალისწინებულია ნორმის საბიჯე შედგენილი ელემენტები, დისპოზიცია, პიპოტიზა და სანქცია, ასეთი ნორმა კონკრეტული ხასიათისაა, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა ითვალისწინებს მხოლოდ პიპოტიზასა და სანქციას, მაშინ ეს ნორმა ვერ იქნება კონკრეტული ხასიათის².

სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების შესაძლების შედარებით ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფომ, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებას შიდა-

სახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილად აღიარებს, უნდა დააკონკრეტოს ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმა სახელმწიფოების მიერ დამაკონკრეტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღება გულისხმობს ისეთი დონისძიებების გატარებას, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების უშუალო გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. სახელმწიფოს მიერ გატარებულ აქტთა დონისძიებას უწოდებენ საიმპლემენტაციო დონისძიებას. იმისათვის, რომ სასამართლოებმა შესძლონ საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენება, საჭიროა ხელშეკრულებათა გამოქვეყნება. ამ წესს ითვალისწინებს საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ. ამ კანონის მეექვსე პუნქტის მიხედვით სახელმწიფოში უშუალოდ მოქმედებს ის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნებულია. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ ოფიციალურად გამოქვეყნებული ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის „უწყებანსა“ და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების კრებულში, ქვეყნდება ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა საკვლევლოდ აღიარებაზე შესაბამისად თანხმობას გამოხატავს საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი. ოფიციალურად გამოქვეყნების მომენტიდან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უშუალოდ ქმნის უფლებებსა და მოვალეობებს. ნორმატიული აქტი, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულება, ცნობილი უნდა იყოს სამართლის სუბიექტებისათვის. ეს დებულება გამოდინარეობს საყოველთაო პრინციპიდან „კანონი არ ავადლებულებს, თუ არ არის გამოქვეყნებული“.

იმ სახელმწიფოებში, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილს, წარმოიშობა საერთაშორისო ხელშეკრულების იერარქიული ადგილის განსაზღვრის საკითხი. ამ საკითხისადმი სახელმწიფოთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. სახელმწიფოთა ნაწილი საერთაშორისო ხელშეკრულებას და კანონს თანაბარ იურიდიულ ძალას ანიჭებს. ზოგიერთი სახელმწიფო, საერთაშორისო ხელშეკრულებას აყენებს კონსტიტუციაზე დაბალ, მაგრამ კანონზე

1 ლევა აღდგენს სამსჯელო საერთაშორისო სამართალს. იბ. 1998 წ. გვ. 26.
 2 კონსტანტინე კორკელია. საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოში. შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი. იბ. 1998 წ. გვ. 245-246.

მაღალ იერარქულ ადგილას, სახელმწიფოთა მესამე კატეგორია კ საერთაშორისო ხელშეკრულებას აფენებს უფრო მაღალ საფეხურზე ვიდრე ქვეყნის კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი კანონია. სხვა სახელმწიფოებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. ამავე მუხლის II პუნქტის დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამ მუხლის დებულებები დაზუსტებულია საქართველოს კანონით, ნორმატიული აქტების შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ მომდევნო საფეხური უკავია საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელსაც ენიჭება პრიორიტეტული ძალა საქართველოს ვველა შიდა სახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოები არაერთგვაროვნად უდგებიან საერთაშორისო ხელშეკრულებების უშუალო გამოყენებას. ის სახელმწიფოები, რომელთაც საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების ხანგრძლივი პრაქტიკა აქვთ, აქტიურად იყენებენ მის ნორმებს. სადაც ურთიერთობების რეგულირებას მიზნით, სადაც ასეთი პრაქტიკა არ არსებობს ან ახლი წარსულში განისაზღვრა საერთაშორისო ხელშეკრულებათა შიდასახელმწიფოებრივი ნაშვლილობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების უშუალოდ გამოყენების შემთხვევები შედარებით მცირეა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებულად არის საზღვასმული ბოლო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების აქტიური გამოყენების პრაქტიკაზე.

§3 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

1. **ორმხრივი ხელშეკრულებები.** საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მიერ სხვადასხვა ქვეყნებთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების უწყობაშიანაგავლელ ცნობისა და ამ ხელშეკრულებათა ურთიერთაღიარების პროცესი.

საქართველოში მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიღლი სისტემა, რომელიც დადებულია სხვადასხვა ქვეყნებთან როგორც სამართლებრივი დახმარების სფეროში, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, სამრეწველო საკუთრების დაცვის, დაბეგვრის თავიდან აცილების, ინვენსტიციების ხელისშეწყობისა და სხვა მრავალ საკითხებზე.

საქართველოს სამართლებრივი დახმარების შესახებ სახელშეკრულებო კავშირურთიერთობები დამყარებული აქვს მრავალ ქვეყანასთან. მათ შორის: უკრაინასთან, (1995 წ. ძალაშია 1996 წ.), უზბეკეთთან, (28.05.96წ. ძალაშია 3.10.96 წ.), თურქეთთან (1997 წ. ძალაშია 1998 წ.).

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულებები დაიდო სომხეთთან (15.07.97 წ. ძალაშია 3.06.97 წ.), თურქმენეთთან (1996 წ. ძალაშია 1999 წ.), აზერბაიჯანთან (1996 წ. ძალაშია 1997 წ.), ბულგარეთთან (1995 წ. ძალაშია 1996 წ.).

საქართველოსა და თურქეთს შორის არსებობს შეთანხმება სამართლებრივი ინფორმაციის გავრცელების შესახებ (1996 წ.). ასეთივე შეთანხმება მიღწეულია ყირგიზეთთან (1997 წ.).

დსთ-ს ქვეყნებს შორის, 1993 წლის 22 იანვარს დაიდო კონვენცია „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“, რომელიც საცვალგების პრინციპების საფუძველზე უზრუნველყოფს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეთა ქონებრივი და პირადი უფლებების დაცვას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე. საქართველო ამ კონვენციას შეურთდა 1995 წელს.

საქართველოს მიერ სხვადასხვა ქვეყნებთან დადებული სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულებები, გამომდინარეობს თითოეული სახელმწიფოს თანახმობის, სუვერენიტეტისა და ატივისცემის პრინციპებიდან. ამ ხელშეკრულებებით რეგულირდება იუსტიციის ორგანიზების შორის ურთიერთობები, ასევე სამართლებრივი დაცვის, სასამართლოების კომპეტენციის განსაზღვრის, სამართლებრივი დახმარების შესახებ გადაწყვეტილებების შესრულების, სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე გადაწყვეტილებათა აღსრულებისა და აღიარების, დოკუმენტების ცნობისა და გავზავნის, დამაშავეთა გადაცემისა და სისხლის სამართლის საქმეებზე სხვადასხვა სახის დახმარების ვაწვეის

საკითხები. ასევე დროს საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტების პროცესუალური უფლებები. ეს ხელშეკრულებები შეიცავს ასევე შეიღობა აფვანის, მფურცეობისა და მზრუნველობის დაწესების საკითხებს.

საქართველოს სხვადასხვა ქვეყნებთან დადებული აქვს საკონსულურო კონვენციები. ამ სახის კონვენცია არსებობს ბულგარეთთან (1998 წ.), რუმინეთთან (1998 წ.), საბერძნეთთან (1995 წ.), სომხეთთან (1996 წ.), აზერბაიჯანთან (1996 წ.), ყაზახეთთან (1998 წ.). საკონსულურო კონვენცია დადებულია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას, საქართველოს და თურქმენეთს (1997 წ.), უკრაინასა (1997 წ.) და თურქეთს (1995 წ.) შორის.

საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის არსებობს შეთანხმება დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთათვის უვიზო ურთიერთმიმოსვლის წესის შესახებ, (1997 წ.).

საქართველოსა და უკრაინას შორის დადებულია ხელშეკრულება ორმაგი მოქალაქეობის თავიდან აცილებისა და არსებული ორმაგი მოქალაქეობის აღკვეთის შესახებ (1997 წ.).

საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ და სამცენსურ-ტექნიკურ ურთიერთობათა სფეროში ხელშეკრულებები დადებული აქვს უზბეკეთთან (1992 წ.), ლიტვასთან (1996 წ.), პოლანეთთან (1992 წ.), რუმინეთთან (1992 წ.), სომხეთთან (1992 წ.).

საქართველოსა და სომხეთს შორის ხელმოწერილია დეკლარაცია ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (1993 წ.). საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის არსებობს შეთანხმება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპების შესახებ (1996 წ.).

საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილია დეკლარაცია ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლების შესახებ (1996 წ.).

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები და დეკლარაციები არსებობს აგრეთვე ყირგიზეთთან (1997 წ.), თურქმენეთთან (1993 წ.), უკრაინასთან (1993 წ.), კარგელასთან (1995 წ.).

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები დაიდო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის გრასსილდარის მხარის ადმინისტრაციას შორის (1995 წ.). ასეთი სახის შეთანხმება არსებობს აგრეთვე საქართველოს

ვაჭრობისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსა და მოსკოვის ოლქის ადმინისტრაციას შორის (1996 წ.).

სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები დაიდო სომხეთთან (1999 წ.), თურქმენეთთან (1997 წ.), აზერბაიჯანთან (1997 წ.), ყაზახეთთან (1997 წ.), უზბეკეთთან (1998 წ.).

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები მიღწეულია რუსეთთან (1994 წ.), სომხეთთან (1995 წ.), აზერბაიჯანთან (1996 წ.), უკრაინასთან (1996 წ.), თურქმენეთთან (1996 წ.) და ასევე სხვა ქვეყნებთან.

ორმაგი დაბეგრვის თავიდან აცილებისა და შეროსავლესა (მოგებაზე) და ქონებაზე გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებები დადებულია ირანთან (1993 წ.), უკრაინასთან (1997 წ.), რუმინეთთან (1997 წ.), თურქმენეთთან (1997 წ.), ყაზახეთთან (1997 წ.), აზერბაიჯანსა (1997 წ.) და სხვა ქვეყნებთან. რაც შეეხება გერმანიას, კოლილ საბჭოთა კავშირთან დადებული შეთანხმება ორმაგი დაბეგრვის შესახებ დიპლომატიური ჩოტების გაცვლის საფუძველზე კვლავ ძალაშია ასალი შეთანხმების მიღწევამდე.

შეთანხმებები ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ არსებობს საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის (1992 წ.), ინვესტიციების ურთიერთწახალისების, დაცვისა და ხელისშესწავლის შეთანხმებები არსებობს ასევე თურქეთთან (1992 წ.), ჩინეთთან (1992 წ.), ირანთან (1995 წ.), ისრაელთან (1995 წ.), გრფ-თან (1993 წ.), საბერძნეთთან (1994 წ.), დიდ ბრიტანეთთან (1995 წ.), საფრანგეთთან (1997 წ.), რუმინეთთან და სხვა.

საქართველოს სხვადასხვა ქვეყნებთან დადებული აქვს ხელშეკრულებები საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების შესახებ. ეს ხელშეკრულებები შეეხება, როგორც საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, ასევე საავტომობილო გადაზიდვების სფეროს.

ტრანსპორტის სფეროში შეთანხმებები დადებულია ჩინეთთან (1993 წ.), ყირ-თან (1995 წ.), რუსეთთან (1993 წ.), უკრაინასთან (1996 წ.), ბულგარეთთან (1995 წ.), საბერძნეთთან (1997 წ.), იტალიასთან (1997 წ.).

საჰაერო ტრანსპორტის სფეროში ხელშეკრულებები დადებულია ირლანდიასთან (1995 წ.), ისრაელთან (1995 წ.), ირანთან (1993 წ.), თურქეთთან (1992 წ.), ნიდერლანდებთან (1995 წ.), ავსტრიასთან (1995 წ.), კიპროსთან (1997 წ.), ბულგარეთთან (1995 წ.) რუსეთთან

(1993 წ.), უკრაინასთან (1993 წ.), უზბეკეთთან (1996 წ.), თურქმენეთთან (1993 წ.), მოლდოვასთან (1997 წ.), ყირგიზეთთან (1997 წ.), ყაზახეთთან (1993 წ.), აზერბაიჯანთან (1993 წ.).

სარკინოზო ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებები დადებულია აზერბაიჯანთან (1993 წ.), უზბეკეთთან (1995 წ.), რუსეთთან (1995 წ.), სომხეთთან (1993 წ.), ყაზახეთთან (1993 წ.), თურქმენეთთან (1993 წ.), ყირგიზეთთან (1997 წ.).

საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებები არსებობს აზერბაიჯანთან (1993 წ.), უზბეკეთთან (1995 წ.), რუსეთთან (1994 წ.), უკრაინასთან (1994 წ.), ყაზახეთთან (1993 წ.), თურქმენეთთან (1993 წ.), რუმინეთთან (1996 წ.), გერმანიასთან (1994 წ.), ოტაღასთან (1997 წ.), საბერძნეთთან (1997 წ.), თურქეთთან (1992 წ.), ლიტვასთან (1996 წ.).

ხელშეკრულებები ტრანსპორტის სფეროში დადებულია ასევე სხვა მრავალ ქვეყანასთან.

2. მრავალმხრივი (უნივერსალური) ხელშეკრულებები და კონვენციები. საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე, გარდა ორმხრივი ხელშეკრულებებისა, არსებობს მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, რომლებიც მინაარსობრივად მრავალფეროვანია. მთელ რიგ ასეთ ხელშეკრულებებში საქართველოც მონაწილეობს.

საავტომობილო მიმოსვლის სფეროში მნიშვნელოვან კონვენციას წარმოადგენს ბერნის 1886 წ. 9 სექტემბრის „კონვენცია მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესახებ“. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1995 წელს.

საქართველო 1991 წლიდან მონაწილე გახდა პარიზის სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ 1883 წლის კონვენციისა. საპატენტო ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ 1970 წლის კონვენციას საქართველო შეუერთდა 1991 წელს; სავაჭრო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმს – 1989 წელს; ყვარლის შეთანხმებას კომბინირებული ვადაზიდვების შესახებ, რომელიც დაიდო 1991 წელს ვენეციაში, საქართველო შეუერთდა 1994 წელს; საერთაშორისო ავტომანქანების ვეროპას შეთანხმებას, რომელიც 1995 წელს, ასევე ვენეციაშია დადებული, საქართველო შეუერთდა 1996 წელს; 1978 წლის კონვენციას ტვირთის ზღვით ვადაზიდვების შესახებ – 1997 წელს. კინოსამენტზე ზოგიერთი წესის უნიფიკაციის

შესახებ 1924 წლის ოქმს – 1996 წელს, ვენის 1980 წლის კონვენციას, კინოს საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ, საქართველო შეუერთდა 1995 წელს; უცხოური საარბიტრაჟო განაწევრილებების აღიარების შესახებ 1958 წლის კონვენციას – 1994 წელს; 1950 წლის კონვენციას საბაჟო ურთიერთთანამშრომლობის საბჭოს შექმნის შესახებ 1993 წელს.

გარდა აღნიშნულისა, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში არსებობს სხვა მრავალი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმება და კონვენცია. ამ ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობისა და შეერთების პროცესი დღესაც გრძელდება.

3. საერთაშორისო შეთანხმებების მომზადება და შეზღუდვა. საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე კონვენციებისა და შეთანხმებების პროექტების მომზადებასა და შეზღუდვას ახდენს ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი კომისიები და ორგანოები.

გაეროს გენერალურმა ანსამბლემ, უნგრეთის ინიციატივით განიხილა ეკსპრობის განვითარების ღონისძიებები და ამ სფეროში საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხები. ამის შედეგად 1966 წელს შეიქმნა სპეციალური ორგანო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო კომისია „უნიტრალი“. დღესათვის უნიტრალი 36 წევრისაგან შედგება, რომლებიც შესაბამისად 6 წლით აირჩევიან. ის ახორციელებს საერთაშორისო კონვენციების მომზადებას, საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ტიპური და ერთგვაროვანი კანონების შექმნას. ასევე საერთაშორისო ჩვეულებების კოდიფიკაციას, ამ კუთხით ინფორმაციების შეკრებასა და მის გაერაცვლებას.

უნიტრალმა თავის არსებობის მანძილზე მრავალი კონვენცია შეიმუშავა. მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების ხანდაზმულობის ვადის შესახებ (ნიუ-იორკი 1974 წ.). ეს კონვენცია არეგულირებს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი მოქმედებების ხანდაზმულობის საკითხებს. მას 1980 წელს დაემატა სპეციალური ოქმი, რომელიც მიღებულ იქნა საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციასთან ერთად. ამ ოქმით რიგი დებულებები გაეროს საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებასთან იქნა შესაბამისობაში მოყვანილი. კონვენცია ძალაში შევიდა 1988 წლის 1 აგვისტოს.

2. გიორგის კონცენცია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (ვენა-1980 წ.).

კონცენცია არეგულირებს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების წესებსა და პირობებს, მყიდველისა და გამყიდველის ვალდებულებებს, ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებულ სანქციებსა და ხელშეკრულების სხვა პირობებს. იგი ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვარს.

3. მოდელური კანონი საქონლის საშენებლო სამუშაოების და მომსახურების საჯარო შესყიდვების შესახებ.

უნსიტრალის მიერ 1994 წელს მიღებული ეს მოდელური კანონი მიზნად ისახავს საჯარო შესყიდვების კანონმდებლობისა და პროცედურების მოდერნიზებას საქმეში სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევას. მოდელური კანონით გათვალისწინებული პროცედურები თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის, საჯაროობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს ემყარება და უზრუნველყოფს საჯარო შესყიდვების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებას.

უნსიტრალის მიერ გამოცემულია სპეციალური სახელმძღვანელო კომენტარები, რომელიც ხელს შეუწყობს მთავრობებს და კანონმდებლებს მოდელური კანონის საფუძველზე საიმპლემენტაციო ღონისძიებების გატარებაში.

ასევე აღსანიშნავია, უნსიტრალის მოდელური კანონი კლექტორიული კომერციის შესახებ, (1996 წ.) მოდელური კანონი გაკოტრების საქმეთა საერთაშორისო წარმოების შესახებ (1997 წ.) მოდელური კანონი საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის შესახებ (1985) და მრავალი სხვა.

უნსიტრალის საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ მოდელური კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პარამონიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, ამ ურთიერთობების პროცესში წამოჭრილი დავების გადასაწყვეტად სამართლიანი, უნივერსალური და ყველასათვის მისაღები მექანიზმების შექმნა. უნსიტრალის მოდელური კანონი შექმნილია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟისათვის, მაგრამ ამასთან აღიარებულია შიდა სახელმწიფოებრივი არბიტრაჟისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობა.

I. ი. გიორგი წვრილაშვილი. უნსიტრალის მოდელური კანონის როლი საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის განვითარებას საქმეში. Tacis ქართული სამართლის მიმხედვით ეკონომიკური პოლიტიკისა და საქონლებრივი საქონლების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. 1979წ., გვ. 50-65.

საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში კონვენციების შექმნა მხოცილებს, აგრეთვე ჰააგის კონვენცია. მისი პირველი სესია მოწვეულ იქნა 1893 წელს ჰააგაში ცნობილი ჰოლანდიელი იურისტიის მიერ ასერიის ინიციატივით. ამ კონვენციის მუშაობაში თავდაპირველად მონაწილეობა მიიღო ცამეტმა ქვეყანამ. ჰააგის კონვენციის შექმნიდან უკანასკნელ პერიოდამდე სულ მოწვეულია მრავალი ჩვეულებრივი და ორი რაგვარზე სესია. სესია მოიწვევა ორს წელიწადში ერთხელ. მის მომზადებაში მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სახელმწიფო კომისია და კონვენციის მუდმივი ორგანო. 1931 წელს მიღებულ იქნა ჰააგის კონვენციის მუდმივი სტატუტი საერთაშორისო კერძო სამართალში (ძალაში შევიდა 1955 წელს). ეს სტატუტი მოქმედებს ორმოცდახუთ სახელმწიფოში. ჰააგის კონვენციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო პროცესის სფეროში. მათ შორის: 1954 წლის კონვენცია „სამოქალაქო პროცესის შესახებ“; 1965 წლის კონვენცია „სამოქალაქო და ვაჭრობის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების შეკრების შესახებ“.

ჰააგის კონვენციის მთავარი ამოცანაა საერთაშორისო კერძო სამართლის წესების პროგრესული უნიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ ჰააგის ოცდაცხრა კონვენციიდან ათი საოჯახო სამართლის სფეროს შეეხება.

მათ შორის არის კონვენციები: „ქორწინებისა და მისი ბათილობის შესახებ“ (1978 წ.), „განქორწინების ცნობისა და მეუღლეთა სასამართლოს წესით განქორწინების შესახებ“ (1970 წ.), „შვილებთან დაკავშირებული საალიმენტო ვალდებულებების შესახებ“ (1956 წ.) და სხვა.

საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე მრავალმხრივი კონვენციებიდან და შეთანხმებებიდან აღსანიშნავია საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ჰააგის 1955 წლის კონვენცია „მძრავი მატერიალური ფასეულობის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. ჰააგის 1958 წლის კონვენცია „საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში საკუთრების გადაცემის შესახებ“. ეს კონვენციები შეიცავს ერთგვაროვან კლავსურ სორმებს.

1964 წელს ჰააგაში ოცდარვა ქვეყნის მონაწილეობით ჩატარებულმა კონფერენციამ კონვენციამ მიიღო ორი კონვენცია. მოდელური კანონი „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ და მოდელური კანონი „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა

დადების შესახებ“ ამ კანონების ფართო ვაკერცელებასთან დაკავშირებით 1980 წელს ევრის კონფერენციაზე ხელმოწერილ იქნა გაეროს კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“ იგი ხელმოწერილია სახელმწიფოებისათვის ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვრიდან. ეს კონვენცია ამჟამად აერთიანებს ორმოცდაათზე მეტ ხელშეკრულ სახელმწიფოს. მათ შორის: ვურ, ჩინეთი, საფრანგეთი, აშშ, იტალია, ფინეთი, უკრაინა, ბელარუსია და მოლდოვა. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1995 წელს. კონვენცია შედგება 10 მუხლისგან. მან შეცვალა პაავის 1964 წლის ზემოთ აღნიშნული კონვენციები. ის წარმოადგენს ფართომნიშვნაის საჯარო კოდიფიკაციას და ნასყიდობის სამართლის უნიფიკაციის უმაღლეს საფეხურს.

საერთაშორისო კონვენციების შემუშავებაში მნიშვნელოვან საბუთაობს ასრულებს, აგრეთვე, საერთაშორისო კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი („უნიდრუა“). ამ ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია კონვენციები: საქონლის საერთაშორისო ფაფა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ, წარმომადგენლობის, მუზავროსა საერთაშორისო გადაყვანის, საქონლის გადაზიდვისა და სხვა საკითხებზე. ეს ორგანიზაცია შეიქმნა 1926 წელს. მისი წევრია 52 სახელმწიფო. ინსტიტუტი გამოსცემს ყოველწლიურ კრებულს საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში შემავალ საკითხებზე.

საერთაშორისო კონვენციების შემუშავება ხდება ასევე ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა: გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და ვაჭრობის შესახებ „იუნკტადი“, ინტელექტუალურ საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია „ვიპი“, საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია.

1999 წლის 1 ივლისს ევროკავშირისა და საქართველოს შორის დაიდო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (Partnership and co-operation Agreement - PCA).

ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მრავალმხრივ შეთანხმებას, რომლის მიზანია პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით ევროკავშირს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარება. ამისთვის, ეს შეთანხმება ქმნის ორმხრივი თანამშრომლობისათვის ხელშემწყობ პირობებს და განსაზღვრავს ვაჭრობისა და საინვესტიციო საქმიანობის განვითარების წესებს. კონვენცია ითვალისწინებს: საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სფეროში

მაქსიმალური რეფორმების პროცესის მხარდასაჭერად გაწეული დახმარების უფრო მეტად გაფართოებას. შეთანხმება ემყარება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის, საერთაშორისო სამართლისა და საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და აწესრიგებს მთელ რიგ სფეროს. მათ შორის ტრანსპორტის, განათლების, ტერაგეტიკის თუ უკანონო საქმიანობასთან ბრძოლის ასპექტებს¹.

1974 წელს ნიუ-იორკში დაიდო კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის სფეროში წარმომადგენელი დავების სახარჩელო სადაზმულობის შესახებ“. 1980 წელს მიღებული იქნა ამ კონვენციის დამატებითი ოქმი, რომლითაც კონვენციის რიგი დებულებები გაეროს საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებასთან იქნა შესაბამისობაში მოყვანილი.

1983 წელს ევრის კონფერენციაზე დაიდო ხელშეკრულება „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობაში წარმომადგენლობის შესახებ“, 1988 წელს იტალიაში დაიდო კონვენციები, საერთაშორისო საფინანსო ლიზინგისა და ფაქტორინგის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ.

სახელმწიფოთა უმრავლესობა მონაწილეობს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ მრავალხრივ კონვენციებში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია კომიტეტის 1965 წლის კონვენცია, რომელშიც ოთხმოცდახუთამდე სახელმწიფო მონაწილეობს. აღსანიშნავია სეულის 1991 წლის კონვენცია საინვესტიციო გარანტიებთან დაკავშირებული მრავალხრივი სააგენტოს დავების შესახებ“ (ამ კონვენციის მონაწილეა 131 სახელმწიფო).

მრავალრიცხოვანი და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ხელშეკრულებები დადებულია საზღვაო ვაჭრობის სხვადასხვა სფეროში. მათ რიცხვს მიეკუთვნება: კონვენცია „სასამართლოების შედარებითი კანონმდებლობის ზოგადი წესების ვაჭრობის შესახებ“ და კონვენცია „საზღვაო უსაფრთხოებისა და დახმარების გაწევის შესახებ“. ამ კონვენციებმა გამოიწვია ბრიუსელის კონვენციითა და მთელი სერიალების შემუშავება საზღვაო ვაჭრობის სფეროში, რომელიც მომზადდა საერთაშორისო საზღვაო კომიტეტის მიერ.

1. იხ. მაკ მასდაუმი. „საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. Tacis ქართული სამართლის მისიხილვა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. I-II კვარტალი გვ. 26-33.

პრეზიდენტის კონვენციამა შორის მნიშვნელოვანია 1924 წლის კონვენცია, „კონსამიტზე ზოგიერთი წესების უნიფიკაციის შესახებ“ (ამ კონვენციის ოქმი მიღებულია 1968 წელს). ასევე აღსანიშნავია 1957 წლის კონვენცია „საზღვაო გემების შესაკუთრების პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ“. სამკერო გაღაზიდვების სფეროში მთელი რიგი ნორმების უნიფიკაცია განხორციელდა ვარშაის 1929 წლის კონვენციით. ამ კონვენციის დებულებები შეივსო შააგის 1955 წლის და გვატემალას 1971 წლის ოქმებით.

სარკინიგზო ტრანსპორტის საკითხების რეგულირებას სფეროში არსებობს ბერნის საერთაშორისო კონვენცია „ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვისა და მგზავრობა გადაყვანის შესახებ“, რომელიც ახალი რედაქციით 1980 წელს გაერთიანდა როგორც ერთიანი შეთანხმება (ძალაშია 1985 წლიდან).

საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების სფეროში არსებობს ვენეციის 1956 და გაეროს 1960 წლების კონვენციები.

საერთაშორისო ვაჭრობის არბიტრაჟის საკითხებზე მიღებულია მთელი რიგი შეთანხმებები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხოური არბიტრაჟის გადაწყვეტალების აღიარებისა და შესრულების შესახებ“ და 1961 წლის ვეროის კონვენცია „საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის შესახებ“.

ინტეგრაციის პროცესების განვითარებამ გამოიწვია შესაბამისი ხელშეკრულებების დადების აუცილებლობა და ხელშეკრულებათა რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდა. კერძოდ, მთელი რიგი შეთანხმებები დაიდო ევროკავშირის ქვეყნებს შორის. მათ შორის აღსანიშნავია რომის 1980 წლის კონვენცია „სახელშეკრულებო ვალდებულებითი სამართლის შესახებ“ ის ძალაშია დიდ ბრიტანეთში, დანიაში, საბერძნეთში, ირლანდიაში, იტალიაში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდებში, პორტუგალიასა და სხვა ქვეყნებში.

„სახელმწიფო იურიტიტის შესახებ“ ვეროის კონვენცია ძალაშია 1976 წლიდან. იგი 1992 წლიდან მოქმედებს - ავსტრიაში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, კვიპროსში, ნიდერლანდებში, გერმანიაში და შვეიცარიაში.

აღსანიშნავია, რომ 1975 წლიდან ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდება კონფერენცია საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე ამ კონფერენციებზე მიღებულია მნიშვნელოვანი კონვენციები: „საერთაშორისო კერძო სამართალი“

„არაადიული პირების ქველმარაზობის შესახებ“, „არასრულწლოვანის მკვლელობის ან ანალოგიური დანაშაულის კოლიზური ნორმების შესახებ და სხვა“. დსთ-ს ქვეყნების შორის დადებული მრავალმხრივი შეთანხმებებიდან მნიშვნელოვანია: 1993 წლის ხელშეკრულება „სამართლებრივი დანაშაულის შესახებ“, 1992 წლის ხელშეკრულება „სამკურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დაგების გადაწყვეტის წესების შესახებ“, 1992 წლის დებულება ეკონომიკური სამართლების შესახებ“, „1992 წლის შეთანხმება ტრანზიტის წესების შესახებ“, „1993 წლის შეთანხმება საინვესტიციო საქმიანობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, „1997 წლის კონვენცია ინტესტირების დაცვის შესახებ“.

საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში რეგიონალური ხასიათის კონვენციებიდან აღსანიშნავია ბუსტამენტის კოდექსი. იგი შედგინა ცნობილიმა კუბელმა იურისტმა ბუსტამენტმა, რის გამოც შესაყენლის სახელი ეწოდა მას. კოდექსი შედგება 437 მუხლისაგან. ის 1928 წელს მიიღეს ამერიკაში და რატიფიცირებულია ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის თხუთმეტი ქვეყნის მიერ. კოდექსში შედის შემდეგი საკითხები: „საერთაშორისო სამოქალაქო სამართალი“, „საერთაშორისო სავაჭრო სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი“, „საერთაშორისო პროცესუალური სამართალი“. კოდექსი სრული მოცულობით მიიწინეს სხვადასხვა ქვეყნებმა - მათ შორის: კუბამ, გვატემალამ, გონდურასმა, პანამამ, პერუმ, ზოგიერთმა სახელმწიფომ (ბრაზილიამ, პაიტიმ, ვენესუელამ) ამ კოდექსის ზოგიერთი მუხლი მაღლი გარკვეული შენიშვნებით.

მართალია, საქართველო ჯერ-ჯერობით არ მონაწილეობს საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებთან დაკავშირებულ მთელ რიგ კონვენციებში, (მათ შორის შააგის კონფერენციებზე შემუშავებულ კონვენციებში), მაგრამ ბოლო წლებში შეინიშნება საქართველოს განსაკუთრებული დაინტერესება და გააქტიურება მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილეობის მიზნით.

§4. შიდაკანონმდებლობა

1. შიდაკანონმდებლობა საერთაშორისო კერძო სამართლის მართალი და არსებითა წყაროა. საერთაშორისო ხელშეკრულებების რელი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაში განსაკუთრებულად

შიშენელოვანია და ეს ვარაუდობა აღიარებულია კიდევ მრავალი ქვეყნის დოქტრინისათვის, მაგრამ შიდა კანონმდებლობა საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითად და არსებით წყაროდ რჩება.

ფრანგი იურისტი ა. ბატივოლი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების არ არსებობის შემთხვევაში სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ხდება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ფორმირება. ამასთან, ერთი ქვეყნის კანონმდებლობა შიშენელოვანად განსხვავდება მეორე ქვეყნის კანონმდებლობისაგან. ამიტომ, არსებობს ფრანგული, გერმანული, იტალიური კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა საერთაშორისო კერძო სამართალში.

„არ არსებობს ერთიანი საერთაშორისო კერძო სამართალი“ – ამტკიცებს გერმანელი პროფესორი ფონ ბარი თავის 1987 წლის სახელმძღვანელო კურსში, – „არამედ ის არის იმდენი, რამდენი სამართლებრივი წესრიგებაცა დედამიწის ზურგზე“.

საკუთარი საერთაშორისო კერძო სამართალი აქვს საფრანგულს, გერმანსს, დიდ ბრიტანეთს, იტალიას, საქართველოს და ა.შ. თითოეული მათგანის შინაარსი ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდება.

სახელმწიფოებში საერთაშორისო კერძო სამართალი არა მარტო შინაარსობრივი სხვადასხვაობით გამოირჩევა, არამედ ძალიან განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის საკანონმდებლო წყაროების სისტემაც. ცალკეულ ქვეყნებში საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაცია ძირითადად ორი გზით არის განხორციელებული:

1. ზოგიერთ ქვეყნებში მიღებულია სპეციალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ზოგან კი, მასთან ერთად, საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესი (ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იუგოსლავია, პოლონეთი, თურქეთი). ამ გზით წავადა საქართველოც, რომელმაც მიიღო საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, რომელიც შეიცავს საპროცესო ნორმებსაც.

2. ზოგიერთ ქვეყნებში კი კოლიზიური ნორმები ჩართულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. ასეთი ნორმების რიცხვი ბოლო ხანებში შიშენელოვანად გაიზარდა.

სამ ამ ცალკეულად საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შიშენელოვანი წყაროს, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის განხილვაზე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი

და განუყოფელი სახელმწიფო. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას სხვა საკითხებთან ერთად შეეკუთვნება კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ეთნოგრაფიასა და იმიგრაციის, ქვეყანაში მცხოვრებისა და გავლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა დროებით ან მუდმივად კონფის შესახებ, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების, სავაჭრო, სამოქალაქო, შრომისა და საპროცესო კანონმდებლობა.

საერთაშორისო კერძო სამართლისათვის განსაკუთრებული შიშენელობა აქვს კონსტიტუციის დებულებებს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართლის საფუძვლად აღიარებულია ნორმები და პრინციპები და საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოში წარმოადგენენ მისი სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს. ასევე, კონსტიტუციის დებულებას საერთაშორისო ხელშეკრულების პრიმატის შესახებ შიდა კანონმდებლობის სხვა ნორმებთან შეესაბამება შემთხვევაში (მუხლი 6). საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა (მუხლი 13). შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე, სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ (მუხლი 30). ამ ნორმებით მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის უფლებრივი დამოკიდებულება არ წყდება მაშინაც კი, როდესაც ის საკუთარ ქვეყნის ფარგლებს ტოვებს. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს ანიჭებს, ვარდა კანონმდებლობა გათვალისწინებული გამონაკლისებისა (მუხლი 47).

2. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მიღებულია 1998 წლის 29 აპრილს. ის ძალაში შევიდა ამავე წლის 1 ოქტომბრიდან. კანონში დაცულია კონტინენტური ევროპის სამართლის ტრადიციები. მასში გათვალისწინებულია ისეთი ქვეყნების მაგალითები, როგორცაა შვეიცარია, გერმანია, იტალია. კანონი, ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო კერძო სამართალთან დაკავშირებულ ევროკავშირის მიერ რიგ კონვენციებს. მათ შორის:

1. 1961 წლის კონვენციას შემკვიდრებისას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ;

2. 1968 წლის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კონვენციას სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში სასამართლო კომპეტენციისა და სასამართლოს ვადამდებულების აღსრულების შესახებ;

2. 1973 წლის კონვენციას რჩენის ვადამდებულებისას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ;

4. 1980 წლის ევროპის კონვენციას სახელმწიფოებო ვადამდებულებით ურთიერთობებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი შედგება ცხრა თავისა და 74 მუხლისაგან.

ამ კანონის I თავი, ზოგადი დებულებანი, მოიცავს შემდეგ საკითხებს: გამოყენების სფერო; საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის წესების ურთიერთმიმართება, უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა, მითითება, საჯარო წესრიგი, იმპერატიული ნორმების გამოყენება, რამდენიმე სამართლებრივი სისტემის მჭიდრო სახელმწიფოს სამართლის გამოყენება.

ამ კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებულ: საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, „საქმის ფაქტიურ ვარსებობაში“ იგულისხმება კონკრეტული შემადგენლობა, რომლის ერთ-ერთი ნიშანი (მაგალითად, პირის მოქალაქეობა ან მისი ადგილსამყოფელი, ხელშეკრულებას დადებას ადგილი, ვადამდებულების შესრულების ადგილი და ა.შ.) უცხო ქვეყანასთან არის დაკავშირებული.

კანონის მეორე მუხლი გულისხმობს საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიმატს ამ კანონის ნორმებთან მიმართებაში. IV მუხლი გამომდინარეობს გერმანული სამართლის „ერთიანი მითითების“ თეორიიდან და ითვალისწინებს, როგორც მითითებას, ასევე უკუმითობას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მითითების არსს ანუ არ ხელდავს კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტის ნორმების მოქმედებას. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმის საფუძველზე ხდება კოლიზიური ნორმის რეალიზაცია.

აღსანიშნავია კანონის მე-5 მუხლი (საჯარო წესრიგი) და მე-6 მუხლი (იმპერატიული ნორმები). ამ ნორმათა საერთო მიზანია

ქრონული სამართლის უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენებისაგან დაცვა. ამ მუხლებში, როდესაც კოლიზიური ნორმების ძალით უნდა მოხდეს უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ქრონული სამართლის ძირითად პრინციპებსა და საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს, აგრეთვე ქვეყნის იმპერატიულ ნორმებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენება იზღუდება.

კანონის მეორე თავი შეეხება საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის საკითხებს, სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციასთან დაკავშირებით კანონი ძირითადად საცხოვრებელი ადგილის, რეზიდენციისა და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის პრინციპებს გამოიყენებს. ამ თავის შესაბამის ნორმებში მოცემულია საერთაშორისო კომპეტენციისა და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევები, უცხო-უცხოოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება, ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები, მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობები, შვილების წარმოშობა, მამობის დადგენა და მასთან დაკავშირებული დავები, შვილად აყვანა, ქმედუნარიანობის შეზღუდვა, მეურვეობისა და მზუნველობის საქმეები.

კანონის მესამე თავი ეძღვნება ფიზიკური და იურიდიული პირების კანონის წინაშე თანასწორობას, ფიზიკური პირის პირიუფულ სტატუსს. ფიზიკური პირის რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ქვეყნის სამართალს, რომელთანაც იგი უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული. მჭიდრო კავშირში იგულისხმება პირის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ძირითადი საქმიანობის ადგილი.

IV თავი შეეხება გარიგებასთან დაკავშირებული სამართლის გამოყენების კარიგების ნამდვილობას, გარიგებაში წარმომადგენლობას, გარიგების ფორმას, მითხოვნის საჩვენებლობას და კვაილსინდისიურების დაცვას. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით გამოიყენება ის სამართალი, რომელ ქვეყანაშიც დაიღო ეს გარიგება ანუ გარიგებას ადგილის სამართალი. შეიძლება გამოიყენონ ალტერნატიული სასაათის პრინციპიც, მაგალითად, ამ ქვეყნის სამართალი, რომელსაც თვით ამ გარიგების მხარის ვადამდებელ მამყენლობას ანიჭებს. ასეთი ვადამდებულებით სამართალში მხარეთა მიერ არჩეული სამართალი, სანივთო სამართალში — ნივთის ადგილმდებარეობის კანონი, ქორწინებისას-დასაქორწინებელ პირთა პირიუფული სტატუსი.

V თავი ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორცაა უფლებები ნივთზე, უფლებები სატრანსპორტო საშუალებებსა და მათში მოთავსებულ ნივთებზე, ასევე - არაქონებრივი უფლებების დროს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრას.

VI, VII და VIII თავები მოიცავს ვალდებულებით, საოჯახო და სამეცადონო სამართალს. მათში განხილულია ქორწინების პირობების, ქორწინების შედეგების, მესამე პირთა კეთილი ნების დაცვის, ქორწინების შეწყვეტის, რჩენის მოვალეობის, შშობლებსა და შვილებს მირის, ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული ურთიერთობების, მკურნელობისა და მზრუნველობის, მემკვიდრეობითი ურთიერთობებისა და ანდერძის ფორმის დროს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის საკითხები.

კანონის IX თავში საპროცესო ნორმებია განხილული და მოიცავს საპროცესო ნორმების პრინციპების, სასამართლო ხარჯების ანაზღაურების, გარანტიის მიცემის, დიპლომატიური მისიის წევრებისა და საკონსულო წარმომადგენლობის წევრების იმუნიტეტის, სამართლებრივი დახმარებისასთვის შუამდგომლობის აღძვრას, შუამდგომლობის დაკმაყოფილების, დოკუმენტების სხვა ქვეყნისათვის გადაცემის, დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშნის, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების ცნობისა და აღიარების საკითხებს.

კანონის ბოლო X თავი, კანონის მოქმედებას დროს განსაზღვრას ეთმობა.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციის საქმეში წინგადადგმულ ნაბიჯს და საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს.

საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებს შეიცავს სავარჯიშო ეკონომიკურ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტები, ასევე ის მატერიალური ნორმები, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობას, უცხოელი მოქალაქეებისა და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობას შეეხება. ვარდა ამისა, სავალუტო, სავადასასადო, საფინანსო, საბაჟო, შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.

3. უცხო ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მიღებული აქვს მთელ რიგ ქვეყნებს, მათ შორისაა: ავსტრია (1978 წ.), უნგრეთი

(1979 წ.), რუმინეთი (1992 წ.), ჩეხოსლოვაკია (1963 წ.), პოლონეთი (1965 წ.), თურქეთი (1982 წ.), შვეიცარია (1987 წ.), გერ (1987 წ.) და სხვა. ქვემოთ შევვებით ზოგიერთ მათგანს.

შვეიცარიაში, 1987 წელს მიღებული საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, ძალაში შევიდა 1989 წლის 1 იანვრიდან. ამ კანონზე მუშაობა ვრძელდებოდა თხუთმეტი წელი. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა სპეციალისტებმა პროფესორ ფ. უიშერის ხელმძღვანელობით. კანონი შედგება 15 თავისაგან, რომელიც სექციებადაა დაყოფილი. კანონში 200 მუხლია. ამ კანონის სტრუქტურის თავისებურებაა ის, რომ ყოველი ნაწილი მოიცავს პარაგრაფს, რომელშიც სამი ძირითადი საკითხია განხილული:

1. იურისდიქცია;
2. გამოსაყენებელი სამართალი;
3. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და შესრულება.

შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონში მკაფიოდაა გამოხატული ნორმათა შინაარსი, რის გამოც იურიდიულ ლიტერატურაში ეს კანონი აღიარებულია როგორც გამოსაყენებლად მნიშვნელოვანი და ხელსაყრელი ნორმატიული აქტი.

კანონის პირველ თავში ამ კანონის გამოყენების სფეროა განსაზღვრული. ის მოიცავს შემდეგ საკითხებს. შვეიცარიას სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების იურისდიქციას, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებასა და შესრულებას, ვაკოტრებას, არბიტრაჟს.

I თავის მე-2 მუხლი ითვალისწინებს იურისდიქციის განსაზღვრის ძირითად პრინციპებს. ამ ნორმის შინაარსის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შვეიცარიის სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების იურისდიქცია განისაზღვრება მოპასუხის დომიცილის მიხედვით. ზოლო, თუ სასამართლო არ ითვალისწინებს შვეიცარიის სამართლის იურისდიქციას და საზღვარგარეთ საქმის განხილვა შეუძლებელია ან უშედეგო, გამოიყენება შვეიცარიის იმ სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების იურისდიქცია, რომელიც მოცემულ საქმესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. შვეიცარიის კანონით, დომიცილი ძირითად კოლიზურ პრინციპს წარმოადგენს. შვეიცარიის კანონი ითვალისწინებს იმ ქვეყნის კანონის ფართო გამოყენებას, რომელთანაც საქმის ვარემოება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ამ კოლიზური

პრინციპს ასევე ფართოდ გამოყენებას ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი.

შვეიცარიის კანონის ის ნაწილი, რომელშიც გამოსაყენებელი სამართალია გათვალისწინებული შედგება შვიდი მუხლისაგან. ამ ნორმებით უცხოურ სამართალზე მითითება გულისხმობს მისი ფაქტობრივ დებულებების გამოყენებას, რომელიც ამ კანონის შესაბამისად კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული. უცხოური კანონის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო სასაათის დებულებებს. შვეიცარიის კანონის პროგრესულობაზე მოუთხოვს ამ კანონის მე-15 მუხლი. ამ ნორმაზე სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის მრავალი სპეციალისტი ამხევილებს ყურადღებას. ეს ნორმა ითვალისწინებს შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებლობას ისეთ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც საქმე თავისი ბუნებით უმნიშვნელოდაა დაკავშირებული აღნიშნულ სამართალთან და უფრო მეტადაა დაკავშირებული სხვა სამართალთან. აღნიშნული წესის გამოყენება არ ხდება, თუ მხარეების მიერ წინასწარ არის განხარჩვეული გამოსაყენებელი სამართალი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრინციპს სხვა ქვეყნის სამართალშიც ფართო გავრცელება ჰქონდა.

შვეიცარიის კანონი შეიცავს დებულებებს ფიზიკური და იურიდიული პირების ხაცხოვრებელი და მდებარეობის ადგილის, მოქალაქეობის, სასამართლო და სხვა ორგანიზების გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ. ამ კანონის სპეციალური თავები ეძღვნება საკითხებს, როგორცაა: ფიზიკური პირის სტატუსი, საოჯახო სამართალი, შვილების სამართალი, მეურვეობა და მზრუნველობა, საფინანსო სამართალი, ნატურალური კეთილდღეობის (ინტელექტუალური) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, უცხოელების სამართალი, ამხანაგობის სამართალი, კონკურსი, საერთაშორისო საარბიტრაჟო განსჯადობა.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით გათვალისწინებულია მთელი რაგი ისეთი საკითხები, რომელსაც სხვა ქვეყნების ანალოგიური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ავსტრიაში, 1978 წელს მიღებული საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ძალაში შევიდა 1979 წლის 1 იანვრიდან. ეს კანონი ითვალისწინებს საერთაშორისო კერძო სამართლის სხვადასხვა საკითხების დეტალურ წესებს. ამ კანონისათვის დამახასიათებელია აღნიშნული ნორმათა მინარსის მკაფიო გამოხატვა კანონის დამადგენ

დაიწყო 1956 წელს, რომელსაც ოუსტიციის სამინისტროს თხოვნით, სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენილი სპეციალისტი ფ. შვინდი. პროექტი გამოქვეყნდა 1971 წელს. ის განიხილეს ალტერნატიულ პროექტებთან ერთად. კანონის საბოლოო კანონში საკმაოდ ბევრი დებულება შეიტანეს შვინდის პროექტიდან. კანონში მოცემულია შემდეგი ძირითადი საკითხები: პიროვნული კანონი, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობითი სამართალი, საფინანსო სამართალი, ნატურალური კეთილდღეობის სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, შრომის სამართალი, უსაფუძვლო კრივება, ზიანის მიყენებით გამოწვეული ვალდებულებები, კანონის მოცავს სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგადი სახის დებულებებს. ამ კანონის კოლიზიური ნორმის მითითებითი ნაწილის გარკვევითი კრიტერიუმია მითითება იმ ქვეყნის სამართალზე, რომელთანაც უცხოური ვლემენტის მქონე ფაქტიური სიტუაცია მჭიდროდაა დაკავშირებული.

კანონი განსაზღვრავს სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგადი სახის დებულებებს. მასში განმტკიცებულია უცხოური სამართლის გამოყენების, უკუმიითიების, საჯარო წესრიგისა და საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის დებულებების შესაბამისობის საკითხები.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მიღებული იქნა 1986 წელს. ის ძალაში შევიდა 1987 წლის 1 იანვრიდან. ამ კანონის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც შვეიცარიის, ასევე ავსტრიის ანალოგიური კანონისაგან.

კანონი დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა, საერთაშორისო დებულებები, უკუმიითიება, პირველი და მეორე ხარისხის მდლა სამართლებრივი კონფლიქტები, პიროვნული სტატუსი, საჯარო წესრიგი, იურიდიული პირის უფლებები და იურიდიული ფაქტი, უფლებაუზარანობა და ქმედუნარიანობა, ყადაღა, კონტრაქტების იურიდიული კონსტრუქცია, სახელი, იურიდიული აქტების ფორმები, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების დაცვა, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობითი სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სახელმწიკრულებო და არასახელმწიკრულებო ვალდებულებები.

ამ კანონისათვის სპეციფიურია და მრავალი ქვეყნის სპეციალისტის ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გერმანელი იურისტების მიერ

დაშუშავებული დებულებების გვერდით, უოველგვიარი ცვლილებების გარეშე, კანონში შეტანილია საერთაშორისო კონვენციები. მათ შორის, რომის 1980 წლის 19 ივნისის კონვენცია, „სახელმწიფოებრივი ვალდებულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“, პავის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენცია „ანდერძის ფორმისთან დაკავშირებული კანონის კოლიზიის შესახებ“, ასევე, პავის 1973 წლის 2 ოქტომბრის კონვენცია „სააღმშენებლო ვალდებულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ცნობილ კოლიზიონისტებს, გერმანიის კანონის, ამ სრულიად ახალი იურიდიული ტექნიკის მინუს-პლიუსის განსაზღვრის დროს უჭირთ დააგინონ, რომელი ჭარბობს მათ შორის.

საფურცადებოა, რომ გურ-სა და ასევე სხვა რიგი ქვეყნების კოლიზიურ ნორმებში, სამოქალაქო ურთიერთობებში მამასა და ქმარს ეკავა მეთაური ადგილი. ეს წესი განსაკუთრებით მკვეთრად შემკვიდრეობით სამართალში შეიმჩნეოდა. რიგ შემკვიდრეობითი სამართლის საკითხები განისაზღვრებოდა ქმრის დომიცილის კანონით ან მამის საცხოვრებელი ადგილის კანონით.

სქესთა შორის თანასწორობის აღიარებამ, რომელიც განმტკიცებულ იქნა გერმანიის კონსტიტუციით, კარდინალური ცვლილებები შეიტანა კოლიზიურ ნორმებში.

გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის შესაბამისი ნორმის შინაარსის მიხედვით ქორწინების ზოგადი შედეგები რეგულირდება იმ ქვეყნის კანონით, რომელი ქვეყნის მოქალაქესაც წარმოადგენენ მუდღეულები ქორწინების დროს ან რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ მუდღეულები ქორწინებამდე, თუ ერთ-ერთი მუდღეულებს ამ ქვეყნის მოქალაქეობა შენარჩუნებული აქვს. მოქალაქეობის არარსებობის შემთხვევაში კი გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მუდღეულებს აქვთ, ან ჰქონდათ საცხოვრებელი ადგილი. იმ პირობით, თუ ერთ-ერთი მუდღეუ მას ინარჩუნებს როგორც დამატებითს. აღრევე, შესაძლებელია იმ ქვეყნის სამართლის გამოყენება, რომელთანაც მუდღეულებს მჭიდრო კავშირი აქვთ.

გერმანული სამართლის სპეციფიურობაში კიდევ უფრო მეტად გაგვირკვევს კიდევ ერთი ნორმა მემკვიდრეობითი სამართალიდან. ამ ნორმის შინაარსის მიხედვით ამისათვის, რომ ანდერძი ჩაითვალოს ნორმის დაცვით შეღავნად, ის უნდა შეესაბამებოდეს იმ ქვეყნის კანონს, რომელი ქვეყნის მოქალაქესაც წარმოადგენს გარდაცვლილი

პირის შესაძლებელია იმ ქვეყნის კანონის გამოყენება, სადაც გარდაცვლილს ანდერძის შეღავნის ან გარდაცვალების დროს ჰქონდა დომიცილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის განხილვა საშუალებას იძლევა ნათლად დავინახოთ, თუ როგორია განსხვავებული გზით შეიძლება წავიდეს ამ სახელმწიფოთა კანონმდებელი. ეს არაერთგვაროვანი საკანონმდებლო ტექნიკა საბოლოო ჯამში ემსახურება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ხელსაყრელ რეგულირებას. საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების შექმნაში ამკარად იკვეთება სახელმწიფოთა სწრაფვა ერთიანი მიზნისაკენ, სამართალი შეესაბამებოდეს გარემომცველი სამყაროს თანანდერძე მოთხოვნებს.

როგორც აღინიშნა, რიგ ქვეყნებში არ არის მიღებული საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი და საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხები შეტანილია კონსტიტუციურ თუ სხვადასხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში.

რუსეთის ფედერაციაში, 1993 წლის კონსტიტუციის თანახმად, რუსეთის ფედერაციის წარმოებაშია სავალუტო, საკრედიტო, საბაჟო ურთიერთობათა რეგულირება, საგარეო პოლიტიკა, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რუსეთის ფედერაციის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო პროცესუალური და საარბიტრაჟო პროცესუალური კანონმდებლობა, ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება, ფედერალური კოლიზიური სამართალი. რუსეთის ფედერაციისა და მისი სუბიექტების ერთობლივ წარმოებაშია საერთაშორისო და საგარეო-ეკონომიკური კავშირები, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულება.

რუსეთის საერთაშორისო კერძო სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის იმ დებულებებს, რომლებშიც განმტკიცებულია ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება და კონკურენტის მხარდაჭერა, მწარმოებითი და სხვა კანონით აუტრბალაქო საქმიანობის განხორციელება, კერძო საკუთრების კანონით დაცვა, უცხოელი მოქალაქეების უფლებები, ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობა და სხვა.

რუსეთის ფედერაციაში, იმ საკანონმდებლო აქტების რიცხვა, რომელიც შეიცავს საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს, დღითიდღე იზრდება. რუსეთში მიღებულია ახალი სამოქალაქო კოდექსი.

რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს. მეორე ნაწილი - 1998 წელს. მესამე ნაწილის პროექტი მომზადდა 1997-1998 წლებში. ახალი სამოქალაქო კოდექსის დებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური ელემენტების მქონე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციებისათვის. სამოქალაქო კოდექსის მესამე ნაწილში გათვალისწინებულია სპეციალური განყოფილება, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ეს განყოფილება ორი თავისაგან შედგება: საერთო დებულებებისა და კოლიზიური ნორმებისაგან.

საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებს შეიცავს ასევე რუსეთის ფედერაციის 1995 წლის დებულება საარბიტრაჟო სასამართლოების შესახებ. ამ აქტში, პირველად რუსეთის სასამართლოში, შეტანილია განყოფილება უცხოელი პირების მონაწილეობით წარმოშობილ საქმეებზე.

საგარეო-ეკონომიკური ვაჭრობის ხეობაში მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 1995 წლის 13 დეკემბრის კანონი, „საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“. ამ კანონით განსაზღვრულია საგარეო ვაჭრობის საქმიანობის საფუძვლები, რუსეთისა და უცხოელ პირებს შორის ეკონომიკური საქმიანობის წესები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, 1985 წელს მიიღეს კანონი საერთაშორისო სამეურნეო ხელშეკრულებების შესახებ. ეს კანონი გამოიყენება საგარეო ვაჭრობის და სხვა საგარეო ეკონომიკურ ხელშეკრულებებში, რომელიც დადებულია ჩინეთის ორგანიზაციებსა და უცხოელ კონტრაგენტებს შორის. ეს კანონი შეიძლება მივაკუთვნოთ „პარდაბირი მოქმედების“ აქტს, რომელიც მოწოდებულია, უშუალოდ დაარეგულიროს უცხოური ელემენტების მქონე ურთიერთობები. კანონის მიერ რიგ ნორმებს დისპოზიციური ხასიათი აქვს. ის შეიცავს ხელშეკრულების დადების საერთო წესებს, ხელშეკრულების პირობებს, ხელშეკრულების ფორმის (გათვალისწინებულია წერილობითი ფორმა), ხელშეკრულების შესრულებისა და მისი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაწესების, დავების განხილვისა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შესახებ დებულებებს.

ჩინეთმა მიიღო მიწვევა რიგი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ინვესტიციების სამართლებრივ რეჟიმს ერთპირობითი საწარმოებში, ასევე იმ ორგანიზაციებში, სადაც უცხოური კაპიტალი მონაწილეობს, სამართლებრივ რეჟიმს თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში.

1986 წელს ჩინეთმა მიიღო სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები. ის ძალაში შევიდა 1987 წელს. ეს კანონი შეიცავს მიწის კოლიზიურ ნორმებს. მათ შორის სამოქალაქო ქმედუნარიანობის, ქმედუნარიანობის საკუთრების უფლების, დელიქტური ვალდებულებების, მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს.

1982 წელს მიიღეს კანონი „კანონებს შორის კონფლიქტის აღმოფხვრისა და განსაზღვრულ სამართალურ ურთიერთობებში უცხოური სამართლის ნორმების გამოყენების შესახებ“. ეს კანონი ძალაში შევიდა 1983 წლის 1 იანვარს. ის შედგება ექვსი თავისა და 100 მუხლისაგან.

პირველ თავში მოცემულია საერთო დებულებები, რომელიც შეეხება კანონის მოქმედების ხეობას, უცხოური კანონის გამოყენებას, საჯარო წესობებს, უცხოური სამართლის შინაარსის დადგენას, გარიგების სისაღიარობას, სასარჩელო ხანდაზმულობას, ორმაგი მოქალაქეობის, საქალაქეობის არმქონე პირებს მიმართ გამოსაყენებელ სამართალსა და სხვა საკითხებს.

მეორე თავში განხილულია ქმედუნარიანობის, საკუთრების უფლების, მემკვიდრეობის, პირის გარდაცვლილად გამოცხადების, შიანის მიყენების უფლებად მიყენებული ზარალის ანაზღაურების, მემკვიდრეობის, ქრწინების, მშობლებსა და შეილებს შორის ურთიერთობების, მამობის აღიარების, შეილად აყვანის საკითხები.

მესამე თავი ეძღვნება სასამართლოებისა და სხვა ორგანოების კომპეტენციას, უცხოური ელემენტების მქონე საქმეების განხილვას და უცხოელთა პროცესუალურ უფლებებს (პროცესუალური ქმედუნარიანობა, სასამართლო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა).

მეოთხე თავი შეიცავს სასამართლო და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობისა და აღიარების საკითხებს.

მეხუთე და შეექვსე თავები შეეხება დამატებით დებულებებს. იტალიაში 1995 წელს მიიღეს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის იტალიური სისტემის რეფორმის შესახებ“, რომელიც ძალაში 1995 წლის 2 სექტემბერს შევიდა.

ლიტუაში 1994 წელს მიიღეს სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქცია, რომელიც შეიცავს კოლიზიურ ნორმებს. ამავე წელს ესტონეთში მიიღეს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპები. ამ კოდექსის მე-5 თავი შეეხება კოლიზიურ საკითხებს.

აღნიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარების პროცესი თავისებურებით ხასიათდება.

საერთაშორისო, რომ დიდ ბრიტანეთში, სადაც ადრე დომინირებდა სასამართლო პრაქტიკა და პრეცედენტები, გარკვეულ ადგილს იკავებს საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე ბოლო ხანებში მიღებული კანონმდებლობა. ეს ვარაუდობა განაპირობა სამეურნეო, მაშაუთ შორის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, სახელმწიფოს როლის გაზრდად. ასევე, დიდი გავლენა მოახდინა დიდი ბრიტანეთის მონაწილეობამ ევროპის ეკონომიკურ კავშირში, რამაც ეს სახელმწიფოები დააყენა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების მიღების აუცილებლობის წინაშე, ევროკავშირის კონვენციების ინგლისურ სამართალში ტრანსფორმაციის მიზნით.

ინგლისში დროის მოკლე მონაკვეთში მიიღეს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1975-1996 წ.წ.), შეიღად ავჯანის შესახებ (1968 წ.) აგრეთვე, მიღებულ იქნა რიგი საკანონმდებლო აქტებისა სახელჯარო, სარკასიო ზო და საავტომობილო გადაზიდვების სფეროში განსაკუთრებით ხაინტურესოა, ინგლისის 1978 წლის კანონი „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“, რომელიც შეესაბამება ევროპის 1971 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კონვენციის დებულებებს.

დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება კერძო კოდიფიკაციებს, რომელიც შედგენილია ხასამართლო პრეცედენტების განზოგადების საფუძველზე. ამ ხანის მნიშვნელოვან კოდიფიკაციებულ აქტებს შეიცავს დაისის ეურსი ინგლისში, ხოლო ამერიკაში - სამართლის ინსტიტუტის მიერ 1934 წელს შედგენილი „კანონების კრებული კანონების კონფლიქტის შესახებ“. ეს კრებული შედგენილია ამერიკელი იურისტის ბილის ეურსის მიხედვით. ამკუ სახელწოდების ახალი კრებული გამოვიდა 1971 წელს.

აშშ-ის ცალკეულ შტატში მიღებულია კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის ცალკეულ საკითხებზე მაგ. ლუიზიანის შტატში 1991 წელს მიიღეს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (ძალაში შევიდა 1992 წელს), კანაღის პროვინციაში (კუბეკი) კი 1995 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლისა და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის საკითხებს შეიცავს.

დათიხური ამერიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია კოდიფიკაციებული სამართლის სისტემა, რომელიც სამოქალაქო.

საკერძო, პროცესუალური საკითხების სფეროში წარმოშობილი კოდიფიკაციების კომპლექსურ რეგულირებას უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი დამოუკიდელი დისციპლინა, ჩამოყალიბდა XX საუკუნიდან, როლესაც საერთაშორისო კავშირურთიერთობების განვითარებამ წამოჭრა ეკონომიკური ელემენტების მქონე, ურთიერთობების რეგულირების უკუაღებლობა. აქედან გამომდინარე ამ დარგას თანამედროვე საერთაშორისო თავისებურებებით ხასიათდება. საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს შეიცავს კონსტიტუცია, უცხოელების შესახებ კანონი, მატერიალური და პროცესუალური კოდექსები. ასევე, შიდა კანონმდებლობის სხვა ნორმები, რომლებშიც საერთაშორისო კერძო სამართლის ცალკეული საკითხებია განმტკიცებული. საერთაშორისო კერძო სამართლის დებულებები არც თუ ისე იშვიათი სახით, შეტანილია სამოქალაქო სამართლის კოდექსში.

განვითარებად ქვეყნებში საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი არასრულია და დაყოფილი. ამ სახელმწიფოებში დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკას. ზოგიერთ ქვეყანაში არსებულა მკორრიცხოვანი კოლიზური ნორმები შესულია სამოქალაქო კოდექსსა და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სწრაფვა, თავიანთ კანონმდებლობაში რეალიზაცია გაუკეთონ იმ პრინციპებს, რომელსაც ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური დებულებები ითვალისწინებს. აგრეთვე მოქალაქეთა პოლიტიკური, ეკონომიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. ამ პაქტით ყველა ხალხს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს სახელმწიფოთა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

§5 ჩვეულებანი

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების დროს გამოიყენება ჩვეულებანი, რომელიც სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენს.

ჩვეულებანი - ეს არის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვილი წესები, რომელიც სახელმწიფოს მიერ საყოველთაოდ აღიარებულია.

მაგრამ სამართლებრივ აქტებში არ არის განმტკიცებული. იმის გამო, რომ ისინი ზანდრძლივი გამოყენების შედეგად ყალიბდება და წერილობით ფორმით არ არის დაფიქსირებული, ხშირად რთულდება ჩვეულებათა შინაარსის დადგენა და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, თუ ვინ უნდა დაადგინოს მათი არსებობა. ყოველგვარი წესი არ წარმოადგენს ჩვეულებას. ჩვეულება ისეთა წესია, რომელიც კონკრეტულ სოციალური ვაკუუმის მიერ არის აღიარებული, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი. ხოლო საკითხი, არის თუ არა ეს სანამდებელი ასე უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. ამასთან, მან უნდა შეამოწმოს, რომ ეს ჩვეულება კანონის ნორმებს არ ეწინააღმდეგებოდეს¹.

ჩვეულებები, რომელთაც საფუძვლად უდევთ სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის პრინციპები, სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის. რაც შეეხება სხვა ჩვეულებებს, ისინი სავალდებულოა ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის იმ შემთხვევაში, თუ ის ამ სახელმწიფოში რომელიმე ფორმით მიღებულია.

საერთაშორისო კერძო სამართალში ჩვეულებების სამართლის წყაროდ გამოყენებისათვის საჭიროა არსებობდეს სახელმწიფოს მითითება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კანონთან ერთად სამართლის წყაროდ ჩვეულებებსაც აღიარებს ისინი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენება არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და საჯარო წესრიგს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2). საერთოდ, ჩვეულებების გამოყენებას სასამართლოები მიმართავენ იმ დროს, როდესაც მოცემული ურთიერთობა სამართლებრივი რეგულირების გარეშეა დაჩენილი ან რეგულირებულია არასრულად.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ფართოდ არის დამკვიდრებული სავაჭრო ჩვეულებათა გამოყენება. ისინი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ამას ითვალისწინებს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შედგენილია წარმოშობილია დაეა. აგრეთვე, ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მის გამოყენებაზე მოუთხოვს სამართლის ნორმა. ასევე იმ დროს, თუ ამას ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც მოქმედებს იმ სახელმწიფოებს შორის, რომელსაც მოდავე მხარეები განეკუთვნება.

ჩვეულებებისაგან უნდა განვასხვავოთ სავაჭრო ტრადიციები. ასეთი ტრადიციები დაგროვილია სავაჭრო გარიგებების პრაქტიკაში და

ამასხვერავს გარიგებათა დეტალებს. ისინი გამოიყენება საქმიანი სრუტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობებში. მათთვის ამგვარი ტრადიციების დაცვა სავალდებულოა. ამასთან, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხელშეკრულებათა განმარტების დროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლის მიხედვით ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.

ჩვეულებების გავრცელებისათვის ზდება მათი შეკრება. ამ სამუშაოს ძირითადებს ვაჭრობის ეროვნული პალატები. ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის პალატა, (მდებარეობს პარიზში), ამ პალატების მიერ გამოცემულია სპეციალური კრებული ჩვეულებების შესახებ, რომელიც ფართოდ გამოიყენება სასამართლოების მიერ დავების გადაწყვეტის პროცესში.

§6 სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა

საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროს, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, შიდა კანონმდებლობისა და ჩვეულებებისა, მოელ რაც ქვეყნებში წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკა და სათანადო შესახვევებში საარბიტრაჟო პრაქტიკაც.

სასამართლო პრაქტიკა - ეს არის სასამართლო პოზიცია, შეხედულება საერთაშორისო კერძო სამართლის ცალკეულ საკითხებზე. ასეთი გადაწყვეტილებები გამოიყენება ანალოგიური საკითხების გადასაწყვეტად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო პრეცედენტების გამოყენების შემთხვევები ყველაზე მეტად ინგლისსა და ამერიკაშია გავრცელებული. მათი ფართო გამოყენება კი, უმეტესწილად, ამერიკაში ხდება.

სასამართლო პრაქტიკის გამოყენების დროს სასამართლოების როლს გაზრდილია. მათ შესაძლებლობა ეძლევათ აირჩიონ და გამოიყენონ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან ის გადაწყვეტილება, რომელსაც სასამართლო მოცემული საკითხის გადასაწყვეტად მიიჩნევენ საჭიროდ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, სასამართლო პრაქტიკა არ წარმოადგენდა საერთაშორისო კერძო სამართლის უშუალო წყაროს

1. დედო ჰანტურია. მესხელი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამოცემულია „სამართალი“ იბ., 1998 წ., გვ. 99.

იმ მოტივით, რომ სასამართლო და არბიტრაჟი არ ქნადა სამართლის ნორმას. სამართლის წყაროს წარმოადგენდა სათანადო წესით მიღებული კანონი. საქართველოში სასამართლო პრაქტიკა ახალი კანონმდებლობითა და არ განიხილება, როგორც სამართლის წყარო. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად, სამართლებრივი ნორმების განვითარებაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა და დღესაც ასრულებს სასამართლოების სასამართლოებში დაგროვილი მრავალრიცხოვანი სასამართლო პრაქტიკის და სასამართლო პრეცედენტების საფუძველზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა ახალი ნორმები.

სასამართლოების მიერ სამართლის გამოყენება და განვითარება მოითხოვს დიდ ცოდნას, პრაქტიკას, მეთოდოლოგიურ განათლებასა და ოსტატობას. ამასთან, სამართლებრივი საკითხებს გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია თვითონ მოსამართლის კეთილსინდისიერებისა და ზნეობის დონე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპების გამოყენების შესაძლებლობა, სასამართლოებს მიეღო რთვ შემთხვევებში თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს. ამ პრინციპების სასამართლო პრაქტიკაში დანერგვა კიდევ უფრო ამაღლებს მოსამართლეთა კვალიფიკაციონისა და მორალურობის მოთხოვნებს.

ვინაიდან, კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპების სამართლებრივი განმტკიცება საქართველოს კანონმდებლობისათვის ახალია, ინტერესს არ იქნება მოკლებული, გავიხსენოთ, რას გულისხმობს კანონმდებელი ამ დებულებებში.

კანონის ანალოგია ითვალისწინებს, იმ ურთიერთობების მოსაწყობისთვის, რომელიც კანონში არ არის ფიქსირებული, გამოყენებულ იქნას მსგავსი ურთიერთობების მარვევლირებული სამართლებრივი ნორმა; მაგრამ აუ კანონში ასეთი ნორმა ვერ გამოიწიება, მაშინ ურთიერთობა უნდა მოწყობილიყოს სასამართლიანობის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, კეთილსინდისიერებისა და ზნეობრიობის პრინციპების შესაბამისად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პუბლი 5).

საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რომელიც ზოგჯერ შეიძლება რეკლუარების გარეშე იყოს დარღვენილი, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის დროს, თავს იყრის საკმაოდ ბევრი გადაუჭრელი საკითხი: ამპატობ, კანონისა და სამართლის

ანალოგიის პრინციპების გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში შესაძლებელია უფრო ზშირი იყოს და აუცილებელი, ვიდრე შიდა სამართლებრივი სისტემის სხვა სფეროში.

საკონტროლო კითხვები:

1. რაში გამოიხატება საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროთა თავისებურებანი?
2. რა განსხვავებაა კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა და ინგლისურ-ამერიკული ქვეყნების სამართლის წყაროებში?
3. როგორია სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროთა სისტემა?
4. რა როლს ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებები საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში და როგორია მისი ადგილი შიდა სახელმწიფოებრივ სამართალში?
5. საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე, საქართველოს რომელ ქვეყნებთან და რა სახის ხელშეკრულებები აქვს დადებული?
6. რომელი ორგანოები და ორგანიზაციები ახორციელებს საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე კონვენციების შემუშავებას?
7. როგორ ხდება საერთაშორისო შეთანხმებებს მომზადება და შემუშავება?
8. რომელი უნივერსალური და რეგიონალური ხასიათის კონვენციები იციან?
9. რა ადგილი უჭირავს შიდა კანონმდებლობას საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროთა სისტემაში? ძალიადად რა გზებით ხორციელდება საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაცია სხვადასხვა ქვეყნებში?
10. რომელ ქვეყნებშია მიღებული სპეციალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ?
11. როდის არის მიღებული საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი? (დაახასიათეთ ზოგადად).
12. საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შიდა კანონმდებლობის გარდა, რა წყაროები იციან? (დაახასიათეთ თითოეული).

უნიფიცირებული ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1. სამართლებრივი უნიფიკაციის აუცილებლობა და უნიფიცირებული ნორმების სახეები

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების პროცესში წარმოიშობა მრავალი პრობლემა. ეს გარემოება, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებით და ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების თავისებურებებით არის გამოწვეული.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას, გარკვეული სიძნელის წარმოშობას განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას შორის განსხვავება. ამის გამო ერთი და იმავე საკითხის რეგულირებისათვის სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ შეიძლება დადგენილი იყოს განსხვავებული მანაძრის კალიბრული ნორმა, ან შეიძლება, ესა თუ ის ურთიერთობა, სამართლებრივად, საერთოდ არ იყოს მოწესრიგებული, რამაც ურთიერთკავშირში მყოფი ერთი რომელიმე მხარისათვის, შესაძლებელია, არასასურველი შედეგი გამოიწვიოს.

ერთიერთი სამოქალაქო ნორმების სხვადასხვაობა, საერთაშორისო ხასიათის მქონე ურთიერთობებში მათი გამოყენების შემთხვევაში, დღის წესრიგში აყენებს ერთიანი სამართლებრივი ნორმების შემუშავების საკითხს. ეს პროცესი საერთაშორისო მასშტაბით ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, ერთიანი საერთაშორისო ნორმები შემუშავდა საერთაშორისო სავაჭრო გარეგნობების, საერთაშორისო გადაზიდვების, საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში. შემდგომში, ერთიანი საერთაშორისო ნორმების შემუშავება დაიწყო საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში. სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციამ დაანჭარა მატერიალურ სამართლებრივი ნორმების უნიფიკაცია ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროში.

სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ შემუშავებულმა ერთიანმა საერთაშორისო ნორმებმა მიიღო უნიფიცირებული ნორმების, ხოლო ასეთი ნორმების შემუშავების პროცესმა სამართლებრივი უნიფიკაციის სახელწოდება.

საერთაშორისო კერძო სამართალში უნიფიცირებული ნორმები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: 1. უნიფიცირებული მატერიალური ნორმები და 2. უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები. გვხვდება აგრეთვე რეკომენდაციული ხასიათის უნიფიცირებული ნორმები.

უნიფიკაცია, თავისი დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს უნივერსალური. ე.ი. გამოიყენებოდეს ყველა ქვეყნის მიერ. აგრეთვე შესაძლებელია ის რეგიონალურ, ვიწრო ხასიათის ატარებდეს ე.ი. განკუთვნილი იყოს განსაზღვრული სახელმწიფოების თერტიდული და ფიზიკური ბირებისათვის.

სამართლებრივი უნიფიკაციის ფორმაა საერთაშორისო კერძო სამართლებრივ საკითხებზე ხელშეკრულებების დადება, რომელიც უნიფიცირებული ნორმების ინსტიტუტს მოიცავს. ეს ნორმები გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობების პროცესში. არსებობს უნიფიკაციის მეორე სამართლებრივი ფორმა, რომელიც გამოიხატება სანიშნო კანონებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. ეს ფორმა მიღებულია მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ. სანიშნო კანონებისა და რეკომენდაციების შემუშავებას ახორციელებენ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ორგანოები. მათი შემუშავება და მიღება ხდება, ასევე, ცალკეული სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულებების დადების გზით. უნიფიკაციის აღნიშნული ფორმა ახასიათებდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოებს. ამ სახელმწიფოთა სამართალს შორის უმნიშვნელო სახის განსხვავება ამსუბუქებდა სასამართლოების მიერ სამართლებრივი საკითხების რეგულირების პროცესს.

საერთაშორისო კერძო სამართლის უნიფიკაცია ხორციელდება აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებების შეკრებით. უნიფიკაცია მთელი რიგი რთული ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, რაც მთავარია, იქმნება უცხოური ელემენტების შემცველი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ერთიანი რეგულირების პირობები. განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა

სფეროში. საერთაშორისო ხელშეკრულებებში უნიფიცირებული ნორმები აისახება სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის საშუალებით, რის შესახებაც ზემოთ გვეხსენება საუბარი (თავი II).

§2 მატერიალური ნორმების უნიფიკაცია

უნიფიცირებული მატერიალური ნორმები განსაზღვრავს უცხო ელემენტების მქონე კერძო სასაიათის სამოქალაქო თუ შრომითი ურთიერთობების მასშაბულეთა უწყლებებსა და ვალდებულებებს.

არსებობს მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს უნიფიცირებულ მატერიალურ ნორმებს. მათ შორის: ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ნახევადობის, გადაზიდვის, ასევე საავტორო სამართლის სფეროში. მრავალი ასეთი ხელშეკრულება უნივერსალურია ე.ი. ის განკუთვნილია მრავალი ქვეყნისათვის გამოსაყენებლად.

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების უნიფიკაციის სფეროში აქტიურ მუშაობას ვწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია (UHCITRAL), მატერიალური სამართლის უნიფიკაციის საკითხებზე მუშაობს ევროკომისიაც (EC). აღნიშნული კომისია განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს სატრანსპორტო სფეროს პრიბლემატურ საკითხებს. საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების უნიფიკაციის საკითხები შედის მრავალი სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაციების ამოცანებში. მათ შორის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ფუნქციებში. ასევე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ამოცანებში. უნიფიკაციის საკითხებზე მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები შემუშავდა რომის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ. ამ ინსტიტუტთან არსებული სამთავრობო ორგანიზაცია უნიფიკაციის საკითხებზე მუშაობის შენდვომ გაფართოებას ითვალისწინებს. აღნიშნული კომისია ყურადღებას უთმობს უნიფიკაციის განხორციელებას ისეთ სფეროებში, როგორცაა ხელშეკრულებითი სამართალი, არჩენის, იჯარის, ღიზინვის საკითხები.

უნიფიცირებული ნორმების შემცველი საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს მრავალწლიანი მოსამზადებელი

მუშაობის შედეგს, რომელსაც ახორციელებენ დიპლომატიურ კონფერენციებზე, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებები მიიღება. მასამზადებელი სამუშაოების მომდინარეობის პროცესში ხდება ადრე დაიებული ხელშეკრულებების, ეროვნული სამართლის სისტემის ელემენტების, სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება, კომპრომისებზე წასვლა.

აღსანიშნავია, რომ საოჯანო და მემკიდრეობით სამართალში სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ნორმები ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულია, რომ მთელ რიგ საკითხებზე ერთიანი უნიფიცირებული ნორმების შექმნა ვერჯერობით მიღწეული არ არის, თუტცა ამ სამართლებით ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

§3 პროცესუალური ნორმების უნიფიკაცია

უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები ადგენენ ერთიან წესებს უცხოური ელემენტების მქონე კერძო სასაიათის სამართლებრივი ურთიერთობების საპროცესო მოწესრიგების მიზნით.

პროცესუალური ნორმებს მიზანია, იმ განსხვავებებსა და პრობლემების თავიდან აცილება, რაც არსებობს ეროვნულ პროცესუალურ სამართალში. ამ გზით სასამართლოსა და საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის საქმიანობის შემსუბუქება და საბოლოო ჯამში საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი უწყლებების დაცვა.

საერთაშორისო პროცესუალური სამართლის უნიფიკაცია საკითხთა ერთო წრეს მოიცავს. კერძოდ, ეროვნული სასამართლოების კონპეტენციას, ხარჯების ანაზღაურებას, უცხოური სასამართლოების დაჯალებების შესრულებას და სხვა საკითხებს.

მრავალმხრივი პროცესუალური ნორმებიდან, რომელიც უნიფიცირებულ ნორმებს შეიცავს, შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი კონვენციები. მათ შორის აღსანიშნავია პავის 1954 წლის კონვენცია საერთაშორისო პროცესის შესახებ. ფართოდ არის აღიარებული, აგრეთვე, ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია უცხოური არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესახებ. ევროპის 1961 წლის კონვენციით, დადგენილია მნიშვნელოვანი უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები, საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის მიერ დაჯების განხილვის წესების შესახებ.

უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები არ მოიცავს სასამართლოში საქმეების არსებითი განხილვის, სარჩელის წარდგენის, სასამართლო ხსდომების მომზადების, პროცესის წარმართვის, სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების გამოტანისა და მათი გასაჩივრების წესებს. ამ საკითხების მოწესრიგება ეროვნული პროცესუალური ნორმებით ხდება, რის გამოც, ამ სფეროში უნიფიკაციის აუცილებლობა არ არსებობს.

§4 რეკომენდაციული ხასიათის უნიფიცირებული ნორმები

უნიფიცირებული მატერიალური და პროცესუალური ნორმების შემუშავების გარდა, დაინტერესებული მხარეების მიერ ხდება რეკომენდაციული ხასიათის უნიფიცირებული ნორმების შემუშავება. ასეთი ხასიათის ნორმები საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება. რეკომენდაციული ხასიათის უნიფიცირებული ნორმები, განსაკუთრებით საერთაშორისო ნასყიდობის, ლიცენზირების, გეპტების დაფრანტების სფეროშია გავრცელებული.

საგარეო ვაჭრობის გარიგებების სარეკომენდაციო წესების შემუშავების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს შესაბამის ეროვნულ დაწესებულებათა შორის შეთანხმებების დადება, რომელსაც სავაჭრო პალატები ახორციელებენ.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ერთიანი სარეკომენდაციო ხასიათის ნორმები შემუშავებულია ზოგადი დებულებების, სანიმუშო და ტიპური ხელშეკრულებების სახით. ასეთი ხელშეკრულებები განსაკუთრებით სავაჭრო ნაოსნობის სფეროშია გავრცელებული.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციების მიერ გამოცემულია გემების ვაჭრავების შესახებ მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებები, პროფორმები, სააგენტო შეთანხმებათა ნიმუშები და ხელშეკრულებათა სხვა ფორმები, რომლებიც ზღვაოსნობაში გამოიყენება.

სარეკომენდაციო ხასიათის უნიფიცირებული ნორმების გამოყენება ხდება, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის საქმიანობაში. ამ კუთხით შემუშავებულია მთელი რიგი რეგლანმენტები. გარდა ამისა, რეკომენდაციული ხასიათის წესები შემუშავებულია როგორც ევროკავშირის კომისიების, ასევე გაეროს აზიისა და მორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური კომისიების მიერ.

უნიფიცირებული მატერიალური ნორმებისაგან განსხვავებით, რეკომენდაციული ხასიათის ნორმები, გარიგებების დროს შეიძლება შეიცვალოს. სარეკომენდაციო ხასიათის ნორმებს მოქმედების განსაზღვრული სფერო აქვთ. ამ ნორმებს სავალდებულო ძალა იმ შემთხვევაში ეძლევათ, თუ მათ კანონით დადგენილი წესით ასახვა პოუვს საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

§5 უნიფიცირებული ნორმების სამართლებრივი ბუნება

საერთაშორისო ხელშეკრულებებში უნიფიცირებული ნორმები, მიღების პროცედურის მიხედვით, საერთაშორისო სამართლებრივ ხასიათს ატარებს.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიღების პროცედურა მოიცავს სორმათა შემუშავებას, მოწონებას, გადასინჯვასა და მიღებას.

უნიფიცირებული ნორმები შინაარსის მიხედვით სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა, რომელიც უცხოური ელემენტების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს და ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წარმომობილ სამოქალაქო პროცესის საკითხებს არეგულირებს.

იმისათვის, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებში უნიფიცირებულმა ნორმებმა მიიღოს შიდა სახელმწიფოებრივი ხასიათი და ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნების იურიდიული და ფიზიკურა პირებისათვის სავალდებულო გახდეს, სორციელება განსაკუთრებული იურიდიული პროცედურა, იგი ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებით უნიფიცირებული ნორმების ჩართვას ეროვნულ კანონმდებლობაში.

იურიდიულ-ტიქნიკური ნიშნების მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებებში უნიფიცირებული და ეროვნულ-მატერიალური ნორმები ერთგვაროვანია და გამოიყენებენ ანალოგიურ სამართლებრივ ცნებებსა და ელემენტებს.

უნიფიცირებული ნორმების განსაკუთრებული ხასიათი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდგომარეობს იმაში, რომ შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტირების შემდეგ ისინი ინარჩუნებენ განკერძოებულობასა და ავტონომიას, ამის გამო მათი განმარტება და გამოყენება არ შეიძლება განხორციელდეს. სამართლის იმ სისტემის კონცეფციებით, რომლის

ჩარჩობებშიც ისინი მოქმედებენ, რამდენადაც აღნიშნული მიგვიყვანდა უნიფიცირებული ნორმების სხვადასხვა გაგებადღის. როგორც ერთგული, ასევე უნიფიცირებული ნორმები შეიძლება იყოს სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებისათვის სავალდებულო. ე.ი. შეიძლება ჰქონდეს იმპერატიული ხასიათი, ან შეიძლება ატარებდეს დისპოზიციურ ხასიათს, ანუ ითვალისწინებდეს შეთანხმებას უნიფიცირებული ნორმებისაგან გადახვევის შესახებ. არსებობს აგრეთვე შეფარდებითი იმპერატიული ხასიათის ნორმები. ეს ისეთი ნორმებია, რომლის გამოყენებისაგან თავის არიდება სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე მხარეებს შეუძლია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე.

სატრანსპორტო სფეროში მიღებულ კონვენციებში მრავალი ნორმა იმპერატიული ხასიათისაა. მაგალითად, ნორმები ვადაშიდგელის პასუხისმგებლობის შესახებ. ზოგიერთი სახის საერთაშორისო ხელშეკრულება შეიცავს დისპოზიციურ ნორმებს. მაგალითად, გაეროს 1980 წლის კონვენცია ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ.

იმპერატიული ხასიათისაა უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები. მისი სავალდებულობა ამ სფეროს სამართლებრივი საქმიანობის თავისებურებებით არის განპირობებული, რაც მისთვის დამახასიათებელი ძალაუფლებრივი საწყისებიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება სავაჭრო სავაჭრო არბიტრაჟთან დაკავშირებულ უნიფიცირებულ პროცესუალურ ნორმებს, მრავალი ასეთი ნორმა დისპოზიციურია, ამას განაპირობებს ის, რომ არბიტრაჟში სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების განხილვა, უმრავლეს შემთხვევაში, მოდავე მხარეთა შეთანხმებას ეფუძნება. მათ შესაძლებლობა ეძლევათ თვითონ განსაზღვრონ საარბიტრაჟო განხილვის პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ უნიფიცირებული ნორმების არსებობა ცალკეული ქვეყნების მიერ მიღებულია, ეს საკითხით ვერ უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გაგებასა და გამოყენებას. ამის მიზეზია ის, რომ უნიფიცირებულ ნორმებს იყენებენ სხვადასხვა ეროვნულ-სამართლებრივი კონცეფციების ქვეშ მყოფი პირები. უნიფიცირებული ნორმების ერთგვაროვანი გამოყენებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას მათი ერთნაირი აღქმა. ამ მიზნით მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს წესებს, რომლის თანახმად, უნიფიცირებული ნორმების გამოყენებისა და განმარტებისას საერთაშორისო მანტაბით წარმოსთბილი კერძო

ხასიათის ურთიერთობების გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი საერთაშორისო ხასიათი და ერთნაირობის მიღწევის აუცილებლობა.

უნიფიცირებული ნორმების თვრიდიული ძალა განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებას ძალის მიხედვით. მისი მოქმედების დონე დამოკიდებულია მოცემული ნორმის დანიშნულებაზე, ამა თუ იმ სფეროში: სტაბილური უნიფიკაციის მიღწევის შესაძლებლობაზე, რომელიც მასალება უნდა იყოს ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის.

საკონტროლო კითხვები

1. რა გარემოებებითაა გამოწვეული სამართლებრივი უნიფიკაციის აუცილებლობა?
2. რამდენ ჯგუფად იყოფა უნიფიცირებული ნორმები (დაახასიათეთ თითოეული მათგანი)?
3. როგორია უნიფიცირებული ნორმების სამართლებრივი ბუნება?

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და რეგულირების მეთოდები.

§1 რეგულირების კოლიზიური და მატერიალურ-სამართლებრივი მეთოდი.

1. კოლიზიური ნორმის თავისებურებები. საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება ხორციელდება როგორც კოლიზიური, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი მეთოდით. ამ გარემოებაში ვლინდება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშანი.

ვინაიდან, საერთაშორისო კერძო სამართლის წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება კოლიზიურ ნორმებთან და საერთაშორისო ხასიათის მქონე ურთიერთობების რეგულირების კოლიზიურ მეთოდთან არის დაკავშირებული, თავდაპირველად შეგვიხებით ამ საკითხს.

სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის ლიტერატურაში კოლიზიური ნორმის დახასიათებისას ხშირად აღნიშნავენ, რომ უცხოური ელემენტების შემცველა ურთიერთობების რეგულირების დროს, ყოველთვის წამოიჭრება ე.წ. კოლიზიური კითხვა: ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო კანონიდან რომელი იქნეს გამოყენებული. — ის კანონი, რომელიც მოქმედებს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც დავის განმხილველი სასამართლო მდებარეობს, თუ უცხოური კანონი ანუ იმ ქვეყნის კანონი, რომელსაც მიეკუთვნება უცხოური ელემენტი განსახილველ საქმეში. წარმოშობილი წინააღმდეგობა დღის წესრიგში აყენებს კოლიზიურ პრობლემას ანუ სამართლის არჩევის პრობლემას. კანონის კოლიზია სხვა დარგებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგრამ თუ ამ დროს მისი მნიშვნელობა შედარებით მეორე ხარისხოვანია და დაქვემდებარებული ხასიათისაა, საერთაშორისო კერძო სამართალში კოლიზიური პრობლემა და ამ პრობლემის გადაწყვეტა ამ დარგის ძირითად საკითხს წარმოადგენს.

კოლიზიის აღმოფხვრა შესაძლებელია ე.წ. კოლიზიური ნორმის მეშვეობით. კოლიზიური ნორმები განსაზღვრავენ, რომელი კანონი

გამოვიყენოთ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, უცხოური თუ შიდა სახელმწიფოებრივი.

საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლიზიური ნორმა საბოლოოდ ვერ წვეტს საკითხს. მისი ძირითადი ნიშანია მითითება. ის მიუთითებს მატერიალური ნორმისაკენ, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთობის არსებითად გადაწყვეტის წესს და საკითხი უნდა გადაწყდეს ამ წესის შესაბამისად. ამდენად, კოლიზიური ნორმა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ერთმანეთთან არის შესამეზული. საკვებით უნდა ვავიზიაროთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ რომ „კოლიზიური ნორმა არეგულირებს განსაზღვრულ ურთიერთობას, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ იმ სამართლებრივ წყაროებთან ერთობლიობაში, რომლის ქვეყცა ის მიუთითებს“¹.

არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის თანახმად, კოლიზიური ნორმა არ არეგულირებს უცხო ელემენტების მქონე სამოქალაქო სამართალურითიერთობას. მის ფუნქციაში შედის მხოლოდ ის, რომ ამ ურთიერთობათა რეგულირებისათვის მიუთითოს განსაზღვრულ სამართლებრივი სისტემისაკენ (საკუთარი ან სხვისი) ამ ურთიერთობათა ყველა შემდგომი რეგლამენტაცია ხორციელდება ამ სისტემის მატერიალურ სამართლებრივი ნორმების წესებით².

კოლიზიური ნორმის ანუ როგორც მას უწოდებენ „ნორმა, ნორმის შესახებ“, მოძღვრების ქვეშ იგულისხმება კოლიზიური ნორმის განვითარების ერთი ნორმის მეორე ნორმზე მოქმედების, ნორმის შერჩევის შესახებ მოძღვრება³.

კოლიზიურ ნორმათა დრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოლიზიური ნორმა არა მარტო მიუთითებს განსაზღვრულ სამართლებრივ სისტემაზე, არამედ არჩევს იმ სამართალს, რომელიც უფრო შესაფერისია კონკრეტული ურთიერთობის რეგულირებისათვის. მართალია, კოლიზიური ნორმა არის ერთგვარი სახელმძღვანელო ხასიათის ნორმა, მაგრამ ის არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც აბსტრაქტული ცნება,

1. Перетерский И.С., Крылов С.Б. Международное частное право 1959 с. 11. Луиц Л.А. Курс международного частного права общая часть. М. 1973 с. 188.

2. Международное частное право. Под ред. Г.К. Мавшова. Киев 1985 с. 18.

3. М.М. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы - ТЕИС 1994-507 с. с. 5.

მათემატიკური ფორმულა, რომელიც მხოლოდ საჭირო ნორმის შერჩევაში გვეხმარება. კოლიზიურ ნორმას მითითებით ფუნქციასთან ერთად რეგულირების ფუნქციაც აკისრია⁴. კოლიზიური ნორმის გამოყენების დროს უნდა გადაწყდეს მთელი რიგი არსებითი საკითხები, როგორცაა: ნაცვალგება, კვალიფიკაცია, საჯარო წესრიგის დებულებების სავალდებულო ვათვალისწინება, იმპერატორული ნორმების დაცვა და სხვა. მათი გადაწყვეტა დაბრკადებულია იმაზე, შესაძლებელია თუ არა საერთოდ გამოყენებულ იქნეს უცხოური სამართალი და როგორი იქნება მისი გამოყენების ფარგლები. აღნიშნული ვარემოებაც ადასტურებს იმას, რომ კოლიზიური ნორმა არა მარტო მიუთითებს გამოსაყენებლ სამართალზე, არამედ თვითონაც აქტიურად არის ჩართული სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში. ის კერძო ხასიათის ურთიერთობათა ხელსაყრელ რეგულირებას ემსახურება.

2. სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური ნორმების ურთიერთდაპირისპირების შემთხვევები. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკისათვის ცნობილია სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური ნორმების ურთიერთშეჯახების არაერთი საინტერესო მაგალითი, რომელიც ნათლად ვიკიქებს ეროვნულ კოლიზიურ ნორმათა წინააღმდეგობრივ თვისებებს.

—80-იან წლებში რუსეთსა და საფრანგეთს შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე რუსეთში ჩამოვიდა ფრანგი ქალიშვილი. ის სწავლობდა ერთ-ერთ უნივერსიტეტში და ცოლად გააკვა რუსეთის მოქალაქეს. ამის შემდეგ დაბრუნდა საფრანგეთში, საიდანაც გამოაგზავნა წერილი, რითაც ითხოვდა მისი ქორწინება რუსეთის მოქალაქისთან ლათინად ეცნო, რადგან ქორწინების დროს დარღვეული იყო საფრანგეთის კანონმდებლობა, რომლის თანახმად მას, როგორც თვრამეტი წლის ასაკის პირს, მშობლების თანხმობის გარეშე დაქორწინების უფლება არ ჰქონდა. მოცემულ შემთხვევაში კი ეს წესი დაცვლი არ იყო⁵.

ისმება კითხვა, სწორი იყო თუ არა საფრანგეთის მოქალაქის მოთხოვნა ქორწინების გაბათილების შესახებ? ამ შეკითხვას უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი შემდეგი მიზეზით:

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы. ТЕМС 1994-507 с. с. 5.
 2. Л. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., перераб. и доп. - М. Юрист 1998-408 с. с. 75.

რუსეთის კანონმდებლობის საფუძველზე (სადაც მოხდა ქორწინება), რუსეთის მოქალაქის უცხოელთან ქორწინება უნდა მომხდარიყო და განხორციელდა კიდევ ადგილობრივი კანონმდებლობით. ამ კანონით კი, თვრამეტი წლის ასაკის პირს, როგორც სრულწლოვანს, მშობლების თანხმობა არ სჭირდებოდა. საფრანგეთის მოქალაქის ქორწინება რუსეთის მოქალაქისთან გაფორმებული იყო სწორად, რუსეთში იმ დროისათვის არსებული კანონმდებლობით, რომელიც ქორწინების დროს უცხოელის პიროვნული კანონის გამოყენებას არ ითვალისწინებდა.

ანალიტიკური პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა ფრანგი მოქალაქე საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინების შემთხვევაში, რადგან საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სსრკ-ს მიერ ტერიტორიაზე საოჯახო ურთიერთობებში ურთიერთმსგავსი ნორმები მოქმედებდა.

საქართველოში ამჟამად მოქმედი საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მრავალი კოლიზიური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. ქორწინებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში კანონმდებლობაში არსებული სასსლე კი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მიხედვით, ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება (მუხლი 44). საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით კი, უცხოელთა ქორწინების დროს აუცილებელია სათანადო ცნობის წარმოდგენა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი: 1016 მუხლი).

ბუნებრივია, რომ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის შესახებ სათანადო ცნობის წარმოდგენა საჭიროა როგორც უცხოელთა ურთიერთშორის დაქორწინებისას, ასევე იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა, მეორე კი უცხოელი (შერეული ქორწინება).

განვიხილოთ მეორე მაგალითი:
 საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საკავშირო ვაერთიანებამ, ვერ კიდევ მორე მხოლოდ იმის დაწყებამდე ხელშეკრულდა დადო შევიცარიის ფარმასთან. იმის დაწყების შემდეგ ხელშეკრულებათა ვათვალისწინებული დაზგების მიწოდებასთან დაკავშირებით წამოიჭრა სიძულე და უნდა დასმულიყო იმ აგანის დაბრუნების საკითხი, რომელიც გაცემული იყო შევიცარიის ფარმის ხელზე, მაგრამ ვაიარა დიდმა დრომ და სარჩელის ხანდაზმულობის ვილა ანოიწერა.

საბჭოთა მხარე წამოჭრა სანდახმულობის ვადის აღდგენისა და ავანის დაბრუნების საკითხი. მაგრამ დღის გადაწყვეტის წესის შესახებ ხელშეკრულებაში არაფერი იყო აღნიშნული, ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლებელია მხოლოდ ხელშეკრულებაში მოხაწილე ქვეყნების, საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის კანონმდებლობიდან გამომდინარე.

დავა განიხილა საგარეო ეპტრობის საარბიტრაჟო კომისიამ (1950 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება).

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს ურთიერთობაში მონაწილე მხარეებთან, შვეიცარიის ფორმა შვეიცარიის სამართლის გამოყენებას მოითხოვდა. საბჭოთა კავშირის მხარე პირიქით, საბჭოთა კავშირისას.

საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, საგარეო ეპტრობის გარიგებების დროს ხელშეკრულების დადების ადგილის კანონი უნდა გამოყენებულიყო (ხელშეკრულება დადებული იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ე.ი. საბჭოთა კანონმდებლობა).

შვეიცარიის კოლიზიური ნორმით კი ვითვალისწინებული იყო, ხელშეკრულების შესრულების ადგილის კანონის გამოყენება (ხელშეკრულების შესრულება ხდებოდა შვეიცარიაში, ე.ი. შვეიცარიის კანონმდებლობა).

ამრიგად, საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის კოლიზიურ ნორმები ერთმანეთს დაუპირისპირდა და შექმნა ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაცია. რამაც სასამართლო დააყენა დილემის წინაშე — ერთმანეთის საპირისპირო ორი კანონიდან, რომელი ქვეყნის სამართლის ნორმებით ეხელმძღვანელა დღის გადაწყვეტის დროს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა კოლიზიური ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების შესრულების ადგილის კანონის გამოყენებას.

საერთაშორისო კერძო სამართლის სასამართლო პრაქტიკაში შექმნილმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო უნიფიცირებული მატერიალური ნორმების ჩამოყალიბების პროცესს და სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას. ეს კი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების უფრო მეტად ხელსაყრელი რეგულირების უზრუნველყოფის საწინდარი გახდა.

როგორც აღინიშნა, შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართალში მოქმედებდა ხელშეკრულების პირობების შესრულების ადგილის პრინციპი, ამჟამად შვეიცარიის კანონმდებლობა ითვალისწინებს კოლიზიურ ნორმას, რომელიც გარდაცემის დროს შთაეარ ადგილზე აყენებს იმ ქვეყნის კანონს, რომელთანაც ხელშეკრულებას ვველაზე მჭიდრო კავშირი აქვს. ამ კოლიზიურ პრინციპს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმაც მნიშვნელოვანი ადგილი

უჭირავს. გარდა ამისა, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, სახელმწიფო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა ხდება მხარეთა მათ შერჩეული კანონით, მაგრამ სამართლის არჩევა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულებასთან ვველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

3. მატერიალური ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში. საერთაშორისო კერძო სამართალი კოლიზიურ ნორმებთან ერთად თავის შემადგენლობაში აერთიანებს მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, რომელსაც შეიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა შიდა საკანონმდებლო აქტები. ამ საერთაშორისო ხელშეკრულებების როლის ამაღლება, რომელიც მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს აერთიანებს, საბუნებრივ ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებასთან არის დაკავშირებული. სავაჭრო, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური, სატრანსპორტო და სხვა სახის ურთიერთობების სფეროში ერთგვაროვანი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შექმნა, ერთის მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობას შორის არსებული განსხვავებისა და შეორეს მხრივ, მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ არც თუ ისე იშვიათად, მაგა კანონმდებლობის ნორმები ამ სახის ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას ნაკლებად ითვალისწინებენ.

თანამედროვე პირობებში მთელი რიგი ქვეყნები აფართოებენ უნიფიცირებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენების სფეროს. მაგრამ, უნიფიკაციამ შეუძლებელია მოიცვას და უზრუნველყოს ყველა საჭირო და აუცილებელი ურთიერთობების რეგულირება. რიგ შემთხვევაში, ამა თუ იმ ურთიერთობების რეგულირების სათვის ხელსაყრელია კოლიზიური მეთოდის გამოყენება, ხოლო კი უშუალოდ მატერიალურ-სამართლებრივი მეთოდის გამოყენება.

საერთაშორისო კერძო სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებების მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან ერთად, თავის შემადგენლობაში აერთიანებს შიდა კანონმდებლობის მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც საყრდენად

განკუთვნილია უცხოური ელემენტების მქონე კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის. ასეთ ნორმებს უნდა მივაკუთვნოთ:

ა) ნორმები, რომლებიც საგარეო ეკონომიკურ, სავალუტო, საფინანსო, სავადასახადო, საბაჟო ურთიერთობებს არეგულირებენ.

ბ) ნორმები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებულ უცხოური ინვესტიციების მქონე ორგანიზაციების სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს საინვესტიციო საქმიანობას შეეხებიან.

გ) ნორმები, რომლებიც უცხოელი მოქალაქეებისა და უცხოური ორგანიზაციების სამოქალაქო და პროცესუალურ უფლებებს და საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქის სტატუსს განამტკიცებენ.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების მატერიალურ-სამართლებრივი მეთოდი არის რეგულირების პირდაპირი მეთოდი. ამ შემთხვევაში, კანონმდებელი რეგულირების ირიბი მეთოდის გამოყენების ნაცვლად (რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლისათვისაა დამახასიათებელი), ქმნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სისტემას, რომელიც განკუთვნილია იმ ურთიერთობების უშუალო რეგულირებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ხასიათს ატარებენ.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების კოლიზიური მეთოდი კი — არის რეგულირების ირიბი მეთოდი, რადგან ამ დროს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა გამოიყენება კოლიზიური ნორმის მითითების საფუძველზე.

მატერიალურ-სამართლებრივი მეთოდის კოლიზიურს მეთოდისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ის პირდაპირ და უშუალოდ არეგულირებს არსებულ ურთიერთობას და მისი შინაარსი წინასწარ არის ცნობილი, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებისათვის, ასევე იმ ორგანიზებისათვის, რომლებიც ამ ნორმებს გამოიყენებენ. კოლიზიური მეთოდის გამოყენების დროს კი გამოსაყენებელი სამართლის შინაარსი ცნობილი ხდება მას შემდეგ, რაც დადგინდება ნორმა, რომლისკენაც მითითებაა მიმართული.

საბოლოოდ, საერთაშორისო კერძო სამართალში კოლიზიური და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენებას საფუძვლად უდევს ერთი მიზანი: ორი სხვადასხვა სამართლებრივი მეთოდით მოწყობილეს თავისი ხასიათით ერთიანი წარმოშობის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები.

§2 კოლიზიური ნორმების სტრუქტურა

კოლიზიური ნორმა, რაგონაც თავისი მნიშვნელობით, ასევე ყოვლობით და სტრუქტურით, მნიშვნელოვნად განსხვავდება სამართლის სხვა ტრადიციული ნორმების სტრუქტურისაგან. მაგალითად, თუ სამართლის ნორმის სტრუქტურა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს — პიპოტენზას (ნორმის გამოყენების პირობები და გარემოებები), დისპოზიციას (მოქმედების წესი, შინაარსი) და სანქციას (სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიების სახეები), განსხვავებით აღნიშნულისა, კოლიზიურ ნორმაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც ურთიერთდამოკიდებულებით და მჭიდრო კავშირში ხასიათდება და ქმნის ერთ მთლიან კოლიზიურ ნორმას. კოლიზიური ნორმის ეს ელემენტები რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მოხსენებულია „*ОБЪЕМ*“-ისა და „*ПРИВЯЗКА*“-ის სახელწოდებით¹.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში კოლიზიური ნორმის შემადგენელი ელემენტების გამომხატველი შესაბამისი ქართული ტერმინოლოგია ფერჯერობით არ არსებობს. ჩვენ, ქვემოთ, მთი მოვიხსენიებთ კოლიზიური ნორმის მოცულობით და მითითებით ნაწილებად.

კოლიზიური ნორმის პირველ ანუ მოცულობით ნაწილში აღწერილია ის პირობები და გარემოებები, იმ ურთიერთობის შინაარსი, რომლის რეგულირებისთვისაც უნდა იქნეს გამოყენებული ეს ნორმა. ხოლო, კოლიზიური ნორმის მეორე ნაწილი მითითებითი ხასიათისაა და ეს მითითება მიმართულია იმ გამოსაყენებელ სამართალზე (ადგილობრივ ან უცხო სახელმწიფოში), რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა.

მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი ნორმა: „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება (საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მუხლი 32).“

აღნიშნულ ნორმაში „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა“, არის ნორმის პირველი ანუ მოცულობითი ნაწილი. საერთაშორისო კერძო სამართლის ინტერპრეტების სფეროში შედის

1. იხ. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., перераб. и доп. - М. Юристъ 1998-408 с. с. 82.

იმის განსაზღვრა, თუ რომელი სამართლით მოწესრიგდეს აღნიშნული სახის ურთიერთობა; ხოლო საკითხი, თუ რა არის ნივთზე უფლება, როგორ ხდება ამ უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა, ეს სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტურ საკითხებია, რომლის ცოდნა აუცილებელია საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლისათვის.

„იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება“ — არის კოლიზიური ნორმის მითითებითი ნაწილი, რომელსაც მიმართულია იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემისაკენ, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოიყენონ და რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ეს ურთიერთობა.

ამრიგად, კოლიზიური ნორმის დანიშნულებაა განსაზღვროს ის სამართალი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო კავშირების სფეროში წარმოშობილი კერძო ხასიათის საკითხების მოსაწესრიგებლად. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ასეთი რეგულირების პრეტენზია აქვთ სხვადასხვა ქვეყნებს და აუცილებელია აღმოიფხვრას წარმოშობილი კოლიზია.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად, კოლიზიური ნორმის სტრუქტურა მოიცავს მესამე სტრუქტურულ ელემენტს, პიპოთეზის სახით, რომელიც ამ ნორმის გამოყენების ნიშნებს განსაზღვრავს¹.

ამ შეხედულების მომხრენი მიიჩნევენ, რომ უფრო მეტად მოქნილი და ზუსტი სამართლებრივი გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა კოლიზიურ ნორმაში, ნორმის გამოყენების პიპოთეზის უფრო მეტობად გამოხატვა.

კოლიზიური ნორმის მეცნიერული ანალიზის პიპოთეზებიდან გამოდინარე, კოლიზიურ ნორმაში პიპოთეზის სახით სტრუქტურული ელემენტის გამოყოფა, მართალია, საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევავსოთ კოლიზიური ნორმების შემადგენლობა, მისი მოქმედების რეალური მექანიზმი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კოლიზიური ნორმის პიპოთეზა მოქცეულია კოლიზიური ნორმის მოცულობით ნაწილში, მისი ცალკე გამოყოფის აუცილებლობა არ არსებობს.

§3. კოლიზიური ნორმის მითითება (მითითების „ფორმულები“)

მითითება კოლიზიური ნორმის დამახასიათებელი ნიშანია. ეს საკმაოდ რთული ელემენტი განსაზღვრავს სამართლებრივი რეგულირების შედეგებს. აქიდან გამომდინარეობს ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც იურისულ ლიტერატურაში კოლიზიურ ნორმის მითითებას, მის არჩევასა და ფორმულირებას ეთმობა.

კოლიზიური ნორმის მითითებითი ნაწილის კვლევის დროს, სტრუქტურული ნორმად გამოყოფენ სამ საკვანძო ელემენტს (სუბიექტი, ობიექტი, იურიდიული ფაქტი). მათი მოსაზრებით, გამოსაყენებელი სამართლის შერჩევა (ანუ ავტორთა გამოთქმით, „ურთიერთობათა ლოკალიზაცია“), უნდა განხორციელდეს ამ სამი ელემენტის გათვალისწინებით².

ეს თეზისი, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ანალიზის მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარეობს სავსებით საფუძვლიანია, რამდენადაც სამართლებრივი რეგლამენტაცია შეუძლებელია ეფექტური და რაციონალური იფოს დასარეგულირებელი ურთიერთობების მინარსის, მისი სუბიექტისა და ობიექტის გათვალისწინებლად.

კოლიზიური ნორმის მითითება ზორციელდება ორი ფორმით:

1) შესაძლებელია მითითება მიმართული იფოს იმ კონკრეტული ქვეყნის სამართალზე, რომელიც უნდა გამოიყენონ. ასეთად, ჩვეულებრივ, გვევლინება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მიღებულია მოცემული კოლიზიური ნორმა;

2) შესაძლებელია ზოგადი მითითება, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება გამოსაყენებელი სამართალი. ასეთი ზოგადი მითითება დაიფანება ექვს ძირითად „ფორმულაში“³, რომელთაც აქვთ მოკლე ლათინური სახელწოდებები:

ა) სამართალურთიერთობების მონაწილეების პიროვნული კანონი (lex personalis) (ფიზიკური პირის მოქალაქეობის კანონი, — მისი ადგილსამყოფელი. იურიდიული პირის „აროვნულობის“ კანონი, მისი ადგილმდებარეობის კანონი);

ბ) ნივთის ადგილმდებარეობის კანონი (lex rei sitae);

გ) აქტის შესრულების ადგილის კანონი (lex loci actus) — (მართლზომიერი გარიგების დროს, მართლზომიერი დელიქტების შემთხვევაში);

დ) საქმიანობის განხორციელების ადგილის კანონი (lex loci activitatis).

ე) სასამართლოს (არბიტრაჟის) კანონი (ე.ი. იმ ქვეყნის სასამართლოს ადგილმდებარეობის კანონი, რომელსაც უნდა განახილოს დავა) (lex fori);

ვ) იმ ქვეყნის კანონი, რომელთანაც მოქმედი ურთიერთობა ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული (lex causae).

აღსანიშნავია, რომ დოქტრინაში კოლიზიური ნორმის მითითების სახეები მოიხსენიება როგორც კოლიზიური პრინციპების, ასევე კოლიზიური კრიტერიუმების სახით.

არსებობს სხვა მრავალი სახის მითითება, მაგრამ ისინი არ ცვლიან მითითებათა საერთო და ძირითად ხერხებს: მაგალითად, „მოთხოვნის ზანღაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება“ (საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, მუხლი 30); მეურვეობისა და მზუნველობის საკითხების მოწესრიგების დროს, კანონით განისაზღვრულ შემთხვევაში გამოიყენება „იმ ქვეყნის კანონი, რომელიც უფრო ხელსაყრელია სამეურვეო პირისათვის“ (მუხლი 54) „სახელმწიკრულებო ურთიერთობებისადან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით“ (მუხლი 35).

როგორც ვხედავთ, კოლიზიური ნორმის მითითების სახეებში, ჩვეულებრივ, ნართულია „მხარეთა არჩევანი“. ამ დროს კოლიზიური საკითხების გადაწყვეტასა და შესარჩევი ნორმის გამოყენებაში თვითონ მხარეები მონაწილეობენ, რომლებიც „სუბის ავტონომიის“ ძალით მოქმედებენ. ამასთან, სამართლის არჩევა მხარეების მიერ შეიძლება მოხდეს სუბსიმიერ დროს ხელშეკრულების დადების პროცესში. მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ სახელმწიკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი, სახელმწიკრულებო ვალდებულებათა შესრულებისა და შეწყვეტის პირობები. უცხო ელემენტების შემცველი გარიგების დროს მხარეებს თვითონ შეუძლიათ აირჩიონ გარიგების ფორმა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა კანონით დადგენილი გარიგების ფორმის დაცვა საკლებულია,

მათ ამის უფლება არა აქვთ გარიგებამ; მონაწილე მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ ის სამართალი, რომელსაც კავშირი აქვს მოცემულ ვალდებულებასთან და რომელიც ფაქტიურად დაკავშირებულია ხელშეკრულების შემადგენლობასთან. ამასთან, მხარეთა არჩევანი არ უნდა იწვევდეს ამ ქვეყანაში მოქმედი იმპერატიული ნორმების უკუღებულყოფას.

ზოგიერთი ავტორის მიერ „მხარეთა არჩევანი“ მიჩნეულია კოლიზიური ნორმის მითითების ერთ-ერთ პრინციპად. იურიდიულ დოქტრატურაში გამოთქმულია ყურადსაღები შეხედულება იმის შესახებ, რომ „მხარეთა ავტონომია“ არის საერთაშორისო კერძო სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც სპეციალური ნაშნებით ხასიათდება და დადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ წარმოადგენს კოლიზიური ნორმის მითითების კრიტერიუმს.

ეს მოსაზრება შეიძლება დავასაბუთოთ იმით, რომ მხარეთა შესაძლებლობა აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, ვერ კიდევ არ იძლევა საბოლოო შედეგს. საბოლოო, რომელიც მათ არჩევით უნდა გამოიყენონ შესაძლებელია თავად შეცვალებს კოლიზიურ მითითებას. მხარეებს ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის სხვადასხვა კრიანტის შერჩევის შესაძლებლობა აქვთ. ასე მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ კონტრაქტის ხელის მოწერის ადგილის ან კიდევ, გამოიყენოს ორგანიზაციის მდებარეობის ადგილის კანონი და სხვა. მხარეთა არჩევანი მასშტაბული უნდა იყოს ფაქტიურად არჩეული და მოქმედი საკანონმდებლო სისტემისაკენ. ამასთან, ნების თავისუფლება მონაწილური თვალსაზრისით არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „გარიგება, შეიძლება ბათილად ჩითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამგვარა შეუსაბამობა და გარიგება დაიღო იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მიძი მდგომარეობით, ან გამოუცდებლობით (გულუბრყვილობით)“, (მუხლი 55).

პიროვნული კანონი. პიროვნული კანონი ძირითადად ცნობილია არა სახით: მოქალაქეობის ასეუ ეროვნული კანონით (lex patriae) და

საცხოვრებელი ადგილის კანონით (lex domicilii), ე. ი. იმ ქვეყნის კანონით, სადაც მოცემული პირი ბინადრობს. ამ ორი სახეობიდან შედარებით ძველია დომიცილის კანონი. ის გამოიყენებოდა ფეოდალურ საფრანგეთში. 1804 წელს შეიცვალა მოქალაქეობის კანონით (ნაპოლეონის კოდექსით).

კოლიზიური ნორმის მითითების ეს ორივე სახე გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის განსაზღვრის შემთხვევაში. კერძოდ, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით: „ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. იმ პირის მიმართ, რომელიც რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, სხვა სახის მითითებასთან ერთად (ურთიერთობაში მონაწილე პირთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის კანონი, საქმიანობის ადგილის კანონი), გამოიყენება ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი (მუხლი 32). ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის მიმართ, სხვა ალტერნატიულ მითითებასთან ერთად (ძირითადი საქმიანობის ადგილი). (მუხლი 22). ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება გარიგების დროს. მაგალითად, პირს, იმის დასამტკიცებლად, რომ არ მიუცია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, შეუძლია მიმართოს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალს (მუხლი 27). პიროვნული კანონი გამოიყენება საოჯახო ურთიერთობებში, ასევე სამემკვიდრეო სამართალში.

იურიდიული პირის პიროვნული კანონი (lex societatis). სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა არაერთგვაროვნად წყვეტს იურიდიული პირის სამოქალაქო სამართალსუბიექტობის საკითხს. აქედან წარმომიშობა კოლიზიური კითხვა იურიდიული პირის „პიროვნულობის“ შესახებ. ეს ტერმინი იურიდიული პირის მიმართ პირობით ხასიათს ატარებს. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იურიდიული პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. ეს წესი გამოიყენება მისი ფილიალის მიმართაც (მუხლი 24). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, იურიდიული პირის „პიროვნულობის“ განსაზღვრა ხდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოხდა მოცემული იურიდიული პირის

დაფუძნება (ინკორპორაცია). იურიდიული პირის „პიროვნულობა“, ასევე განისაზღვრება იურიდიული პირის საქმიანობის ადგილის კანონით.

ნივთის ადგილმდებარეობის კანონი. ეს კოლიზიური პრინციპი გამოიყენება მთელი რიგი ქვეყნების მიერ ხანითო. საქორწინო, სამემკვიდრეო ურთიერთობებში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სანივთო სამართლის ანუ საკუთრების ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს იმ ქვეყნის კანონი, სადაც ნივთი იმყოფება. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, სანივთო სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მითითებით (კოლიზიური) ნორმის მხედვეთა, სხვა ქვეყნის სამართალი უნდა გამოყენებულიყო (მუხლი 32). ამრიგად, ამ ნორმის გამოყენებას იმპერატიული ხასიათი აქვს.

აქტის შესრულების ადგილის კანონი. კოლიზიური ნორმის ეს მითითება გამოიყენება სანივთო სამართლის, მემკვიდრეობითი სამართლის, საქორწინო სამართლის სფეროში. ასევე სახელმწიფოებო და ზაიანს მყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში და გულისხმობს იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებას, სადაც არსებულ სამართალურითობასთან დაკავშირებული აქტი შესრულდა.

ფართოდ არის გავრცელებული გარიგების დადების ადგილის (lex loci contractus), ელდებულების შესრულების ადგილას კანონის (lex loci solutionis), გამწოდველი ორგანიზაციის ქვეყნის კანონის (lex venditoris), ზიანის მყენების ადგილის კანონის (lex loci delicti commissi) გამოყენება. ისინი აქტის შესრულების ადგილის კანონის სახეებს წარმოადგენენ.

რიც ქვეყნებში საოჯახო სამართალში გამოიყენება ქორწინების ადგილის კანონი (lex loci celebrationis). ეს კოლიზიური კრიტერიუმში გამოიყენება ქორწინების პირობებისა და ქორწინების ფორმასთან დაკავშირებით. ამ დროს ქორწინების პირობებისა და წესების განსაზღვრა ხდება ქორწინების ადგილის კანონმდებლობით და მხედველობაში არ მიიღება უცხოელი ფიზიკური პირის ქვეყნის კანონი. რას გამოც ეს ქორწინება შეიძლება უცხოელი პირის ქვეყანაში არ იქნეს აღიარებული და ნამდვილად ცნობილი. ასეთი ქორწინება იურიდიულ ლიტერატურაში იწოდება „კოვლ ქორწინებად“.

საქმიანობის განბორცილებების ადგილის კანონი. მითითების ეს სახე გამოიყენება მრავალი ქვეყნის მიერ, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით. მაგალითად, პირის

მიმართ, რომელიც რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირის პიროვნული სტატუსის განსაზღვრის დროს, გამოიყენება საქმიანობის განხორციელების ადგილის კანონი (მუხლი 22). ის გამოიყენება აგრეთვე გარიგებაში წარმომადგენლობისას. კერძოდ, თუ გარიგებაში წარმომადგენლობისას რომელიმე ქვეყნის სამართლის გამოყენება შეთანხმებული არ არის, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც წარმომადგენელი ეწევა საქმიანობას (მუხლი 28).

სასამართლოს (არბიტრაჟის) კანონი. ამ დროს სასამართლოს, არბიტრაჟის თუ სხვა ორგანოს მიერ გამოიყენება იმ ქვეყნის კანონი, სადაც განიხილება დავა. ამ სახის მითითების თანახმად, სასამართლო და დავის განმხილველი სხვა ორგანო ხელმძღვანელობს საკუთარი ქვეყნის კანონით, მიუხედავად, მოცემული ურთიერთობის შემადგენლობაში უცხოური ელემენტების არსებობისა. ეს აიხსნება სახელმწიფოთა მისწრაფებით გააფართოვონ ადგილობრივი კანონის გამოყენების სფერო, შეამსუბუქონ საკუთარი ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირების მდგომარეობა და უზრუნველყონ მათი უფლებების დაცვა. მაგრამ, საბოლოოდ, ეს იწვევს სირთულეს, არღვევს საერთაშორისო ურთიერთობათა საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებს და შეიძლება გამოაწვიოს საპასუხო დონისძიებები სხვა სახელმწიფოების შრიდან.

სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალში ფართოდ არის გავრცელებული იმ ქვეყნის კანონის გამოყენება, რომელთანაც მოცემული ურთიერთობა მჭიდროდ არის დაკავშირებული. მითითების ეს სახე გვხვდება სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებში. მათ შორის სახელმწიფოებთან ურთიერთობებში. ასე მაგალითად, სახელმწიფოებთან და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელმწიფოებმა შეიძლება დაექვემდებარონ მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. კანონმდებლობით ნაგარაუდქვია, რომ ხელმწიფოებმა ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მზარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელმწიფოებთან ვალდებულება უნდა შეესრულებინა. ხელმწიფოებების დადებისას ჰქონდა წევლებრივი ადგილსამყოფელი ან აღმინისტრაციის რეზიდენცია, როდესაც ხელმწიფოების სავანია მიწის ნაკვეთზე უფლება, ან მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, ამ შემთხვევაში ხელმწიფოებმა ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულად ითვლება იმ ქვეყანასთან, სადაც მიწის ნაკვეთია. ტვირთის

გადახილვის ხელმწიფოებისას იგარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც ხელმწიფოების დადებისას კლამხილველის ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელია. დაზღვევის ხელმწიფოებისას კი იგარაუდება, რომ ხელმწიფოებმა ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც დასაზღვევი რისკის ძირითადი საწილი არსებობს (საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, მუხლი 36).

სახელთა ვაჭრობის სფეროში, მთელ რიგ შემთხვევაში, გამოიყენება კერძო კანონი (lex flagi). მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, „სახელთა ვაჭრობისას დახმარების განხორციელების დროს წარმომადგენელი პრეტენზიების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ალმითაც დაცურავს გემი და რომელსაც ეს დახმარება ესაჭიროება (მუხლი 40, პუნქტი II). ხოლო, რაც შეეხება უფლებებს საძირო, წყლის და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებზე ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს ექვემდებარება (მუხლი 33).

საკონტროლო კითხვები

1. რა თავისებურებები ახასიათებს კოლიზიურ ნორმებს?
2. რაში მდგომარეობს რეგულაციების კოლიზიური და მატერიალური-სამართლებრივი მეთოდის არსი?
3. როგორია კოლიზიური ნორმის სტრუქტურა და მითითების რა ძირითადი პრინციპებია თქვენთვის ცნობილი?

კოლიზიური ნორმების გამოყენება. ნაცვალგება საერთაშორისო კერძო სამართალში

§1 კოლიზიური ნორმის განმარტება და გამოყენება

კოლიზიური ნორმების გამოყენების პროცესი მთელი რივი ნიშნებით განსხვავდება ეროვნული სამართლის სხვა ნორმების გამოყენებისაგან, რაც კოლიზიური ნორმის რთული ბუნებით და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიურობით არის განპირობებული. ამიტომ, კოლიზიური ნორმების თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ ნორმების გამოყენებისა და მისი შინაარსის სწორი განსაზღვრისათვის, საჭირო ხდება მათი განმარტება.

საერთაშორისო ხასიათის მქონე კერძო სასის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პირველ სტადიაში, თავდაპირველად უნდა გავიგოთ, საჭიროა თუ არა კოლიზიური ნორმის გამოყენება. როცა დავადგენთ მის აუცილებლობას ამის შემდეგ ვარკვეთ, რომელი ქვეყნის სამართლისაგან მიუთითებს ეს ნორმა, მას შემდეგ კი უნდა დადგინდეს, კონკრეტულად, ამ ქვეყნის რომელი სამართლებრივი ნისტემისაგანაა კოლიზიური ნორმის მითითება მიმართული. სამართალგამოყენების ამ სტადიაში წამოიჭრება კვალდისკაციის, უკუმიითიების, შესაძე ქვეყნის სამართალზე მითითების, ნაცვალგების საკითხები. ამ საკითხის გარკვევისა და გადაწყვეტის შემდეგ იწყება მეორე სტადია, რომელსაც მოიცავს იმ სამართლის გამოყენების პროცესი, რომლისაგანაც მიუთითებს კოლიზიური ნორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ეროვნული, ასევე უცხოური მატერიალური სამართლის ნორმა. ამ სტადიაში წამოიჭრება გამოსაყენებელი სამართლისა და ამ ქვეყანაში მოქმედი საჯარო დებულებების ურთიერთშესაბამისობის დადგენის საკითხი.

სამართალგამოყენების ორივე სტადია ხორციელდება საერთაშორისო კერძო სამართლის ჩარჩოებში და გამოსატყვის მისი საგნისა და მეთოდის თავისებურებებს.

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმის განმარტებისა და გამოყენების დროს, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღებ

მისი მითითებითი ხასიათი. როგორც ვიცით კოლიზიური ნორმა არსებითად კი არ წვევტს საკითხს, არამედ უთითებს სამართლის სხვა სასტემაზე, როგორც საკუთარ, ასევე სხვა ქვეყნის კონსტიტუციონაზე, შესაძე ქვეყნის სამართალზეც კი.

მითითების საკითხს ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი.

„სხვა ქვეყნის (იგულისხმება შესაძე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც, თუ ეს მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება ან არ გულისხმობს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას (შუხლი 4).

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა სახით არის საერთაშორისო კერძო სამართალში სახელმწიფოს მითითება გამოხატული, საქართველოს კერძო სამართლის კანონიდან ავიღოთ ასეთი ნორმა:

„ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მმართველი“ (შუხლი 26).

ისმება კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს სათანადო ორგანო, რომელიც ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების საკითხთან დაკავშირებულ დავას განიხილავს. თავდაპირველად უნდა გაირკვეს, რომელ ქვეყანას განეკუთვნება ფიზიკური პირი, შემდეგ კი დადგინდეს, რომელი სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული ურთიერთობები.

საქართველოში ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 შუხლით.

იურიდიული პირის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ურთიერთობების შემოხვევაში, უნდა დაეადგინოთ იურიდიული პირის ფაქტურა ადგილსამყოფელი. ამის შემდეგ კი გამოსაყენებელი ნორმა.

საქართველოში არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე შუხლი არეგულირებს; ხოლო, სამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხების უშუალო რეგულირებას, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს. ის მიგვანიშნებს მეწარმეობის შესახებ

კანონის გამოყენებაზე და განსახილველ საქმეში გამოსაყენებელი სამართლის შერჩევასთან დაკავშირებით მეწარმეობის შესახებ კანონში უნდა მოვიპოოთ შესაბამისი ნორმა. ამ კანონის მე-6 მუხლი, რომელიც რვა პუნქტისაგან შედგება, სრულად აწესრიგებს იურიდიული პირის საფორმო სახელწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კოლიზიური ნორმის განმარტება დამოკიდებულია იმ გამოსაყენებელი სამართლის შინაარსზე, რომელიც უნდა განისაზღვროს, ამიტომ, წამოჭრული პრაქტიკული ხასიათის საკითხების გადასაჭრელად, კვალიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ანსხვავებენ პირველად კვალიფიკაციას, რომელიც კოლიზიური საკითხის გადაჭრის წინაპირობას წარმოადგენს და მეორედ კვალიფიკაციას, რომელიც ხდება მას შემდეგ, რაც გამოსაყენებელი სამართალი განსაზღვრულია და აუცილებელია მისი ცალკეული კატეგორიების განმარტება. მეორადი კვალიფიკაცია უნდა განხორციელდეს გამოსაყენებელი სამართლის დებულების შესაბამისად.

დოქტრინა გვთავაზობს, რომ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული დრმა უთანხმოებანი აღმოიფხვრას შემდეგი საშუალებებით:

- ა) სასამართლოს კანონის შესაბამისად;
- ბ) იმ სამართლის თანახმად, რომლისკენაც მიუთითებს კოლიზიური ნორმა;
- გ) იმ სამართლებრივი ცნების საფუძველზე, რომელიც საერთოა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისათვის (ე.წ. კვალიფიკაციის ავტონომია)¹.

საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის მიერ რიგ კოდიფიკაციებში კვალიფიკაციის საკითხი გადაუჭრელია, რაც მიუთითებს განსახილველი საკითხის რთულ და მწვავე ხასიათზე. მაგალითად, შვეიცარიის 1987 წლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, რომელიც დეტალურად აწესრიგებს კოლიზიური სამართლის მიერ რიგ სპეციალურ საკითხებს, არ შეიქმნა კვალიფიკაციის შესახებ ნორმას. ანალოგიური მდგომარეობაა ავსტრიის 1978 წლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონში. კვალიფიკაციის შესახებ სპეციალურ ნორმას არც საქართველოს 1998 წლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ითვალისწინებს.

1. იხ. М.М. Богуславский. Международное частное право. Современные проблемы - ТЕИС 1994-507 с. с: 453.

კოლიზიური ნორმის განმარტების დროს აუცილებელია ყურადღება მიექცეს ამ ფაქტს, რომ საერთაშორისო კერძო სამართალში გამოყენებულ მიერ რიგ ტერმინებს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანი მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის დაფუძნების ადგილი, ნივთის მდებარეობის ადგილი, ნივთზე საკუთრების უფლება, პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის, ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კალდებულებები, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, სასარჩლო ხანდაზმულობა, ხელშეკრულების დადების ადგილი და სხვა ცნებები სხვადასხვანაირად გაიგება. განსაკუთრებული განსხვავება შეინიშნება ინგლის-ამერიკის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების მატერიალურ-სამართლებრივი და სამოქალაქო პროცესის ტერმინოლოგიურ შინაარსში.

მაგალითად, ინგლისსა და ამერიკაში კონტრაქტის დადების ადგილად ითვლება აქტუალის გაგზავნის ადგილი, ხოლო მიერ რიგ სხვა ქვეყნებში - აქტუალის მიღების ადგილი, ზოგან სამართალდარღვევის ჩადენის ადგილად ითვლება ზიანის მიყენების ადგილი, ზოგან კი - ზიანის მიყენების შედეგის ადგილი (მაგალითად, დაზარალებულის საცხდელი). სასარჩლო ხანდაზმულობა საფრანგეთსა და მიერ რიგ ქვეყნებში, განიხილება როგორც სამოქალაქო სამართლის ცნება, ხოლო ინგლის-ამერიკულ სამართალში - როგორც პროცესუალური სამართლის ცნება. თუ საფრანგეთის სასამართლო აკვალიფიკირებს სასარჩლო ხანდაზმულობას, არა იავესა სამართლით, არამედ ინგლისის სამართლით (იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების დროს არის მითითება ინგლისის სამართლის გამოყენების შესახებ). მაშინ საფრანგეთის სასამართლის არ შეუძლია გამოიყენოს ინგლისის სამართალი, რადგან ამ ქვეყნის სასამართლო იყენებს ეროვნული სამართლის ნორმებს და არ გამოიყენებს უცხოურ პროცესუალურ სამართალს.

თურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, თურიდიული ცნებების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოლიზიური ნორმების გამოყენებამდე. თუ კოლიზიური ნორმის საფუძველზე უნდა გამოიყენოს უცხოური კანონი, ყველა შემდგომი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს იმ სამართლებრივი სისტემის საფუძველზე, საითკენაც უთითებს კოლიზიური ნორმა.

გასული საუკუნის დასასრულს დასავლეთ ევროპის სამართალმცოდნეებმა (კანი-გერმანია, ბართენი - საფრანგეთი),

ყურადღების ცენტრში დააყენეს მოვლენა, ფაქტი, რომელზედაც ადრე ყურადღება არ იყო გამახვილებული. კანმა ამ მოვლენას უწოდა „ფარული კოლიზია“, ხოლო ბარტენმა „კონფლიქტი კვალიფიკაციაში“. ისინი იმ დასკვნაზე მივიდნენ, რომ სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური ნორმები, მაშინაც კი როდესაც თავიანთ მდგომარეობას ერთი და იმავე ტერმინით გამოხატავენ, ამავდროულად შეიცავენ დაფარულ კოლიზიას, რომლებიც კვალიფიკაციის დროს წინააღმდეგობას იწვევენ.

ამ ვითარების თავიდან ასაცილებლად, შენიშნავს რუსი მეცნიერი მ. ბოგუსლავსკა, კოლიზიური ნორმების ტერმინოლოგია სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში განზოგადოებული იურიდიული ცნებების საშუალებით უნდა გამოიხატოს. ეს თავიდან აკაციალებს კოლიზიური ნორმის გამოყენების დროს წამოჭრილ იმ სირთულეს, რომელსაც ამ ნორმათა შინაარსის სხვადასხვაობა განაპირობებს¹.

კოლიზიური ნორმის გამოყენების დროს, როდესაც მითითება მიმართულია უცხოურ სამართალზე, საჭირო ხდება უცხო ქვეყნის სამართლის ნორმათა შინაარსის დადგენა. ამისათვის, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, საქართველოს სასამართლოებს ევალება მიიღოს საჭირო ზომები უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დასადგენად. ეს უნდა მოხდეს შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, როდესაც უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების დადგენა განზორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად უშედეგოა ან კიდევ გაუმართლებელ ხარვეზთან არის დაკავშირებული, ასევე იმ შემთხვევებში, როცა პროცესის არც ერთ მხარეს არ შეუძლია ნორმის არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო განსახილველი საქმის გადასაწყვეტად გამოიყენებს საქართველოს სამართლის ნორმებს (საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, მუხლი 3).

§2 უკუმითითება და მითითება მესამე ქვეყნის სამართალზე

კოლიზიური ნორმების გამოყენების შედეგებზე არსებით ზემოქმედებას ახდენს იმ სამართლის კოლიზიური ნორმების შინაარსი, რომლისკენაც

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Ученый. 2-е изд., перераб. и доп. - М. Международные отношения 1994 4 / 6 с. с. 89.

მითითებაა მიმართული. ეს უცხოური სამართალი, შესაძლებელია კონკრეტულა ურთიერთობის დასარეგულირებლად ითვალისწინებდეს არა საკუთარი სამართლის, არამედ სხვა ქვეყნის სამართლის გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს იმ ქვეყანა, რომელი ქვეყნის კოლიზიურმა ნორმამაც თავდაპირველად მოუთითა ამ სამართალზე, ან მესამე ქვეყანა. სრველი შემთხვევა საერთაშორისო კერძო სამართალში იწოდება უკუმითითებად, მეორე კი მითითებად მესამე ქვეყნის სამართალზე. კოლიზიური ნორმის უკუმითითების საკითხი გასული საუკუნის დასასრულს წარმოიშვა სასამართლოში უცხო ვლემენტების მქონე საქმის განხილვის დროს.

ინგლისელმა სამკვიდროს დამტოვებელმა, რომელიც შეღებულ ცხოვრობდა ბელგიაში შეადგინა ანდერტი, რომლითაც საქმიოდ დიდ თანხას უბოვებდა გარკვეულ პირებს. ანდერტი საკუთარი ხელთ შედგენილი და ნოტარიულად დაუმოწმებელი იყო. გარდაცვლილის მემკვიდრეებმა ეპიკლეშ დააყენეს მისი ნამდვილობა, საქმის არსი იმაში შევამარჯობს, რომ ანდერტი დაიწერა ინგლისის კანონმდებლობის წესების დაცვით და დაირღვა ბელგიის კანონმდებლობა, (ანუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მემკვიდრე ცხოვრობდა ანდერტის დამტოვებელი). ინგლისის კოლიზიური ნორმების საფუძველზე ანდერტი უნდა შედგენილიყო პარის საცხოვრებელი ადგილის კანონის საფუძველზე. აქედან გამოიღონარე, ინგლისის სამართალი მოუთხოვდა ბელგიის სამართალზე, ბელგიის კანონის გამოყენების შემთხვევაში ანდერტი ბათილი იქნებოდა, რადგან ის გამოდიოდა მოქალაქეობის და არა საცხოვრებელი ადგილის პრინციპიდან. როგორც მაგალითადან ჩანს, ბელგიის კანონი უარყოფს ამ საკითხის გადაწყვეტას, მიუთითებს რა ინგლისის სამართალზე, ინგლისის სამართალი კი პარსეთა ბელგიის სამართალზე.

თანასწორეუ კოლიზიური სამართლის მოქნილი ტექნიკა საშუალებას იძლევა ადვილად გადაიტარას ისეთი რთული პრობლემა, რომელმაც საუკუნის წინ დრმად ჩაფიქრებისა და განხჯის საბაბი მისცა სამართალდამცავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს უკუმიითებისა და მესამე ქვეყნის სამართალზე მითითების შესახებ.

ბოლინეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ითვალისწინებს ორივე სახის მითითების გამოყენებას. უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით აღიარებულია მითითება საკუთარი ქვეყნის სამართალზე.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი უშუაეს როგორც უკუმიითებას, ასევე მითითებას მესამე ქვეყნის სამართალზე.

საქართველოში უცხოური კანონი გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში, როდესაც კოლიზიური ნორმა უთითებს უცხოურ სამართალზე, მაგრამ თუ საქართველოს კანონი უთითებს უცხოურ კანონზე, უცხოური კანონი კი თვითონ უარყოფს ამ მითითებას, მაშინ არ არსებობს საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენოს საქართველოს კანონი. ქართულ სამართალზე უკუმითითებისას გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ქართული სამართლის ნორმები (საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, მუხლი 4).

უნდა აღინიშნოს, რომ უკუმითითების დოქტრინა არ არის აღიარებული როგორც ზოგიერთი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით. ასევე, რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებით. მაგალითად, უკუმითითებას არ ითვალისწინებს, რომის 1980 წლის კონვენცია „სახელშეკრულებო ვალდებულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“. ჰააგის 1985 წლის კონვენცია „საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ კი შეიცავს მითითებას შესაბამისი ქვეყნის მატერიალურ სამართალზე.

§3 კოლიზიური ნორმის სახეები

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის კოლიზიური ნორმები საკმაოდ მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია, როგორც იურიდიული ძალის მიხედვით, ასევე კოლიზიური ნორმის ძირითადი ელემენტის მითითებით ნაწილის შინაარსის მხრივაც. ეს განსხვავება გამსაკუთრებით საერთაშორისო კონტაქტების პროცესში წამოჭრილი ვარკვეული ვკუფის ურთიერთობებისთვის არის დამახასიათებელი. კოლიზიურ ნორმათა არაერთგვაროვანებას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი გამოყენების მექანიზმის შემუშავებაში.

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ შიდა დარგობრივ სამართლებრივ სისტემასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში განმტკიცებული კოლიზიური ნორმები. ამ ნორმათა გამოყენების ფარგლები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. საერთაშორისო ხელშეკრულებებში განმტკიცებული კოლიზიური ნორმების მოქმედების სფერო და ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე დარგობრივ სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული კოლიზიური ნორმებისა.

საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი კოლიზიური ნორმები გამოიყენება ასეთი ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ. საერთაშორისო ხელშეკრულებებში გაერთიანებულია კოლიზიური ნორმების განმარტება და გამოყენება ხდება მისი საგნისა და მიზნის გათვალისწინებით. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულება შესაძლებელია შეიცავდეს სპეციალურ მითითებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმების გამოყენების პროცედურის შესახებ. ხოლო, ეროვნული სამართლის კოლიზიური ნორმების განმარტება ხდება შიდა სამართლებრივი ნორმების სისტემის საფუძველზე.

ბოლო პერიოდში მიღებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ჩვეულებრივ მითითებულია, რომ უნიფიცირებული ნორმების განმარტება და გამოყენება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, მათ განმარტებასა და გამოყენებაში ერთიანობის მიღწევის მიზნით. ამ საზის მითითებები გვხვდება „საერთო ბაზარში“ შემავალი ქვეყნების მიერ ხელმოწერილ 1980 წლის კონვენციაში: „სახელშეკრულებო ვალდებულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ და ჰააგის 1985 წლის კონვენციაში „საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“.

საერთაშორისო ხელშეკრულებებში განმტკიცებული კოლიზიური ნორმების მეორე თავისებურება ის არის, რომ კოლიზიური ნორმები ხელშეკრულების ტექსტში უორმულირებულია რამდენიმე ენაზე და მაშინაც კი, როდესაც ეს ტერმინები აუთენტიკურია, მაინც შეიძლება მიეკვივანოს სხვადასხვა სახელმწიფოებში კოლიზიური ნორმების შინაარსის სხვადასხვა გაგებადის. ეს ართულეს საერთაშორისო ხელშეკრულებებში განმტკიცებული კოლიზიური ნორმების გამოყენებას და ხელყოფს უნიფიკაციის ინტერესებს.

საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებების სხვადასხვაწოვანი ტექსტების ერთმანეთთან შედარებითა და შეჯერებით, შეიძლება მიღწეულ იქნეს ამ დებულებათა ერთნაირი განმარტება და გამოყენება.

კოლიზიური ნორმის კვალიფიკაციის დროს მნიშვნელოვანია მისი დაყოფა დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებად. საერთოდ, ვალდებულებით ურთიერთობებთან დაკავშირებული კოლიზიური ნორმები უფრო ხშირად დისპოზიციურ ხასიათს ატარებს, ხოლო სხვა ურთიერთობებში – უპირატესად იმპერატიული ხასიათისა. ზოგჯერ კოლიზიური ნორმების იურიდიული ძალა იკითხონ კოლიზიური

ნორმის ტექსტშია ფიქსირებული. ეს ის შემთხვევებია, როდესაც არსებობს პარდაპირი მითითება, რომლის ძალითაც მხარეებს უფლება აქვთ გვერდი აუარონ მას და ნების ავტონომიიდან გამოძღინარე, თვითონ აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი. გარდა იმპერატიული და დისპოზიციური ნორმებისა, შეიძლება შეგვეხვედნენ სუბსტანციური იმპერატიული ხასიათის ნორმები, რომლის გამოყენებისაგან თავის არიდება მხარეებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრული და დაფიქსირებული პირობების არსებობისას. ასეთი ნორმები გამოიყენება მიწოდების ხელშეკრულებებში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მიწოდების ხელშეკრულებებში მითითებულია, რომელი სამართალით განისაზღვროს მიწოდების საერთო პირობები, მაგრამ მისაწოდებელი საქონლის სპეციფიკიდან ან კიდევ, მიწოდების თავისებურებებიდან გამომდინარე, როცა არსებობს რაიმე განსაკუთრებული ფაქტორი შესაძლებელია მხარეების მიერ შეიცვალოს მიწოდების პირობები. მაგალითად, საქონლის მესამე ქვეყანაში რეექსპორტის დროს.

თანამედროვე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ტენდენცია დისპოზიციური ნორმების გამოყენების ფარგლების გაფართოებაში გამოისატება. კოლიზიური სამართალი დაინტერესებულია კოლიზიური ნორმების გამოყენების შესახებ ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების შექმნაში. ეს ხდება იმისათვის, რომ სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და უფრო მეტად ძლიერმა, გამოცდილმა კონტრაგენტმა ვერ შეძლოს მხარე მხარეს თავს მოახვიოს თავისთვის ხელსაყრელი ერთგვლი სასართალი¹.

კოლიზიური ნორმები, მითითებითი ნაწილის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე იყოფა ცალსახა (ერთნიშნა) და მრავალნიშნა ნორმებად. ზოგჯერ კოლიზიური ნორმა შეიცავს მითითებას ერთ რომელიმე სამართლებრივ სისტემაზე და არის ცალსახა ხასიათის. ხშირად კი შეიცავს ორ ან მეტ მითითებას სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე და შესაბამისად არის ალტერნატიული და კუმულატიური ხასიათის.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, საბჭოთა კანონმდებლობა, უპირატესად ომშირივი კოლიზიური ნორმების გამოყენებას ითვალისწინებდა.

1. Стален Ж.С. Сущность и функция на международного частного права. с. 1982 с. 11-12.

ხოლო რაც შეეხება ცალმხრივ კოლიზიურ ნორმებს, ის უმეტესად საოჯახო ურთიერთობათა სფეროში იყო გავრცელებული. კოლიზიური ნორმის ალტერნატიული სახეები გამოიყენება მთელი რიგი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართალში. მაგალითად, უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, დაზარალებულის არჩევით შეიძლება გამოყენებულ იქნას, იმ ქვეყნის კანონი, სადაც ზიანი იქნა მიყენებული ან სადაც სამართალდარღვევა მოხდა“ (§32). აშშ დოქტრინა ასეთ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული ორი სახის მითითების გარდა, დამატებით გამოიყენებს მითითების კიდევ ორ კოლიზიურ კრიტერიუმს, მხარეთა საცხოვრებელი ადგილის კანონსა და იმ ადგილის კანონს, სადაც მხარეთა ურთიერთობის სიმძიმის ცენტრი აღმოჩნდება (აშშ საერთაშორისო კერძო სამართლის კრებული §145).

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაექვემდებაროს დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს. აგრეთვე, იმ ქვეყნის სამართალს, სადაც წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების საფუძველი, ან სადაც სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა. თუ ეს მითითებანი არ გამოიყენეს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და დაზარალებულს ზიანის მიყენების დროს ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. არაკეთილსინდისიერ კონტრაგენტასთან დაკავშირებული მოთხოვნებისათვის გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ბაზარზეც გავლენს ახდენს ასეთი კონტრაგენცია. დაზარალებულს ასევე შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს უშუალოდ პასუხისმგებლობის დაშლვევს. (მუხლი 42).

უნდა აღინიშნოს, რომ კოლიზიური ნორმების დადგენა აფართოებს ამ ნორმების გამოყენების სფეროს, ამსუბუქებს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას და ხელს უწყობს საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტების უფლებათა უკეთ დაცვას. საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ალტერნატიული მითითებები ყოველთვის მხარეთა არჩევანზე არ არის დამოკიდებული და განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომლებიც ქმნიან კოლიზიური ნორმის პიპოთეზას. მაგალითად, „ზაგზალი შემთხვევების დროს გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ 1971 წლის კონვენციის მიხედვით, ძირითადი პრინციპია, შემთხვევის ჩაღწის ადგილის კანონის გამოყენება

(მუხლი 3). მაგრამ, თუ სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილეობს ერთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც რეგისტრირებულია სხვა სახელმწიფოში და არა იქ, სადაც შემთხვევა მოხდა, მაშინ გამოყენებას ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, ეს სამართალი ხშირად გამოიყენება იმ დაზარალებული მგზავრების მიმართ, რომლებიც ჩვეულებრივ სხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ და არა იმ ქვეყნებში, სადაც შემთხვევა მოხდა.

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი მრავალი საკითხი შეიცავს სხვადასხვა წარმომომბის სამართლებრივ კლემენტებს და მათი ერთი რომელიმე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე დაქვემდებარება ურთიერთობაში მონაწილე მხარეს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. ამის მიზეზად ურთიერთობის ნაძლევილი შინაარსის გაუთვალისწინებლობა და ცალკეული სამართლებრივი სისტემის სპეციფიკა გვევლინება. ამ მდგომარეობის თავიდაც ასაცილებლად, საერთაშორისო კერძო სამართალში გამოიყენება ისეთი კოლიზიური ნორმები, რომელიც ლიტერატურაში იწოდება „საერთო“ და „სპეციალური“ ხასიათის ნორმებად.

საერთო ხასიათის კოლიზიური ნორმები მოითხოვენ იმ სამართალზე, რომელიც განსაზღვრავს მის სამართლებრივ სტატუსს. ხოლო, სპეციალურ ნორმებში ფიქსირებულია მოცემული ურთიერთობების რეალიზაციის პროცესში წარმოშობილი ის სამართლებრივი წესები, რომლებიც გამოიყენება დამატებითი საკითხების გადასაწყვეტად (მხარეების უფლებათუარაიანობა, გარიგების ფორმა, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საშუალებები, გადაწყვეტილების მიღების უფლება). პირველი მიმართულია საერთო რეჟიმის განსაზღვრისაკენ, მეორე კი ითვალისწინებს სპეციალური საკითხების თავისებურებებს. ზოგჯერ კოლიზიური ნორმა იმჟორებს იმ მითითებას, რომელსაც შეიცავს ძირითადი ნორმა. მისი მიზანია, მოხსნას ვარაუდი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას კოლიზიური ნორმის გამოყენების დროს, უფრო ზუსტად და ნათლად განსაზღვროს კოლიზიური ნორმის მოქმედება.

საერთაშორისო კერძო სამართალში შედარებით ახალ სახეს წარმოადგენს ნორმები, რომლებიც მისი შინაარსიდან გამომდინარე, იწოდება დამატებითი ანუ სუბსიდიალური ნორმებად. ასეთ ნორმებს შეიცავს მთელი რიგი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართალი. მაგალითად, უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით

თუ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა არე დადგენილი კოლიზიური ნორმით შეუძლებელია, ხელშეკრულება დაექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ხელშეკრულების შესრულებაზე კალდებულ პირს აქვს საკუთარი საცხოვრებელი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადგილსამყოფელი. თუ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა ასეთი გზით შეუძლებელია, კომპეტენტურია იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მოცემული ხელშეკრულების არსებითი ულემენტებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან (§29).

კოლიზიური ნორმების ასეთი დამატებითი მითითების დანიშნულებაა, კოლიზიური რეგულირების დროს წამოჭრალი ხარვეზების აღმოფხვრა. ამ დროს, თუ ერთ-ერთი მითითებითი ნაწილის გამოყენება შეუძლებელია, გამოიყენება მეორე, დამატებითი სახის მითითება, რომლის მიზანია პირველის ნაკლოვანების გამოსწორება. საერთაშორისო კერძო სამართალში კოლიზიური ნორმების ასევე ახალ სახეს წარმოადგენს ისეთი ნორმები, რომლებშიც მითითება მიმართულია პარდაპირ საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებზე. ასეთ კოლიზურ ნორმებს შეიცავს შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი. მაგალითად, ამ კანონის 118 პარაგრაფი მოუთხოვს ჰააგის 1955 წლის კონვენციაზე: „მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ“, 138 პარაგრაფი კი — ჰააგის 1971 წლის კონვენციაზე, „საგზაო შემთხვევების დროს გამოსაყენებელ სამართლის შესახებ.“

ასეთი კოლიზიური ნორმების სახეების გამოყენების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, აფართოებენ კოლიზიური დებულებების მოქმედების სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მათი გამოყენება ხდება ვრცელად კოლიზიური ნორმის ძალით. საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობის მოთხოვნად, მისი გამოყენება ასევე იძლევა ვარკვეული სახის საკანონმდებლო კონომიას, რადგან ამ შემთხვევაში კანონის ტექსტში შესაბამისი საერთაშორისო დებულების განმეორების საჭიროება არ წარმოიშობა.

§4 ნაცვალება

ცივილიზირებული საზოგადოების, პოლიტიკურად და კონომიკურად ძლიერი ქვეყნის ასაშენებლად, აუცილებელია მსოფლიო მეურნეობრიობაში ჩართვა, სახელმწიფოთა შორის ხელსაყრელი და ურთიერთომისაღები ურთიერთობების განვითარება, რადგანაც როგორც

ცნობილია, ვერც ერთი ქვეყანა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, საკუთარ ეროვნულ საზღვრებში ჩაკეტილი სახით ვერ განვითარდება.

დამოუკიდებელი საქართველო დაინტერესებულია უცხო სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და სხვა კავშირების გაფართოებით. საქართველოსთან მრავალფეროვანი ურთიერთობების დამყარება და განვითარება სხვა სახელმწიფოების ინტერესებშიც შედის. თითქმის ყველა ქვეყანა თავისი ეკონომიკით, პოლიტიკით, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დონით, მოსაზღვრობის ადამ-ჩვევებით, ეროვნული ტრადიციებითა და მრავალი სხვა ფაქტორით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სახელმწიფოებში ახვევ განსხვავებულია ის საკანონმდებლო საზო, რომელიც ამ ქვეყნებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვან სფეროს არეგულირებს.

საქართველო ცნობს და აღიარებს იმ უფლებებს, რომელიც უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშობა. ნაცვალგების პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვე მსოფლიოს ისეთ ობიექტურ რეალთაგან, როგორცაა სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულება.

„ნაცვალგების არსი მდგომარეობს იმაში, რომ უცხო სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მიეცეთ განსაზღვრული უფლებები იმ პირობით, თუ ამ სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ეს უცხო სახელმწიფო მიანიჭებს ანალოგიურ უფლებებს.“

საერთაშორისო ხელშეკრულებებში ნაცვალგების პრინციპების გამოყენებითა და განმტკიცებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს უცხოეთში საკუთარი ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვას. რამდენადაც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებანი, ნაცვალგების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოიჭრება გარკვეული სახის სირთულეები. ამ პრინციპის გამოყენების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საერთაშორისო კერძო სამართალში, ჩვეულებრივ ახსენებენ ორი სახის ნაცვალგებას: ნაცვალგებას „მატერიალური გავებით“ და ნაცვალგებას „ფორმალური გავებით“.

„მატერიალური ნაცვალგებაში“ იგულისხმება ის, რომ უცხო სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მიენიჭოთ ისეთივე კონკრეტული უფლებები, როგორითაც სარგებლობენ ადგილობრივი მოქალ. ჯები მოცემულ უცხო სახელმწიფოში.

„ფორმალური გავებით“ ნაცვალგების არსი გულისხმობს იმას, რომ უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მიენიჭოთ ისეთივე უფლებადამოსილებანი, რომელიც გამომდინარეობს ადგილობრივი კანონიდან. ისინი შეიძლება გაუთანაბრდნენ ადგილობრივ მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს.

„ფორმალური ნაცვალგების“ პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოში უცხოელ მოქალაქეებს მიენიჭებათ, ერთი მხრივ, ის უფლებები, როგორითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები. მათ შორას ის უფლებები, როგორი უფლებითაც ისინი არ სარგებლობენ თავიანთ ქვეყანაში. მეორე მხრივ, უცხოელებს არ შეუძლიათ მოათხოვონ იმაზე მეტი უფლებები, ვიდრე მათ აქვთ თავიანთ ქვეყანაში, თუ ასეთი უფლებებით სარგებლობას არც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ნაცვალგების პირობა განისაზღვრება როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე შიდა კანონმდებლობით. თუ როგორ იყენებს სახელმწიფო ნაცვალგების პრინციპს, ეს უნდა დაადგინოს იმ სასამართლომ ან სხვა ორგანომ, რომელიც საქმეს განისაზღავს.

ნაცვალგებასთან ერთად წამოიჭრება რეტორიის ანუ საპასუხო შეზღუდვის გამოყენების საკითხი. თუ ერთი სახელმწიფო იღებს უსაფუძვლო დისკრიმინაციულ ზომებს, მეორე სახელმწიფოს ან მისი მოქალაქის მიმართ, მაშინ, ამ უკანასკნელ სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს საპასუხო სახის შეზღუდვები. ამ პრინციპიდან გამომდინარე, თუ საქართველოს ან მისი ორგანიზაციისა და მოქალაქის მიმართ რომელიმე სახელმწიფო გამოიყენებს შეზღუდვას, საქართველოს ასევე შეუძლია ამ სახელმწიფოს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიმართ გაატაროს საპასუხო შემზღუდველი ხასიათის ღონიძობები. საერთოდ, ასეთი სახის ზომების მიღების მიზანია, შეზღუდვის დამწესებელი სახელმწიფოს აღნიშნული მოქმედების ლიკვიდაცია. ვენის დიპლომატიური კავშირის შესახებ 1961 წლის კონვენციაში პირდაპირ არის მითითებული რომ დისკრიმინაციად არ ჩაითვალება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მიმართ საპასუხო სახის ღონისძიებების გატარება.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებიდან გამომდინარე საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არ მქონე პირებს გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებები და მოვალეობანი აქვთ (მუხლი 47)./

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს 1993 წლის კანონით საქართველოს შეუძლია დააწესოს ადეკვატური შეზღუდვები იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, სადაც საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები განზრახ შეიზღუდება (მუხლი 3).

პირების კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი საკანონმდებლო განმტკიცებას პოულობს ასევე საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით. ამ კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, „უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. ამასთან, კანონი ნაკვალავების პრინციპიდან გამომდინარე ითვალისწინებს გაზრდილობის დაშვებას იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების შემზღუდველი ნორმები. ეს კი ნათლად განსაზღვრულ სამართლებრივი ნორმის სახით დადგინას მოითხოვს.

§5 საჯარო წესრიგი და საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები

კოლიზიური ნორმების მოქმედება ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უცხოური კანონის გამოყენება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი გამოყენება უწინააღმდეგეა ამ ქვეყნის საჯარო წესრიგის დებულებებს.

საჯარო წესრიგის ცნება იმ გაგებით, როგორცაა ის აღიქმება საერთაშორისო კერძო სამართალში, დამკვიდრება შუა საუკუნეებიდან დაიწყო.

საჯარო წესრიგის შესახებ დოქტრინის ჩანასახი გვხვდება გლოსატორების მოძღვრებაში. საჯარო წესრიგის დებულებების გამოყენების ტერიტორიული შესაძლებლობიდან გამომდინარე, ბართული გამოყოფდა სტატუტის ორ ტიპს.

პირველი ტიპის სტატუტი მოქმედებდა მხოლოდ იმ ქალაქის ფარგლებში, რომელმაც ეს სტატუტი გამოსცა. მეორე ტიპის სტატუტს ჰქონდა ექსტერიტორიული ძალა. ის შეიძლება გამოყენებულიყო მისი გამოცემა ქალაქის ფარგლებს გარეთაც.

ბართოლისეული პირველი ტიპის სტატუტი ასოცირდება იმ სტატუტებში, რომელთაც შკაცრი ტერიტორიული სახითი აქვთ. ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ თანამედროვე საჯარო სამართლის კატეგორიას.

აღსანიშნავია, რომ გლოსატორების პერსონაში საჯარო წესრიგის დებულებებმა ფართო აღიარება ვერ მოიპოვა. ეს განპირობა პროვინციითა შორის კოლიზიების განვითარებამ, რომელიც, როგორც წესი, არ ზღუდავდა უცხოური კანონის გამოყენებას.

საჯარო წესრიგის კონცეფციის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია პოლანდიელი პოსტგლოსატორის უდრიკ გუბერის სახელთან. გუბერის შეხედულებით, სუვერენები მოქმედებენ ურთიერთპატივისცემის ძალით, იმდგარად, რომ სამართალი, რომელიც ფუნქციონირებს კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ძალას ინარჩუნებს ყველგან იმ პირობით, თუ ზიანს არ მიყენებს ამ სახელმწიფოს ხელისუფლებას და მის ქვეშევრდომთა უფლებებს.

საჯარო წესრიგის კონცეფციის ჩამოყალიბებაში, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის საგინის, რომელიც ეროვნულ სამართალში გამოყოფდა იმპერატორული ნორმების ორ სახეს. პირველში ცალკეული პირების ინტერესები იყო გათვალისწინებული, ხოლო მეორეში — საჯარო ინტერესები.

საგინის მოსაზრებით, ერების ეროვნული თვითშეგნების განვითარების პარალელურად, საჯარო წესრიგის დებულებებიდან გამომდინარე, ცალკეული შემზღუდვების დაწესება თანდათანობით უნდა შემცირდეს.

საგინი, განსხვავებით რიგი თანამედროვეებისა უცხოური კანონის გამოყენებას არ მიიჩნევდა ანომალურ შემთხვევად. საგინის მიერ ამ საკითხისათვის აღნიშნული მიდგომა, საბოლოო ეტაპში, ემსახურებოდა საჯარო წესრიგის დებულებების გაფართოებასა და განმტკიცებას. საჯარო წესრიგის კატეგორიას, ის განიხილავდა მოქალაქეობის შესახებ კანონში და ნების ავტონომიის პრინციპების ვკერდით, რომელზედაც მიღლია საერთაშორისო კერძო სამართლის მენობა აიგება.

საჯარო წესრიგის დებულებებმა განსაკუთრებული განვითარება
პოვა ფრანგულ სამართალში. საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო
კოდექსის ცნობილი ნორმა ეყუდნება დებულებას, რომლის მინაარსის
მიხედვით ქვეყნის, საჯარო წესრიგი და კეთილი ზნე-ჩვეულებანი არ
შეიძლება ხელყოფილ იქნეს კერძო შეთანხმებებით (მუხლი 8). ამ
დებულებამ მიიღო „შიდა საჯარო წესრიგის სახელწოდება“.

შემდგომში, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-ნ მუხლის
განმარტებით, ხოლო, სხვა სახელმწიფოებში – პირდაპირი ნორმების
დადგენის შედეგად, კანონმდებლობაში შეიტანეს დებულებები, რომ
საჯარო წესრიგი ზღუდავს მოცემულ ქვეყანაში იმ უცხოური კანონის
გამოყენებას, რომლისაგანაც მიუთითებს კოლიზიური ნორმა. საჯარო
წესრიგს ამ დროისათვის უწოდეს, „საერთაშორისო საჯარო წესრიგი“.
ხოლო შემდგომი, უკვე თანამედროვე პერიოდში, დამკვიდრდა შედარებით
ზუსტი ტერმინი: „საგარეო საჯარო წესრიგი“, „საჯარო წესრიგი
საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელობით“.

ინვლისურ-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების
დოქტრინასა და პრაქტიკაში, საჯარო წესრიგის დებულებებითან
დაკავშირებული კონცეფცია ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეს აიხსნება
იმ გარემოებით, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, სამართლის
ძირითადი ინსტიტუტები რეგულირებულია კოლიზიური ნორმების
მეშვეობით, მოქალაქეობის კანონის პრინციპებიდან გამომდინარე,
ინვლის-ამერიკის სამართალში კი, უმეტესწილად, გამოიყენება
ადვილობრივი კანონები.

მთელ რიგ ქვეყნებში მოქმედი წესების საფუძველზე, უცხოური
კანონი, რომლისგანაც მიუთითებს კოლიზიური ნორმა, სასამართლოსა
და სხვა ორგანოების მიერ შესამღებელია არ იქნეს გამოყენებული,
თუ მათი გამოყენება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯარო წესრიგს.
სასამართლოები, საკუთარი ქვეყნის საჯარო წესრიგის დებულებიდან
გამომდინარე, სრულიად კრძალიან უცხოური კანონის გამოყენებას
უპირატესად იმ შემთხვევაში, როდესაც დღას წესრიგში დგას
გამსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ქვეყნის სამართლის
გამოყენების საკითხი. ამ წესის გამოყენების ფარგლები, ზოგიერთ
ქვეყანაში მთლიანად სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული.
პრაქტიკაში ცნობილია ფაქტი, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, უცხო
ქვეყნის სასამართლოები თავიანთი კოლიზიური ნორმების ძალით,
იყენებენ საბჭოთა კანონებს, რომლის თანახმად, ნაციონალიზირებული

სიმება უნდა დაბრუნებოდეს საბჭოთა სახელმწიფოს. მაგრამ,
სადროულად, კაპიტალისტური ქვეყნების სასამართლოები
მიუთითებენ რომ რადგანაც ქონების ნაციონალიზაცია არცეცხს კერძო
საკუთრების პრინციპს და ეწინააღმდეგება ადვილობრივი კანონის
საუბრავებს, საჯარო წესრიგის დებულების ძალით, არ გამოყენებულყო
საბჭოთა სამართალი.

ამ დებულების პრაქტიკაში დანიერვამ არაერთხელ მიაყენა
სტერეალური ზარალი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონებრივ
სტერესებს. მაგრამ ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ 20-იან წლებში
ამოიტანეს საბჭოთა სახელმწიფოსათვის ზელსაყრელა რამდენიმე
საწვევტილება („სეგორისა“ და „ლუთერის“ საქმე დიდ ბრიტანეთში,
საბჭოთა ოქროს“ საქმე აშშ-ში).

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით,
საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება,
თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ
პრინციპებს“ (მუხლი 5). ამავე კანონის მიხედვით, მისი დებულებები
არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების
შეხედებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი
გამოიყენება ურთიერთობათა მოწესრიგებისას (მუხლი 6). აღნიშნული
ნორმებით განტკიცებულია ქვეყნის საჯარო დებულებებისა და
საერთაშორისო ნორმების დაცვის აუცილებლობა.

**წინ უპირატესი ხელშეწყობისა და ეროვნული
რეჟიმი საერთაშორისო კერძო სამართალში**

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების ერთ-ერთი ძირითადი
პრინციპია, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დაწესება. ამ რეჟიმის
ძალით უცხოელები სარგებლობენ უპირატესობით და იმ უფლებების
სქიმუმით, რომელიც მინიჭებული აქვს სხვა სახელმწიფოს ფიზიკურ
და იურიდიულ პირებს.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, რომელიც წარუდგენება რომელიმე
უცხო სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთანაც
დადებულია ხელშეკრულება ვაჭრობის, ზღვაოსნობის, უცხოური
რეზანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობის სფეროში, უპირატესი
ხელშეწყობის პრინციპებიდან გამომდინარე გამოიყენება ნებისმიერი
სხვა სახელმწიფოს იურიდიული და ფიზიკური პირის მიმართაც.

ამრიგად ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უცხო სახელმწიფოს ვეღა იურიდიული და ფიზიკური პირი მოექცევა თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი განსხვავდება დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპისაგან. დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ამ პრინციპის ძალით დაუშვებელია დისკრიმინაცია როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ასევე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებზე იმ მიზეზით, რომ ესა თუ ის სახელმწიფო მიეკუთვნება ამა თუ იმ საზოგადოებრივ პოლიტიკურ სისტემას.

გეროს გენერალური ასამბლეის „სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ“ 1974 წლის ქარტიის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემისა.

დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპიდან გამომდინარე ცალკეულ სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე სახელმწიფოსაგან ისეთი პირობები, როგორითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოები და რომელიც საერთოა ყველა ქვეყნისათვის.

უპირატესობის მიხედვის რეჟიმის პრინციპიდან გამომდინარე იქმნება პრივილეგირებული უპირატესი უფლებები იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. უპირატესობის მინიჭების რეჟიმი ყოველთვის სახელმწიფოებზე წესით არის დადგენილი. დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი არ მოითხოვს სახელმწიფოებზე ფორმას, რადგანაც ეს წესი ზოგადი ხასიათისაა. ის სახელმწიფოების თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ვაჭრობა დისკრიმინაციის ვარუშე, მსოფლიოს სავაჭრო სისტემის ფუნდამენტური პრინციპია.

სავაჭრო ხელშეკრულებებში უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის გამოყენება გამორიცხავს დისკრიმინაციული დონის მიხედვების განხორციელების შესაძლებლობას და დადებითად მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე.

უპირატესობის მინიჭების რეჟიმისაგან განსხვავდება ეროვნული რეჟიმი. ეროვნული რეჟიმის ძალით, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ

პირებს მიენიჭებათ ისეთივე რეჟიმი, როგორი უფლებებითაც სარგებლობენ ამ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები.

„ეროვნული რეჟიმის“ დებულებების შესაბამისად, შემოტანილი და ადგილობრივი პროდუქციის მიმართ წესდება ერთი და იგივე რეჟიმი. იგივე წესები ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში. ამასთან გასათვალისწინებელია რიგი გამოწვევები ამ ორი პრინციპიდან. მაგ. „უპირატესი ხელისშეწყობის რეჟიმი“ არ ვრცელდება თავისუფალ სავაჭრო ზონებში ან არაინდუსტრიული ქვეყნებისათვის დაწესებულ შეღავათზე; „ეროვნული რეჟიმი“ კი – ტარიფებსა და სამთავრობო შესყიდვებზე.

საქართველოში უცხოელი მოქალაქეების საერთო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის, ადამიანთა უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ რეჟიმს.

ეროვნული რეჟიმი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონით, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, სამოქალაქო კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. „ეროვნული რეჟიმი“ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დადგენილი იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საკონტროლო კითხვები

1. რა გარემოება განაპირობებს კოლიზიური ნორმის განმარტების აუცილებლობას?
2. რა იცით პირველადი და მეორადი კვალიფიკაციის შესახებ?
3. რა აცულისხმება უკუმითიუებაში და მითითებაში მესამე ქვეყნის სამართალზე?
4. დაახასიათეთ კოლიზიური ნორმების სახეები?
5. რა არის ნაცვალებება?
6. რა შემთხვევებში იზღუდება კოლიზიური ნორმების მოქმედება?
7. რაში გამოისატება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის არსა?
8. რას ითავალისწინებს ეროვნული რეჟიმი?

ფიზიკური პირობები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1 ადამიანის უფლებები და საერთაშორისო კერძო სამართალი

თანამედროვე პირობებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისა დაცვას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო ურთიერთობების კუთხნიდან, ადამიანის ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე პიროვნების სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა უფლებები და თავისუფლებები კაცობრიობის შემდგომი განვითარების წინაპირობა გახდა.

საერთაშორისო სამართლის საფუძვლად აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს შეიცავს ადამიანის უფლებათა საფუძვლად დეკლარაცია საერთაშორისო პაქტი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ. აგრეთვე საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

ადამიანის უფლებათა უსარაიანობის აღიარება ხანგრძლივი სამართლებრივი განვითარების შედეგია, რომელიც პირველად ადამიანის უფლებათა შესახებ 1948 წლის დეკლარაციაში განმტკიცდა. ამ დეკლარაციით აღიარებულია ყოველი ადამიანის სამართალსუბიექტობა მიუხედავად ადგილსამყოფელისა. საერთაშორისო სამართლის საფუძვლად აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, რომელიც ადგენს, თუ რომელი სამართალი განისაზღვროს ფიზიკური პირის უფლებათა უსარაიანობა და ქმედუარაიანობა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა კერძო ხასიათის ურთიერთობები.

საერთაშორისო კერძო სამართლის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი. ზოგიერთი ქვეყნის კოლიზურ სამართალში ეს პრინციპი არ იყო რეალიზებული, რადგან განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული იყო მხოლოდ მამაკაცის სამართლის გამოყენება, რომელიც ქვეყნის მოქალაქე იყო.

მამაკაცი. ასე მაგალითად, ვფრ-ში ეს წესი ბოლო პერიოდში შეიცვალა და გერმანიის 1979 წლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის თანახმად, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე მუდღეობა განქორწინების შემთხვევაში გამოიყენება ორივე მუდღელის საერთო საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალი.

საბჭოთა კანონმდებლობის ისტორიისათვის ცნობილია ადამიანთა უფლებების შეზღუდვები. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ სსრკ-ს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 15 თებერვლის პრეზიდიუმის განცხადება, რომლის თანახმად, საბჭოთა მოქალაქესა და უცხოელს შორის ქორწინება აკრძალული იყო. საბჭოთა კანონმდებლობაში დამკვიდრებული ეს წესი ზღუდავდა როგორც საბჭოთა მოქალაქის საქორწინო უფლებათა უსარაიანობას, ასევე უცხოელების საოჯახო უფლებებს სსრკ-ს ტერიტორიაზე. მოგვიანებით ეს წესი შეიცვალა.

„მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტით, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს იქნა მიღებული (ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს), საერთაშორისო თანამშრომლობაში შემავალმა ქვეყნებმა ვალდებულია აიღვს, თავიანთი ტერიტორიის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დაიცვან პაქტით აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

ამ პაქტით, წყვერი სახელმწიფოების ვალდებულებები ვრცელდება მის ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიის ფარგლებში მყოფ ყველა პირზე, მიუხედავად მოქალაქეობისა. გამოთქმისა ზოგიერთი დებულება, რომელიც ვრცელდება მხოლოდ მოქალაქეებზე (მუხლი 25), ზოგიერთი კი - უცხოელებზე (მუხლი 13). სახელმწიფოებს ვეალებათ ყურადღება გაამახვილონ, თუ როგორ არის დაცული უცხოელთა უფლებები, როგორც კანონმდებლობით, ასევე პრაქტიკით. თუმცა პაქტი არ აღიარებს უცხოელთა უფლებას სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისუფლად შესვლასა და გადაადგილებაზე, მაგრამ კონკრეტულ ქვეყანაში შესვლაზე უარი არ შეიძლება იყოს დისკრიმინაციული და არაკუმანური ხასიათის. თანხმობა შესვლაზე უნდა მიეცეთ დიპლომატიკურებს, მოქალაქეებს და ემიგრანტ მუშებს, აგრეთვე ტრანზიტ უცხოელებს.

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის უფლება თანასწორად ისარგებლონ

პაქტით გათვალისწინებული მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებით (მუხლი 3).

ამ პაქტის აღნიშნული ნორმის უზრუნველყოფის მიზნით, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1967 წლის 7 ნოემბერს მიღებული „დეკლარაცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ“ დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფოებს ეთხოვათ მიიღონ ზომები ქალის არასრულყოფილების შესახებ ცრურწმენების და ჩვეულებათა აღმოსაფხვრელად. ქალის მიმართ დისკრიმინაცია ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად გამოცხადდა.

დეკლარაციამ აღიარა ქალის უფლება საკუთრების შექმნასა და შემკვიდრობაზე. აგრეთვე, საკუთრებით სარგებლობაზე, მის განკარგვასა და მართვაზე. ამ დეკლარაციით აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

„მოქალაქეობრივი და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ პაქტით, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ ყოველ პირს უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს ამ ტერიტორიის შიგნით და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი. ასევე, უფლება აქვს თავისუფლად დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა (მუხლი 12). შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს კანონით – ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი უსამართლობის, მორალის ან სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დანაშაულებიდან გამომდინარე. კონკრეტულ სახელმწიფოში კანონიერად მყოფი უცხოელი შეიძლება გასეკვებულ იქნეს მხოლოდ კანონიერი მოტივებით, როდესაც ამას მოითხოვს ეროვნული უშიშროება და ვანსაკუთრებული საგარეო მიზეზები.

ამ პაქტით, დაუშვებელია პირად და საოჯახო ცხოვრებაში თვისებური და კანონსაწინააღმდეგო ჩარევა. თითოეულ პირს, თავისი პირადი ცხოვრების მაქსიმალურად და უფექტურად დაცვის მიზნით, უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა იცოდეს, რომელი სახელმწიფო ორგანოები და კერძო პირები ფლობენ ინფორმაციას მის შესახებ. თითოეულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისი შესწორება ან საერთო ამოღება, მათ შორის სასამართლოს წესით.

პაქტით, ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უკუფურ ერთეულს, რომელიც დაცულია საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან. ის აღიარებს საქორწინო ასაკის მამაკაცისა და ქალის უფლებას ქორწინებასა და ოჯახის შექმნაზე. შეუძლებელია თანასწორნი არიან საოჯახო ურთიერთობათა ყველა სფეროში,

როგორცაა საცხოვრებელი ადგილის არჩევა, საოჯახო მეურნეობის წარმოება, ბავშვების აღზრდა და განათლება, ქონების განკარგვა.

პაქტი ოჯახს, საზოგადოებას და სახელმწიფოს აკისრებს მოვალეობას, დაიცვას ბავშვთა ინტერესები. დაცვის ზომები ვულისხმობს ისეთი სპეციალური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ზომების გატარებას, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებასა და სრულყოფილად აღზრდას. გარანტირებული უნდა იყოს ბავშვის უფლება მოქალაქეობის მიღებაზე. სახელმწიფოები უფლებდებიან არიან მთელი ყველა ზომა როგორც მთა სახელმწიფო მთელზე, ასევე სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომ მათ ტერიტორიაზე დაბადებული ყოველი ბავშვი რეგისტრირებული იყოს, როგორც მისი ქვეყნის მოქალაქე. ამ თვალსაზრისით, შიდასახელმწიფოებრივი კანონით, არავითარ დისკრიმინაციას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ქორწინებისმიერი და ქორწინების გარეშე ბავშვებს, მოქალაქეობის არმქონე მშობლების შვილებსა და იმ ბავშვებს შორის, რომელთა მშობლები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან.

ამ პაქტით გარანტირებულ უნდა იქნეს უცხოელების სამართლებრივი დაცვა სასამართლოებში, აღმინისტრაციულ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებში. უცხოელებს უფლება უნდა ჰქონდეთ ადგილობრივი მოქალაქის თანაბრად მიმართონ ამ ორგანოებს თავიანთი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

„მოქალაქეობრივი და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტით სახელმწიფოებს ევალებათ ყურადღება გამოახვილონ, თუ როგორ არის კანონმდებლობითა და პრაქტიკით დაცული უცხოელთა უფლებები. როდესაც ვლადივოსტოკში უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობაზე, უნდა აღენიშნოთ ეს პრინციპული საწყისი დებულებები, რომელიც სავალდებულოა როგორც უცხოელთა უფლებების დასაცავად, ასევე საერთაშორისო კერძო სამართლისათვის. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები მის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყოველი ინდივიდისათვის პაქტით აღიარებული უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო, რომელიც „მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მონაწილეა, სხვა პაქტის მონაწილე ქვეყნების წინაშე აიღო ვალდებულება, მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დაიცვას პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.

ისტორიულად, ყველა ერის თანასწორუფლებიანობის პრინციპის აღიარებას ბიძგი მისცა საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ამასთან, შემდგომში სახელმწიფოთა ეკონომიკური და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა ზოგიერთი გამოწვევის დაწესება რაც გამოიხატება უცხოელ ფინანსურ პირთა გადაადგილების, მათ მიერ განსაზღვრული თანამდებობის დაკავების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების და სხვა სახის შეზღუდვებში, რაც კანონმდებლობით უნდა დადგინდეს.

საქართველოსა და ევროგაერთიანების 1996 წლის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეიცავს სპეციალურ კარს (XII). ის შეეხება ადამიანის უფლებების, კანონიერების და ძირითადი თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის პრინციპებს. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანებას. ეს მოვლენა საქართველოს სამართლებრივ და ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი განვითარების წინაპირობაა და ქვეყნისაგან მოითხოვს ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

§2 უცხოელების სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა. უცხოელთა მდგომარეობის ზოგადი საკითხები.

სხვადასხვა სახელმწიფოთა მოსახლეობაში შუამდებია გამოიყოფილი რამდენიმე კატეგორია, რომლებიც თავიანთი უფლებრივი მდგომარეობითა და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავებული სუბიექტები არიან:

ეს კატეგორიებია:

- ა) კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეები;
- ბ) უცხოელი მოქალაქეები;
- გ) მოქალაქეობის არმქონე პირები (აპატრიდები);
- დ) ორი მოქალაქეობის მქონე პირები (ბიპატრიდები);
- ე) პირები, რომელთა მოქალაქეობა დაუდგენილია.

მოსახლეობის ყველა ეს კატეგორია სხვადასხვა ვითარებას საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტებად გვევლინება. საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები ვრცელდება ასევე

კლასიცილებული პირების, დევნილების და იმ პირების მიმართ, რომელთაც ეკუთვნით პოლიტიკური თავშესაფარი.

მოსახლეობის აღნიშნული კატეგორიების უფლება-მოვალეობათა შინაარსი და მოცულობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობის სასაბითთან, სახელმწიფოთა პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარების დონესთან.

სახელმწიფოთა მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის მსწერად, მდგომარეობის მიმდინარეობის მიმართლის კომპლექსურია, მაგრამ თანამედროვე პერიოდში სახელმწიფოთა ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირების მიზნით შეუქმნებელია უცხოელთა სამართლებრივი რეჟიმის მოწესრიგებასთან და ჩათი მდგომარეობის რეგლამენტაციასთან დაკავშირებული საკითხების ცალმხრივად გადაწყვეტა. ყოველი უცხოელის ზურგს უკან დგას სახელმწიფოები. ისინი ცდილობენ ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ უცხოელების სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები. ამის გამო საერთაშორისო მასშტაბით შემუშავებულია მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები და მეთანხმებები, რომლებიც მოსახლეობის ზემოთ აღნიშნულ კატეგორიებს შეეხებიან.

„უცხოელების სამართალი“ ეს არის ნორმების კომპლექსი, ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს უცხოელების საქციალურ სტატუსს ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობებში. ეს ნორმები დგენენ, ადგილობრივ მოქალაქეებთან მიმართებაში, უცხოელების შინაარს და განმასხვავებელ რეჟიმს და ამავე დროს იმ წესებს, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სახელმწიფოს შარვლებში უცხოელების საქმიანობის განხორციელებისათვის.

თურადიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უცხოელების სამართალი“ განსაზღვრავს უცხოელების სტატუსს, როგორც „ვიწრო“, ასევე „ფართო“ გაგებით. ვიწრო გაგებით, ეს ნორმები ძირითადად აღმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა. ის შეეხება უცხოელების სამართლებრივი სტატუსის განსხვავებას ადგილობრივი მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობასთან.

I. M. M. Богуславский. Международное частное право. М. ТЕИС 1994-507 с. с. 120.

„ფართო“ გაგებით „უცხოელების სამართალი“ ეს არის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს უცხოელების სამართლებრივ სტატუსს ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობებში.

ავტორთა ვარკვეული ნაწილის (მ. ბოგუსლავსკი) შეხედულებით, უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი ნორმები არის არა კოლიზიური, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის, რომლებიც არსებითად და უშუალოდ არეგულირებენ ურთიერთობას.

მართალია, უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა ძირითადად გამოხატულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს გავიზიაროთ გერმანელი იურისტის ფონ ბარის შეხედულება იმის შესახებ, რომ უცხოელთა სამართალში მატერიალურ ნორმებთან ერთად შედის ცალკეული კოლიზიური ნორმები¹.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე „უცხოელების სამართლის“ ისტორიული ნიშეში იყო რომის სამართლის ნორმები (JUS GENTIUS), რომლებიც ძველ რომში, როგორც ზემოთაც ავლინებთ, პრეფერენსებს ანუ იმ პირებს შორის ურთიერთობებს არეგულირებდნენ, რომლებიც ძველი რომის მოქალაქეების რიცხვში არ შედიოდნენ, ძველ რომში არსებობდა სპეციალური ორგანო (PRAETOR PEREGRINIS), რომლებიც პრეფერენსებს შორის წარმოშობილ დავებს განიხილავდა. თავდაპირველად, რომის სახელმწიფოში უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა არასახარბიელო იყო. უცხოელები ფაქტიურად, სამართლებრივ დაცვის გარეშე იმყოფებოდნენ.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ცეზარმა ციზალპიის ვალიის მცხოვრებთა რომის მოქალაქეობა უბოძა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას არ ცნობდა რომის იმპერატორი დომიცეანე ტიტუს ფლავუსი, რომელიც ზშირად რომის მოქალაქეების მიმართ ისეთ სასჯელებს იყენებდა, რაც რომის მოქალაქისათვის სამარცხვინოდ ითვლებოდა. უცხოელები და ადგილობრივი მოქალაქეები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდნენ, ისე რომ უბრალო დიპლმატიკოს კი თავისი უფლებებით მაღლა იდგა, თავის სამშობლოში დიდ პიროვნებად აღიარებულ, მაგრამ რომის მოქალაქეობას მოკლებულ პირთან შედარებით.

ლიტერატურაში აღნიშნულა, რომ პრეფერენსების მიმართ სპეციალური სამართლის გამოყენება ყოველთვის არ მთავრდებოდა

ცული შედეგებით. ზოგ შემთხვევაში, „JUS GENTIUS“ შედარებით მარტივი იყო და შეიცავდა რიგი ფორმალური ხასიათის შეზღუდვებს. მოგვიანებით მისი დებულებები შევიდა რომის სამოქალაქო სამართალში (JUS CIVILIS)¹.

თანამედროვე პირობებში უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი ნორმები სამართლის დამოუკიდებელ დარგს არ ქმნის. უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებულ ნორმებად გვევლინება როგორც საერთაშორისო სელშეკრულებები ასევე, ამა თუ იმ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა.

რიგ ქვეყნებში უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის, უცხოელებსა და ადგილობრივ მოქალაქეებს შორის უფლებრივი თანასწორობის, ზოგიერთი განსხვავებისა თუ შეზღუდვების ცალკეული საკითხები, შეტანილია საერთაშორისო კერძო სამართალში. ასეთა: ქვეყანა საფრანგეთი და ის ქვეყნები, რომელთა სამართლებრივი სისტემის ფორმულირებაზე გავლენა მოახდინა საფრანგეთის სამართალმა.

ძიულ რაგ სახელმწიფოებში (გერ, ავსტრია), სადაც უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის სფერო დეტალურად რეგულირდება, „უცხოელების სამართალი“ განიხილება როგორც ადმინისტრაციული სამართლის ქვედარგა.

რიგ ქვეყნებში უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებს შეიცავს სამართლის სხვადასხვა დარგები, მათ შორის: სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო, შრომითი, სისხლის სამართალი, ასევე პროცესუალური სამართალი. ამთ სრულიადაც არ არის გამორიცხული ის, რომ ქვეყანაში არსებობდეს უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი ერთიანი, კომპლექსური ხასიათის საკანონმდებლო აქტები.

XX საუკუნისათვის დამახასიათებელია იმ უცხოელთა რიცხვის სწრაფი ზრდა, რომლებიც დროებით თუ მუდმივ საცხოვრებლად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში. ბოლო პერიოდში უცხოელთა რიცხვი განსაკუთრებით გერმანიაში გაიზარდა და მან მიაღწია 5-7 მილიონ ადამიანს, იტალიაში 1 მილიონს. 1990 წლის მონაცემებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშა-ემიგრანტების რიცხვმა შეადგინა 12 მილიონი ადამიანი.

1. Keller M. siehr K. op. cit. S. 138.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლ რევ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოდან ემიგრირებულ პირთა რიცხვიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ემიგრანტთა ნაკადი საცხოვრებლად ძირითადად გადასულა რუსეთში, აშშ-ში, გერ-ში, ისრაელში, საბერძნეთში.

უცხოელთა რაოდენობის ზრდა სხვადასხვა სახელმწიფოში დღის წესრიგში აყენებს უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საკითხს უცხო სახელმწიფოში.

2. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპები და გარანტიები საქართველოში. საქართველოში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ცალკეულ საკითხებს საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად შეიცავს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1993 წლის 3 ივნისის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს 1993 წლის 25 მარტის კანონი „მოქალაქეობის შესახებ“, საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონი „იმიგრაციის შესახებ“, საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურების წესის შესახებ“ და სხვა მრავალი ნორმატიული აქტი. მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და ადამიანის უფლებათა დაცვის საფოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით უცხოელებად ითვლებიან პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც აქვთ უცხო სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი (მუხლი 1).

საქართველოში უცხოელი მოქალაქეები სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებებითა და თავისუფლებებით. მათ ისეთივე მოვალეობა აკისრიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მუხლი 3).

ამრიგად „უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონმდებლობა განამტკიცებს უცხოელებისათვის ეროვნული რეჟიმის მინიჭებას. კერძო სამართლის სფეროში ეროვნული რეჟიმის გამოყენება უფრო ხშირია, ვიდრე სამართლის სხვა სფეროში. კანონის მოთხოვნა ეროვნული რეჟიმის მინიჭების შესახებ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის დებულებიდან, რომლის თანახმად, „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებულად გამოინაკლესებისა“ (მუხლი 47).

„უცხოელების მიმართ ეროვნული რეჟიმის დაწესება ქმნის ისეთ პირობებს რომლის ძალითაც უცხოელ ფიზიკურ პირს არ შეიძლება პრეტენზია მქონდეს რომელიმე სხვა სამოქალაქო უფლებებზე გარდა იმისა, რასაც მას ჩვენი კანონმდებლობა ანიჭებს.“

საქართველოს კანონმდებლობით, უცხოელებს შეუძლიათ საკუთარებაში მქონდეთ ქონება, მემკვიდრეობით მიიღონ ან ანდერძით დატოვონ სამკვიდრო, მქონდეთ სამეცნიერო, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაშრომების, აღმოჩენის, გამოგონების, სამრეწველო ნიმუშების ავტორობის უფლება და სხვა.

უცხოელს უფლება არა აქვს მოითხოვოს პრივილეგიები ან მის სასარგებლოდ საქართველოს საკანონმდებლო ნორმებიდან რაიმე გამოინაკლესის დაშვება.

უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობით „უცხოელი მოქალაქეები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ტერნტორიული მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური, თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებათა მიუხედავად“ (მუხლი 3, პუნქტი 3).

საქართველოს კანონმდებლობით, უცხოელებსათვის საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებების მინიჭებამ არ უნდა მიაყენოს რაიმე სახით ზიანი საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესებს, საქართველოში მცხოვრები სხვა პირების კანონიერ უფლებებს.

მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის დროს ჩვენი კანონმდებლობა, გამოდის რა სხვადასხვა რაზმისა და ეროვნების თანასწორობას პრინციპებიდან თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის

ქორწინების აკრძალვას, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთ სახელმწიფოში, ჩვენთან ძალიან არ გააჩნია.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური პრინციპი ვრცელდება უცხოელი მოქალაქეების მიმართაც, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ამიტომ, საქართველოში არ შეიძლება აღიარონ ქორწინებაში მყოფი ქალების სამართლებრივი უფლებების შემზღვეველი ნორმები, სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო აქტებში არსებული წესები, რომლებიც აწესებენ ქმრის ძალაუფლებას ცოლებზე, წვევებ მოქმედებს ამ ქვეყნის მოქალაქეებისათვის, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. საქართველოში არ შეიძლება განხორციელდეს ქალის სამართლებრივი უფლებების შემლახველი ორიენტიული მოქმედებები. ცოლს ქმრის ნებართვის გარეშე შეუძლია მოეწყოს სამუშაოზე, განკარგოს თავისი ქონება, მიმართოს სასამართლოს და სხვა.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი საქართველოს კანონმდებლობისათვის ახალი არ არის და საბჭოთა წვობილების პერიოდშიც საბჭოთა სამართლის საფუძვლად აღიარებული პრინციპი იყო. მაგრამ ის ზოგიერთი სახელმწიფოსათვის არც თუ ისე ხანდაზმულია. მაგალითად, საფრანგეთში, 1985 წლის 25 დეკემბრის კანონით იქნა განმტკიცებული ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. ამ კანონის მიღებამდე საფრანგეთში ქმარი ითვლებოდა ოჯახის უფროსად. შეუძლებელია საერთო ქონებას ქმარი ერთპიროვნულად განაგებდა. ცოლის უფლება-უნარიანობა შეზღუდული იყო. ანალოგიურად იყო მოწყობილი საოჯახო ურთიერთობები ავსტრიის სამოქალაქო სამართალშიც. ოჯახში ქმარს ჰქონდა მინიჭებული ზემოქმედებლობის უფლება. ის ცოლის ქონებას ერთპიროვნული მართვის შესაძლებლობით სარგებლობდა.

ურთიერთდაქვემდებარება არსებობდა როგორც ქმარსა და ცოლს შორის ურთიერთობაში, ასევე მამასა და შვილს შორის ურთიერთდამოკიდებულებაშიც. შვილებზე მშობლების უფლებების განხორციელება მამის კომპენტუნციას შეადგენდა. ადრე არსებული კანონმდებლობით, სქესთა შორის უთანასწორობა საცხოვრებელი ადგილის არჩევაშიც თამაშობდა გარკვეულ როლს. მაგალითად, ცოლის საცხოვრებლად ითვლებოდა ქმრის საცხოვრებელი ადგილი. ეს წესი ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით დღემდე შემორჩენილია.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უცხოელი დიპლომატიის ორ კატეგორიად: საქართველოში მუდმივად მცხოვრები და დროებით მყოფი უცხოელები. უცხოელთა მიკუთვნება პირველ ან მეორე კატეგორიის რიცხვში დამოკიდებულია უცხოელქმარს სამართლებრივი მდგომარეობის საფარზე, მათი კონკრეტულ ქვეყანაში ყოფნის მიზანსა და ხასიათზე. უცხოელის სხვა ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების ფაქტი განსაზღვრავს მის სამართლებრივ მდგომარეობას.

უცხოელებს შეუძლიათ მუდმივად იცხოვრონ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით ვაცემული მუდმივად ცხოვრების ნებართვისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე.

უცხოელების შესახებ კანონის თანახმად საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა ვაცემა კანონით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში. თუ უცხოელი წარმოშობით ქართველია ან საქართველოს მოქალაქის მშობელი, მეუღლე, იერამენტ წლამდე ასაკის ან სრულწლოვანი არაქმდურია შვილია, ან თუ უცხოელი საქართველოს მოქალაქის მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირია, ასევე თუ უცხოელი საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველია (მუხლი 5).

საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა ვაცემა იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებთან, რის შესახებაც უნდა არსებობდეს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის ვადაწყვეტილება.

ის პირები, რომლებმაც უარი განაცხადეს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე, მოქალაქეობის შესახებ კანონის შესაბამისად, საითვლებიან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებად (მუხლი 5, პუნქტი 3).

საქართველოში უცხოელებს გარანტირებული აქვთ პირადი და საცხოვრებელი ადგილის ხელშეწყობისათვის, კანონი ასევე იცავს მათ ღირსებასა და რეპუტაციას. უცხოელის ოჯახურ და პირად საქმეებში მარცხის უფლება არაქვს. კანონმდებლობით დაცულია უცხოელი კარგისპონდენტების საიდუმლოება, მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს შეუძლიათ დაიკავონ უმაღლესი თანამდებობა ან ხელი ჩაეყინონ ნებისმიერ შრომით საქმიანობას, რომელსაც არ ეკრძალება საქართველოს კანონმდებლობით.

უცხოელებს საქართველოში აქვთ როგორც შრომითი საქმიანობის, ასევე საქართველოს მოქალაქეების თანაბარ საწყისებზე დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების, ასევე ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე იცავს ამ მოქალაქეობის არმქონე პირების სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას და სხვადასხვა სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში.

საქართველოში მცხოვრები უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, უზრუნველყოფილი არიან დახმარებით, პენსიითა და სხვა სოციალური უზრუნველყოფის საშუალებებით.

საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ დაქორწინდნენ ან განქორწინდნენ როგორც საქართველოს მოქალაქეებთან, ასევე სხვა პირებთან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. რომლის დროსაც, რასაკვირველია გაითვალისწინება კოლიზიური ნორმების მოქმედება.

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ფართო სამოქალაქო უფლებები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონი, პატივი სცენ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს.

უცხოელებს თავისი უფლებების დასაცავად შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს. ასევე, მათ უფლება აქვთ მიმართონ იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეობაც მათ აქვთ ან სადაც მუდმივად ცხოვრობენ. ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, — იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკანსულო წარმომადგენლობას, რომელიც უფლებამოსილია დაიცვას იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესები, რომლის მოქალაქეც არის უცხოელი ან სადაც მუდმივად ცხოვრობს მოქალაქეობის არმქონე პირი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ უცხოელების დიპლომატიური და საკანსულო წარმომადგენლობის მეთაურებსა და თანამშრომლებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ, არ

ერცელდება უცხოელებს სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონის ნორმები, რადგან ეს პირები, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, თავისუფლებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

მართალია, უცხოელ მოქალაქეებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ფართო სამოქალაქო უფლებები, მაგრამ გამოჩვეულის შემთხვევებში შეიძლება მათი უფლებები შეიზღუდოს.

საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფოს უფლება აქვს აკრძალოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკურ გაერთიანებებში გაწევრიანება. ასევე, მათ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საქმიანობაში ან დააფუძნონ პოლიტიკური გაერთიანებები.

საქართველოში უცხოელებს უფლება არა აქვთ აირჩიონ ან არჩეულ იქნენ საქართველოს პარლამენტსა ან სხვა არჩევით სახელმწიფო ორგანოებში. მათ ასევე არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთოსახალხო რეფერენდუმში.

უცხოელების მიმართ შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საშუალო შესრულების სფეროში. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე, დაბადებით საქართველოს მოქალაქე, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.

მართალია, უცხოელი მოქალაქეები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოხვედისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მონახლეობის ჯანმრთელობის, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, უცხოელთა მიმოხვედის შეზღუდვა შეიძლება შეიზღუდოს მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევად.

საქართველოს კანონმდებლობით, შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს ბუნებრივი რესურსებს დაქუჩავეებისა და გამოყენების, ასევე უძრავი ქონების შეხვედვის სფეროში.

საავტორო უფლების ტერიტორიული ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული რეჟიმი საავტორო უფლების მიმართ დგინდება იმ ნაწარმოებზე, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ტერიტორიაზე ან არ არის გამოქვეყნებული საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ რაღაც ობიექტური ფორმით იმყოფება საქართველოში - სხვა ნაწარმოებების მიმართ უცხოელების საავტორო უფლებები დგინდება საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

შეიძლება ითქვას, რომ უცხოელები ექვემდებარებიან „ორმაგ“ სამართლებრივ წესრიგს. მოქალაქეობის ქვეყნის კანონს და იმ ქვეყნის კანონს სადაც იმყოფებიან. ამ „გაორებაში“ გამოიხატება უცხოელი ფიზიკური პირების სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიურობა.

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებს შვიცავს საქართველოს მიერ სხვადასხვა ქვეყნებთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები. მათ შორის საეაჭრო ხელშეკრულებები, კონსულის კონვენციები, სამართლებრივი დახმარების შესახებ კონვენციები, საგადასახადო საკითხებზე დადებული შეთანხმებები და სხვა. ამ სახელშეკრულებო აქტებში განმტკიცებულია უცხოელებისათვის საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებების (ეროვნული რეჟიმი) ან იმდევარი უფლებების მინიჭება, რომლითაც სარგებლობენ სხვა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც დადებულია ანალოგიური ხასიათის ხელშეკრულება (უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი).

§3 ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი.

სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპის მიხედვით, ყველა ადამიანს გააჩნია უფლებაუნარიანობა და არაის არ შეიძლება წართქვეს ეს უფლება. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტით და გულისხმობს პირის უნარს, პქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (მუხლი 11, პუნქტი 2).

1. М.М. Богуславский. Международное частное право. Учебник 3-е изд., перераб. и доп. - М. Юрист 1998-408 с. с. 106.

იმისათვის, რომ ფიზიკურმა პირმა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სამოქალაქო უფლებები პრაქტიკაში განახორციელოს, საჭიროა მეორე სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელსაც ქმედუნარიანობა ეწოდება. ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“ (მუხლი 12).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები და ყველა სხვა ის პირები, რომლებზედაც ვრცელდება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ადგენს, თუ რომელი სამართლით განისაზღვრება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამოქალაქო სამართლებრივი და პროცესუალური უფლებები ასევე, იმ პართა უფლებები, რომლებიც რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა ან რომელთა მოქალაქეობის დადგენა შეუძლებელია.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, უცხო ქვეყნის ფიზიკურ პირებს, ასევე მოქალაქეობის არ მქონე პირებს, იხითივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს“ (მუხლი 21).

საქართველოში უცხოელებისათვის ეროვნული რეჟიმის მინიჭება შეიძლება ატარებდეს პირობით ხასიათს და გამომდინარეობდეს სტეალგების პრინციპებიდან. ეს იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქვეყანაში მოხდებოდა საქართველოს ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საქართველოს მიერ აღექვატური შეზღუდვების დაწესება ზორციელდება სათანადო სამართლებრივი ნორმების დადგენით.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი ეწვეკუთვნება“ (მუხლი 23).

იმ პირის ნიშნით, რომელიც რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, ამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც ეს პირი ყველაზე უფროდაა დაკავშირებული, სადაც აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ეწვევა პირითად საქმიანობას. ხოლო, მოქალაქეობის არმქონე პირის

და იმ პირის მიმართ, რომლის მოქალაქეობის დაღვერა შეუძლებელია გამოიყენება ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი ამ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ასეთი პირები ეწევიან ძირითად საქმიანობას (მუხლი 22). თუ საქართველოს მოქალაქე შეიცავს სამართლებრივი სტატუსი, მისი ეს მოქმედება არ გამოიწვევს ერთხელ შეტანილი უფლებათუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შეზღუდვას.

ამრიგად, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით ფიზიკური პირის უფლებათუნარიანობისა და ქმედუნარიანობის განსაზღვრის დროს, გამოიყენება შერევი ძირითადი კოლიზიური პრინციპები: მოქალაქეობის კანონი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნისა და ძირითადი საქმიანობის ადგილის კანონი.

საქართველოს მოქალაქეობა, ეს არის პირის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი საქართველოსთან, რაც ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობაში გამოიხატება და ადამიანის პატრივისციმს, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას ემყარება.

„საცხოვრებელი ადგილი“ პირის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი უძველესი კრიტერიუმია საქართველოს კანონი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილს მიიჩნევს ადგილს, რომელსაც ის ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. „ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ცნება შრავალ საერთაშორისო კონვენციაშია გამოყენებული.

საერთაშორისო კერძო სამართალში გავრცელებული შეხედულებების თანახმად, „ჩვეულებრივ საცხოვრებლად“ მიიჩნევა პირის ძირითადი უმთავრესი ადგილსამყოფელი. კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე თავისუფალი უნდა იყოს, რომ პირი მოცემულ ადგილზე დროებით არ იმყოფება. ჩვეულებრივი საცხოვრებლის განსაზღვრის დროს გადაწყვეტი მიიღებულია აქვს როგორც პირის ფაქტობრივ ყოქმად მოცემულ ადგილზე, ასევე მის ნება-სურვილს, ამ ადგილზე ქვეყნის საცხოვრებელი.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა უცხოელისათვის დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კანონიერად იმყოფება იგი მოცემულ ქვეყანაში და ყოფნის ეს უფლება აძლევს იმ არა მს შესაძლებლობას აირჩიოს ის საცხოვრებლად. ე.ი. უცხოელმა ჯერ უნდა მიაღწიოს ნებას სახელმწიფოსთან ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების თაობაზე, ხოლო შემდეგ აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

აღსანიშნავია, რომ სახელთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება არ შედოიფარგლება სამოქალაქო სამართალით. სახელის შეცვლა ხდება სახელმწიფო ორგანოს აქტის საფუძველზე, ხოლო ასეთი ორგანო შეიძლება იყოს მოქალაქეობის ქვეყნის ორგანო.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის კანონით, რომელსაც ეს პირი განუკუთვნება (მუხლი 26).

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სახელის ცნებაში შედის პირის გვარიც. ამჟამ კანონით ნებისმიერი მოქალაქე ვალდებულია სახელის შეცვლის შემთხვევაში აცნობოს ამის შესახებ დებიტორებსა და კრედიტორებს და იკისროს პასუხისმგებლობა იმ შედეგებზე, რასაც გამოწვევს სახელის შეცვლასთან დაკავშირებული საჭირო მონაცემების მიუწოდებლობა.

§4 საქართველოს მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა საზღვარგარეთ

საერთაშორისო კერძო სამართალში ფიზიკური პირების სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა განიხილება ორ ასპექტში: პირველი მოიცავს კონკრეტულ სახელმწიფოში მყოფი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივ მდგომარეობას, მეორე კი — სახელმწიფოს ურთიერთობას საზღვარგარეთ მყოფი საკუთარ მოქალაქეთა მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 22), ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ ვადიან შუღშივ საცხოვრებლად, დროებით, ნათესავების მიწვევის საფუძველზე, სამუშაოდ, სასწავლებლად, სამკურნალოდ, დასასვენებლად, სიმოზაროდ, ასევე სამსახურეობრივი მიზნებით და ა.შ.

საქართველოს მოქალაქე, რომელიც გავა საქართველოს ტერიტორიიდან უცხო სახელმწიფოში, ექცევა იმ სახელმწიფოს ურთიერთობის ქვეშ, მაგრამ ამათ მისი ურთიერთობა საქართველოსთან წყდება. ის ინარჩუნებს მოქალაქეობას.

საქართველოს მოქალაქე საზღვარგარეთ საქართველოს მფარველობისა და დაცვის ქვეშ იმყოფება. ეს დებულება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით. „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“ (მუხლი 13).

ანალოგიური დებულებაა განმტკიცებული საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონით. „უცხოეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, როგორც თავის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველო“ (მუხლი 6).

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ დახმარებისა და დაცვისათვის მიმართონ თავიანთი ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულთრო წარმომადგენლობას.

საქართველოს დიპლომატიური და საკონსულთრო წარმომადგენლობა ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეების დაცვა და მფარველობა, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საქართველოს საკონსულთროები ვალდებული არიან მიიღონ ზომები, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ისარგებლონ ყველა იმ უფლებით, რომელსაც მათ ანიჭებს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის მონაწილეა საქართველო და ადგილსამყოფელი სახელმწიფოც. ამასთან, საქართველოს მოქალაქე სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რომელსაც საერთაშორისო ხელშეკრულებები ითვალისწინებს. თუ კონსულის მიერ დადგენილი იქნება საქართველოს მოქალაქის სამართლებრივი უფლებების დარღვევის ფაქტი, მან უნდა მიიღოს სათანადო ღონისძიებები საქართველოს მოქალაქის დარღვეული უფლების აღსადგენად.

საქართველოს საკონსულთროები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ აწარმოებენ დაბადების, ქორწინებისა და განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დაცვის, სახელის შეცვლის, გარდაცვალების რეგისტრაციას. ასევე, ახდენენ მოქალაქეობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა მთელი რიგი აქტების წარმოებას. საკონსულთროების დანიშნულების ძირები ამოწმებენ გარიგებებს, იღებენ ზომებს სამედიკინო ქონების დასაცავად. ვასცეპტ მემკვიდრეობის შესახებ მოწმობას, ამოწმებენ დოკუმენტებისა და ჩანაწერის ნამდვილობას, დოკუმენტებზე ხელმოწერებს, იღებენ დეპოზიტზე ფულად თანხებს და სხვა ფასიან ქაღალდებს.

კონსულს უფლება აქვს მინდობილობის საფუძველზე, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს დაწესებულებებში წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქეთა უფლებები, თუ ისინი არ იმყოფებიან ადგილზე და საქმის გაძლიერება არ მიუხედავად სხვა პირისათვის ან თუ არ შეუძლიათ დაცვას თავიანთი ინტერესები სხვა მიზეზების გამო. ეს წარმომადგენლობა ვრცელდება მანამ, სანამ წამომადგენელი პირები არ დაინიშნენ თავიანთ რწმუნებულებს ან თავად არ იკისრებენ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

საბჭოთა წყობილების არსებობის პერიოდში არ იყო დაშვებული კერძო საკუთრება წარმოების იარაღებისა და საშუალებებზე. მისა სახელმწიფოს განსაკუთრებულ საკუთრებას შეადგენდა და საბჭოთა მოქალაქეს მასზე კერძო საკუთრების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მას შეეძლო ესარგებლა ყველანაირი ქონებრივი უფლებებით, რაც მისი საკუთრებასთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოში იყო დადგენილი (მაგ. შეეძლო კერძო საკუთრებაში ჰქონოდა მიწის ნაკვეთი საზღვარგარეთ).

საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ძირუღწად განსხვავდება საბჭოთა წყობილების დროს არსებული კანონმდებლობისაგან. დაშვებულია კერძო საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე. მათ შორის მიწაზე. ამ ფაქტს აქვს როგორც დიდი ისტორიული, ასევე სამართლებრივი მნიშვნელობა.

რამდენადაც შესაკუთრის უფლების მოცულობა და შინაარსი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც ნივთი იმყოფება, უცხოეთში საქართველოს მოქალაქეს და უცხოელს საქართველოში შეუძლია განახორციელოს თავის ქონებასთან დაკავშირებული ყველანაირი უფლებამოსილება, რაც ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით არის დადგენილი. ამავ დროს, უცხოეთში მყოფ ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ ადგილობრივი ორგანოებიდან მოითხოვონ თავიანთი უფლებების დაცვას უზრუნველყოფა. მათთვის ქონებრივი უფლებებით სარგებლობის შეზღუდვის ყველანაირი შედეგობა ან საკუთრების უფლებების ჩამორთმევა, დაუშვებელია და ვარაუდობა, როგორც კონსტიტუციის მიხედვით მათ მიმართ.

1. რა კატეგორიები გამოიყოფა ქვეყნის მოსახლეობაში და როგორია უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელ ნორმათა სისტემა სხვადასხვა სახელმწიფოში?
2. რა უფლება-მოვალეობები აქვთ უცხოელებს საქართველოში? (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე).
3. რომელი ქვეყნის სამართლით განისაზღვრება ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა? (საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით).
4. რომელი ქვეყნის სამართლით წესრიგდება ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები? (საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით).
5. რა შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს უცხოელთა უფლებები საქართველოში?
6. რა მოვალეობები აკისრიათ საქართველოს საკონსულოებს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად?

იურიდიული პირები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1 იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

1. იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი საკითხები. უცხოელი ფიზიკური პირების გარდა, საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს უცხოური იურიდიული პირები. წინა თავში ჩვენ შევეხეთ ფიზიკური პირების სამართლებრივ მდგომარეობას და აღვნიშნეთ, რომ „უცხოელთა სამართლის“ ისტორიული ნიშნით იყო რომის სამართლის ნორმები. განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, რომელთა იურისტებს სამართლებრივად დამოუკიდებელი ორგანიზაციების შესახებ მნიშვნელოვანი ხასიათის მოძღვრება არ შეუქმნიათ. პირთა გაერთიანებებთან დაკავშირებული თეორიების შექმნა შუა საუკუნეებდან დაიწყო და რომის სამართლის ცალკეული ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბდა მოძღვრება, რომლის თანახმად პირთა გაერთიანებებს აქვთ საკუთარი ქონება, მოქმედებენ საკუთარი ორგანოების მეშვეობით და შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი წესდებაც. ასეთ გაერთიანებათა დაფუძნება ხდებოდა ხანებაროვო წესით. ამასთან, ზოგიერთი ამ სახის წარმონაქმნის შექმნას მთავრობის ნებართვა არ სჭირდებოდა. შემდეგში მოძღვრება პირთა გაერთიანებების შესახებ, რომელიც კანონიკური სამართლისა და რომის სამართლის კვლევებს უკავშირდება, მთელ ეროპაში გავრცელდა¹.

„იურიდიული პირი“ (juristische Person). გერმანული წარმოშობის ტერმინია და პირველად მისი გამოყენება ისტორიული სკოლის უფემდეგელს გუსტავ ჰეგლის სახელს უკავშირდება. იურიდიული პირის ცნების საბოლოოდ დამკვიდრებას კი პანდექტიკის მეცნიერების უფემდეგელს გეორგ არნოლდ მაიზეს მიეწერენ. ის, 1807 წელს

1. ლადო ჭინტურია. მწიგნობრობის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი, 1998 წ. გვ. 204-205.

გამოცემულ „საერთო სამოქალაქო სამართლის საფუძვლებში“ დეტალურად განიხილავს „იურიდიული პირის“ ცნებას. პაისე კონკრეტული ადამიანების გარდა იურიდიულ პირად მიიხსენიეს გელაფერსი, რაც სახელმწიფოში უფლებათა დამოუკიდებელ სუბიექტად არის აღიარებული.

თანამედროვე მსოფლიოში გამოიყენება როგორც მორალური პირის *persona morale* (ავსტრია, უზგრეთი), ასევე იურიდიული პირის - *juristische person* (შვეიცარია, პოლანდია) ცნებები.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არავითარ ნორმებს არ შეიცავს იურიდიული პირის შესახებ. ეს პრობლემა საფრანგეთში საჯარო სამართლის საგნად ითვლებოდა. იურიდიულ დიტირატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსეთის სამართალში იურიდიული პირის ცნება გერმანიიდან არის შესული, ხოლო საქართველოში რუსეთიდანაა გავრცელებული (დ. ჭანტურია).

საბჭოთა თეორია დეტალურად განიხილავდა იურიდიული პირის ცნებას. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიხედვით, იურიდიული პირი არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია განცალკევებული ქონება, თავისი სახელით შეუძლია მოპოვოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და აკისროს მოვალეობები. მას შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟში და სამედიცინო სასამართლოში.

საქართველოს ახალი სამოქალაქო კანონმდებლობით, იურიდიული პირი არის განსაზღვრული შიხის მიხედვით შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წამონაკში, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აკებს პასუხს და საკუთარი სახელით იძებს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ (მუხლი 24).

საქართველოს ახალი კანონმდებლობა ცნობს როგორც საჯარო, ისე კერძო სახის იურიდიულ პირებს. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, თვითონ სახელმწიფო, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში თავისი ორგანოების მეშვეობით გამოდის, აგრეთვე საჯარო სამართლებრივ კორპორაციები (მუნიციპალიტეტი, საქებრეგო, საქვანო, ეროვნული ბანკი და სხვა), საჯარო სამართლებრივი დაწესებულებები (სახელმწიფო ტელერადიო, სახელმწიფო ბიბლიოთეკა და ა.შ.) და სხვა.

კერძო სამართლის იურიდიული პირები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებად. კომერციულ იურიდიულ პირებს განეკუთვნება მეწარმეობის შესახებ კანონით გათვალისწინებული საწარმოთა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება და სხვა. არაკომერციულ იურიდიულ პირებს კი განეკუთვნება ფონდები და კავშირები.

იურიდიულ პირებს, ისევე როგორც ფიზიკურ პირებს, გააჩნიათ უფლებებუნარიანობა და ქმედუნარიანობა. თუ ფიზიკური პირის უფლებებუნარიანობა და ქმედუნარიანობა სხვადასხვა დროს წარმოიშობა, განსხვავებით ფიზიკური პირისა, იურიდიული პირის უფლებებუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად აღმოცენდება და ეს მომენტი დაკავშირებულია იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის ოფიციალურად წარმოშობასთან.

უპირველესი წინაპირობა იურიდიული პირის უფლებებუნარიანობის და ქმედუნარიანობისა არის ის, ცნობს თუ არა კონკრეტული ქვეყნის სამართალი ამ ორგანიზებულ წარმონაკმშს იურადიულ პირად. ამის შემდეგ სამართალი აწესრიგებს იურიდიული პირის დაფუძნებასთან დაკავშირებულ პროცესებს, როგორცაა: დამფუძნებელი დოკუმენტების შედგენა, მათი ხელისმომწერა, სანოტარო წესით დამოწმება და ა.შ. იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის წარმოშობას, ეწევა ქვეყნის სამართალი კონკრეტულ გარემოებას უკავშირებს. მგ. საფრანგეთის სამართლის მიხედვით, საჯარო საზოგადოების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი რეგისტრაცია, ხოლო კავშირების წარმოშობისათვის - წესდების წარდგენა მმართველობის ორგანოში და წესდების გამოქვეყნება პრესაში.

სხვადასხვა ქვეყნის სამართალი, ასევე არაერთგვაროვნად წვევს იურიდიული პირის უფლებებუნარიანობისა და ქმედუნარიანობის საკითხებს. ეს ენება არა მარტო განსხვავებული სისტემის მქონე ქვეყნებს, არამედ თვით კონტინენტური ევროპის სამართლის წარმომადგენელ სახელმწიფოებსაც. კერძონული სამართლის წრის ქვეყნები (ავსტრია, გერმანია, შვეიცარია) აღიარებენ იურიდიული პირის ზოგადი უფლებებუნარიანობის პრინციპს.

საქართველოს ახალი სამოქალაქო კანონმდებლობითაც, ზოგადი უფლებებუნარიანობის ანსტიტუტია განმტკიცებული ამ თეორიის

თანახმად, იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განაზოროციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში აღნიშნული. ზოგადი უფლებაუნარიანობა გულისხმობს იმას, რომ იურიდიული პირი შეიძლება იყოს როგორც ნივთების, ასევე უფლებებისა და მოთხოვნების მესაკუთრე. მემკვიდრე კომპერციული იურიდიული პირის პარტნიორსა და სხვა.

ინგლის-ამერიკული სამართლის ქვეყნებსა და კონტინენტური სამართლის ზოგ ქვეყანაში (მაგ. საფრანგეთი), იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ფარგლები შეზღუდულია წესდებით ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებით. ამით ამ ქვეყნების სამოქალაქო სამართალი განაშტეტებს სპეციალურა უფლებაუნარიანობის პრინციპს. იურიდიული პირების მიმართ შეიძლება გარკვეული სიძველე წარმოიქმნას სასამართლო პრაქტიკაში, რადგან ამ შემთხვევაში საწარმოებს, წესდებაში პირდაპირ გაუთვალისწინებელი სამეურნეო საქმიანობის განხორციელების საშუალება არა აქვთ. ამას კი, შესაძლებელია, გეონომიკური ურთიერთობების თავისუფლად განვითარებაც შეაფერხოს. ამ და სხვა მიზეზების გამო თქვა უარი საქართველომ სპეციალურა უფლებაუნარიანობის პრინციპზე და კანონმდებლობით ზოგადი უფლებაუნარიანობა განაშტეტა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ისეთივე უფლებაუნარიანობა აქვთ, როგორც ფიზიკურ პირებს. ამ ქვეყნების სამართალი იურიდიულ პირებს უფლებაუნარიანობას ანიჭებს, როგორც ქონებრივ, ასევე პირად ურთიერთობათა სუერისში. ამით იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა ფორმალურად გაიგივებულია ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობასთან, რადგან იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა თავიზი მოცულობით განსხვავდება ფიზიკური პირის აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტისაგან. ფიზიკურ პირს არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამოერთვას უფლებაუნარიანობა. მაშინ როდესაც იურიდიული პირისათვის ეს შესაძლებელია, თუ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, იურიდიული პირის მონაწილეობა საოჯახო ურთიერთობებში შეუძლებელია, განსხვავებით ფიზიკური პირისაგან¹.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, იურიდიული პირის პაროუნულ კანონად ითვლება ამ ქვეყნის სამართალი, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც (მუხლი 24).

იურიდიული პირის ადმინისტრაციის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის საფუძველზე განისაზღვრება:

1. ითვლება თუ არა ორგანიზაცია იურიდიულ პირად;
2. იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები;
3. იურიდიული პირის სახელწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
4. იურიდიული პირის შექმნისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის საკითხები;
5. იურიდიული პირის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები სამართალმემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით;
6. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის შინაარსი;
7. იურიდიული პირის მიერ სამოქალაქო უფლებების მოპოვების წესები და სამოქალაქო ვალდებულებების საკითხები;
8. შიდა იურიდიულ პირებთან ურთიერთობისმართება;
9. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, უცხოურ იურიდიულ პირებს წარედგინებათ ეროვნული რეჟიმი, რაც მის ნიშნავს, რომ ისინი სარგებლობენ საქართველოს იურიდიული პირების თანაბარი უფლებაუნარიანობითა და ქმელუნარიანობით. ამონაკლისი დაიშუება, თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს იურიდიული პირების უფლებების შეზღუდვული ნორმები (მუხლი 21).

სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შემსუბუქების მიზნით და სხვა მონაწილეობაგან განსხვავების უზრუნველყოფად, იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი, რაც შესაძლებლობას აძლევს მას საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს ვარიეტები, იყოს მონარჩლე, მოპასუხე და ა.შ. ანუ იყოს ყველა იმ ურთიერთობების მონაწილე, რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა ანიჭებს.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, იურიდიული პირის სალირში სახელწოდების საკითხი, ისევე როგორც

1. ლადო ქანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში გამოცემლობა „სამართალი“. თბ., 1997 წ. გვ. 225.

მისი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, იურიდიული პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მახედავად განისაზღვრება (მუხლი 26).

საკუთარი სახელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ადგენს თუ რომელი ქვეყნის სამართლით წესრეგდება იურიდიული პირის ფორმის სახელწოდების საკითხი. კანონი ამ დროს გადაწყვეტს მნიშვნელობას ანიჭებს იურიდიული პირის ადმინისტრაციის ფაქტობრივ ადგილსამყოფელს. იურიდიული პირის საფიქრო სახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხების უშუალოდ გადაწყვეტის წესს კი შეწარმოთა შესახებ კანონი შეიცავს.

§2 უცხოური იურიდიული პირები საქართველოში

საქართველოში უცხოური იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც არსებობს საქართველოსა და შესაბამის ქვეყნებს შორის.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის განსაზღვრა ხდება მისი ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი ქვეყნის მიხედვით.

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ის უცხოური იურიდიული პირები, რომელთა ადმინისტრაციის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია, თავისი საქმიანობის განხორციელებას უნდა დაემორჩილოს ჩვენი კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს.

იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც შეადგენს სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, უნდა შეექმნას მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით (საქართველოს საბოქალაქო კოდექსი, მუხლი 29).

საბჭოთა წყობილების დროს, საბჭოთა სახელშეკრულებო პრაქტიკაში გამოიყენებოდა იურიდიული პირის „ეროვნულობის“ განსაზღვრის ორი კრიტერიუმი: იურიდიული პირის დაფუძნებისა და მისი მდებარეობის ადგილი. სავაჭრო ხელშეკრულებებში განისაზღვრებოდა იურიდიული პირის „ეროვნულობის“ და მისი სამართალსუბიექტობის ურთიერთდღიარების საკითხები. ამასთან, ხელშეკრულებებში გათვალისწინებული აყო წესები იურიდიული პირის

მიმართ ეროვნული ან უპირატესობის მინიჭების რეჟიმის დაწესების შესახებ, როდესაც ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანასთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინება უპირატესობის მინიჭების რეჟიმი ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ქვეყნის იურიდიული პირების მიმართ გამოიყენებოდეს ერთნაირი წესები, რომელშიც ქვეყნის იურიდიული პირის დამკრიმინაცია, უპირატესობის მინიჭების რეჟიმის პრინციპებიდან გამომდინარე დაუშვებელია.

საბჭოთა წყობილების დროს, უცხოურ იურიდიულ პირებს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის სჭირდებოდათ სპეციალური ნებართვა. ეს წესი აყურებდა უცხოური კაპიტალის შემოჭრას საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში. თუმცა სპეციალური ნებართვისა და კონტროლის დაწესებით, სანებართვო წესი არ გამოირცხავდა ეროვნული ფირმების მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განსაზღვრული სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას.

ამჟამად უცხოურ იურიდიულ პირებს თავიანთი საქმიანობის წარმართვის მიზნით, უფლება აქვთ საქართველოს იურიდიულ პირებთან, ყოველგვარი სპეციალური ნებართვის გარეშე, დადონ სავაჭრო გარიგებები და განახორციელონ მასთან დაკავშირებული საახგარიშსწორებო, დაზღვევისა და სხვა ოპერაციები. უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი კანონიერი ინტერესები სასამართლოში.

საქართველოში უცხოური იურიდიული პირები სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაემორჩილონ ჩვენი კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს, ასევე საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პირობებს.

უცხოურ იურიდიულ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლიათ შექმნან თავიანთი ფილიალები.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, უცხოელებს შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე, მეწარმეობის შესახებ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი უორმებით განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტება შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული პირები, ასევე უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები. მეწარმეობის სტატუსი მთაბოვება კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე. საქართველოს საბოქალაქო სამართლით იურიდიული პირის რეგისტრაციის ფაქტს კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

§3 სახელმწიფო, როგორც ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტი

სახელმწიფო უცხო ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან იურიდიულ პირებსა და უცხოელ მოქალაქეებთან ქონებრივი ურთიერთობების დამყარების პროცესში გამოდის სუბიექტის სახით. ეს განპირობებულია ქვეყნებს შორის ეკონომიკის მეცნიერებისა და კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებით.

საერთაშორისო ქონებრივი ურთიერთობები, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს ჩვეულებრივ ორ გვერდში იყოფა: პირველში შედის ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა სუვერენულ სახელმწიფოებს, ასევე სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ეკონომიკის, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურულ თუ საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში. მეორეა სამართლებრივი ურთიერთობები, რომელშიც სახელმწიფო გამოდის როგორც ერთი მხარე, მეორე მხარე ასეთ სამართალურთიერთობებში შეიძლება იყოს უცხოური იურიდიული პირები, საერთაშორისო სამეურნეო არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული მოქალაქეები.

პირველი რიგის ურთიერთობები რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმებით და თუმცა ისინი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე სახის ურთიერთობებთან, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში არ შედის. რაც შეეხება მეორე სახის ურთიერთობებს ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საქონლის მიწოდებასთან, სხვადასხვა სახის მომსახურების ვაწევასთან და ა. შ. სახელმწიფო შეიძლება გამოვიდეს სუბიექტის სახით ისეთ ურთიერთობებში, რომელიც დაკავშირებულია სესხთან, ობლიგაციების გამოშვებასთან რომლებიც უცხოელებზე გაიყიდება. სახელმწიფო შეიძლება გამოვიდეს მხარედ საინვესტიციო და საკონცესიო ურთიერთობებში. სახელმწიფო სუბიექტად გამოდის ასევე ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც დაკავშირებულია საზღვარგარეთ მშენებლობასთან, მიწის არენდით აღებასთან ან ბინის დაქირავებასთან. გველა შემთხვევაში ეს ვარიეტეტები იდება ხავაჭრო წარმომადგენლობების ან საელჩოების მიერ სახელმწიფოს სახელით. შესაძლებელია სახელმწიფო გამოვიდეს ბეთაღმანი ქონების მემკვიდრედ, რომელიც ღარჩა ამ სახელმწიფოს ვარდაცვლილ მოქალაქეს საზღვარგარეთ ან შესაკუთრედ ანდერძის საფუძველზე.

საბჭოთა სამოქალაქო სამართალში სახელმწიფო სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტად იყო აღიარებული. ამას განაპირობებდა ის, რომ სახელმწიფო სამართლებრივ ურთიერთობებში ხელისუფლებითი ხასიათის ფუნქციებს ახორციელებდა და მრავალი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტით (იპერატიული მართვა, კონტრაქტაცია, მიწოდებები), ერეოდა თავისი ხასიათით კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. იყოს საბჭოთა სახელმწიფოს არსიდან გამომდინარე, ფაქტურად, საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში, ხელისუფლებითი ელემენტების გარეშე შეუძლებელი იყო (ლ. ვანტურია).

იურიდიულ ლიტერატურაში რიგ ავტორთა მიერ (მ. ბოგუსლავსკი) გაკრიტიკებულია დასავლეთის ქვეყნებს ლიტერატურაში წინა პლანზე წამოწეული თეორია „სახელმწიფოს დაყოფის (გახლეჩის) შესახებ“. რომლის მიხედვით, სახელმწიფო შეიძლება ითქვას ორსახოვანია. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო, როგორც ხელისუფლებას სუბიექტი, თავისი სუვერენიტეტის ძალით მოქმედებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, გამოდის რა ქონებრივ ურთიერთობებში სუბიექტის სახით, თვითონვე იურიდიული პირი და ურთიერთობებში გამოდის მისი მემკვიდრით. ავტორთა შეხედულებით, სახელმწიფო არ არის იურიდიული პირი. ის ქონებრივ ურთიერთობებში, გამოდის როგორც სამართლის განსაკუთრებული სუბიექტი. იურიდიული პირის კატეგორია, ეს არის სახელმწიფოს ეროვნული სამართლის კატეგორია. თვითონ სახელმწიფო განსაზღვრავს, რომელი ორგანიზებული წარმონაქმნი წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო იმისათვის, რომ სახელმწიფო იქცეს იურიდიულ პირად, საჭიროა შესახელმწიფოებრივი ორგანო, მსოფლიო მთავრობა, რომელიც არ არსებობს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვითარება არსებითად იცვლება. მართალია, ამ დროს სახელმწიფოს ხელისუფლებითი უფლებამოსილება არ ერთმევა მაგრამ, ეს კონსტიტუციური სამართალია და არა სამოქალაქო სამართლის სფერო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ისევე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი და არაფრთა განსხვავდება კერძო სამართლის სხვა

1. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., перераб. и доп. - М. Юрист 1998-408 с. с. 149-150.

იურიდიული პირებისაგან. ამასთან, სახელმწიფოს მონაწილეობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მეტად თავისებურია: ერთის მხრივ იგი არის კანონმდებელიც, უზენაესი პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი და მეორე მხრივ — ურთიერთობათა რიგითი მონაწილე

§4 იურიდიული პირების მონაწილეობა საერთაშორისო სამეურნეო საქმიანობაში და მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილების განსაზღვრა

1. საერთაშორისო მონოპოლიების სახეები. თანამედროვე პირობებში უმსხვილესი იურიდიული პირების სამეურნეო საქმიანობა ერთი რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებით არ არის შემოსაზღვრული, კაპიტალის ექსპორტის პირობებში კონკრეტულ სახელმწიფოში შექმნილი ორგანიზაცია, შესაძლებელია, მოღიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნოდეს მეორე სახელმწიფოს კომპანიას. ამ იურიდიულ პირთა რიცხვი, რომლებიც სხვა ქვეყნის საზღვრებში ეწევიან სამეურნეო თუ სხვა ხასის საქმიანობას, სასტატისტიკურად ასრდება.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში, მსოფლიოს სამასი საერთაშორისო კორპორაცია იყო. 1980 წლისათვის მსხვილ კორპორაციათა რიცხვი ოცდათხუთმეტ ათასამდე გაიზარდა, ასსამოცდაათი ათასი საზღვარგარეთული ფილიალით.

„საერთაშორისო მონოპოლიები ისეთი კორპორაციებია, რომელთა საწარმო და სავაჭრო-გასაღები საქმიანობა თავისი სტრუქტურული ერთეულებით (ფილიალებით, შვილობილი და შვილიშვილი კომპანიებით) კონკრეტული ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებს სცილდება და აქტიურად იყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილების ობიექტურ ტენდენციებსა და მსოფლიოს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებულ პროცესებს“¹.

თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ტრანსეროვნული კორპორაციების ტერმინოლოგიის სხვადასხვაობას თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი შეხედულებებია. აღნიშნული ტერმინის გარდა გვხვდება

1. ლალი ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში გამოცემლობა „სამართალი“ თბ., 1997 წ. გვ. 225.
2. გურამ ვოლია. საერთაშორისო ბიზნესი. გამოცემლობა „ინტელექტი“ თბ., 1996 წ., გვ. 15.

გლობალური, საერთაშორისო, მულტიეროვნული, სუპერეროვნული, ეთნოცენტრული, პოლიცენტრული, გეოცენტრული, ტრანსნაციონალური და სხვა სახელწოდება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთაშორისო მონოპოლიები, რომელთა საქმიანობა მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვან სფეროებს მოიცავს, რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

პირველ ჯგუფში შედის ეროვნული საზოგადოებები, ტრესტები, კომპანიები, რომლებიც თავიანთი კაპიტალით ეროვნულია, მაგრამ საქმიანობას ახორციელებენ საერთაშორისო მასშტაბით. ასეთ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს წარმოადგენს ამერიკის „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდ მოტორსი“, „ინტერნეშნლ ბიზნეს მეშინზი“ და სხვა.

ეუროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მსხვილ საერთაშორისო მონოპოლიურ კორპორაციებს წარმოადგენენ: „ფოლქსვაგენი“, „სიმენსი“ (გერმანია), „ფილიპსი“ (ნიდერლანდები), „ნესტლე“ (შვეიცარია).

ტრანსნაციონალურ კორპორაციების მეორე ჯგუფში შედის ტრესტები და კონცერნები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებად ითვლებიან არა მარტო სამეურნეო საქმიანობის სფეროს მიხედვით, არამედ კაპიტალის მხრივაც.

პირველი ჯგუფის მონოპოლიებისაგან განსხვავებით, მათ ეკუთვნის რამდენიმე ქვეყნის კაპიტალი. ასეთია ინგლის-პოლანდიის ნავთობის კონცერნი „როიალ დან/შელი“. ინგლის-ამერიკა-კანადის ტრესტი „ინტერნეშნლ ნიკლ კომპანი ოფ კენედა“. გერმანია — ბელგიის ფოტო-ქიმიური საკონლის ტრესტი „ალფა-გვევრტი“.

XX საუკუნის პირველ ნახევარსა და შემდგომ 60-იანი წლებში, მსოფლიო ნავთობის ინდუსტრიაში ვაბატონდა უდიდესი საერთაშორისო ნავთობკომპანიები (ე.წ. „შვიდი და“). პრაქტიკულად ის კომპანიები აკონტროლებენ ნავთობის ოპერაციების ყველა ეტაპს. ისინი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მუსეურთა დამოკიდებულად იღებენ გადაწყვეტილებებს მებნა-ჭიების და მოპოვების ხილდის, ახალი საბადოების განვითარების, მოპოვებულ ნავთობის ტრანსპორტირების, ტრანსნაციონალის დაქირავების, პანუხისმგებლობის განსაზღვრისა და სხვა საკითხებზე.

ზემოთ დასახელებული კორპორაციებიხათვის საერთო სამანასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ისინი შექმნილია, როგორც ერთი კონკრეტული ქვეყნის იურიდიული პირები, თუმცა

აღნიშნული ტერმინი გამოიყენება მათ ოფიციალურ სახელწოდებებში როგორც პირველ, ასევე მეორე ჯგუფის მონოპოლიტებს უცხო ქვეყანას გააჩნიათ მრავალრიცხოვანი ფილიალები, განყოფილებები, ასევე შეიღობილი ამხანაგობები.

საერთაშორისო მონოპოლიტებს შესაძლებელია შეეკუთვნება მრავალრიცხოვანი კარტელები და ხინდიკატები, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო ხასიათის გაერთიანებები, რომლებიც ოურიდიულ პირებად არ ითვლებიან.

ხშირად, საერთაშორისო მონოპოლიტები, რომელთაც მთლიანად ეკუთვნის კომპანიები, კონკრეტულ ქვეყანაში დამოუკიდებელი ოურიდიული პირის ფორმით ფაქტობრივად, რომ მათ მიმართ გავრცელდეს ადგილობრივი კანონმდებლობა, განსაკუთრებით საგადასახადო წესებს ეს ამ შემთხვევაში, როცა მისი პირობები უფრო შედგათიანია „ადგილობრივი“ კომპანიებისათვის, ვიდრე უცხოურისათვის.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ უცხო სახელმწიფოების შექმნილი ფილიალები არ წარმოადგენენ ოურიდიულ პირებს და შესაბამისად, არა აქვთ თავისი სახელით საქმიანობის წარმართვის უფლება. საზღვარგარეთულ საწარმოთ ფილიალის ვალდებულებების ჩვეულებრივ, შედის იმ სახის პროდუქციის გამოშვება და მისი ბაზარზე გასაღება, რომლითაც დედობილი ორგანიზაციაა დაინტერესებული. ტრანსნაციონალური კომპანიების ფილიალები თავიანთ საქმიანობას ეწევიან ოურიდიული პირის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

საერთაშორისო სფეროში კაპიტალის ექსპორტის კიდევ ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ერთობლივი ამხანაგობები, რომლებიც იქმნება წილობრივ საწივებზე, ადგილობრივ კაპიტალსა და სხვა ქვეყნების ფირმების კაპიტალის მონაწილეობით.

საერთაშორისო კერძო სამართალში ერთობლივ (შერეულ) ამხანაგობებად იწოდებიან სავაჭრო ამხანაგობები და სამრეწველო ორგანიზაციები, რომლის კაპიტალი ეკუთვნის სხვადასხვა სახელმწიფოს ფიზიკურ და ოურიდიულ პირებს.

თანამედროვე საერთაშორისო დოქტრინა საერთაშორისო ოურიდიულ პირებად მიიჩნევს ისეთებს, რომლებიც უშუალოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილი (მაგ. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი) ან შექმნილია რამდენიმე სახელმწიფოს შიდაკანონმდებლობის საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად (მაგალითად, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი).

„ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ“ სახელმწიფოთა 1974 წლის ქარტია ითვალისწინებს, რომ ყველა ქვეყანას უფლება აქვს, თავისი იურიდიქციის მოქმედების ფარგლებში, მოაწესრიგოს და გააკონტროლოს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა. ამ ქარტიაში, რომელიც მიღებულია რეზოლუციის სახით გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, გამოხატულია განვითარებადი ქვეყნების მისწრაფება, დაიცვას თავიანთი ეკონომიკა ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენისაგან.

2. ოურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის აუცილებლობა. საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობების პროცესში საჭირო ხდება ოურიდიული პირის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი საკითხების დადგენა. მაგალითად, თუ სავაჭრო ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია, რომ შეთანხმებაში მონაწილე მხარე ქვეყნებს წარედგინებთ უპირატესი ხელისშეწყობის რეჟიმის წესები ან ეროვნული რეჟიმი, ამ შემთხვევაში საჭიროა დაგადგინოთ, რომელი ორგანიზაციული წარმონაქმნი ითვლება ამ ქვეყნებში ოურიდიულ პირად. რადგან არის შემთხვევები, რომ ერთ ქვეყანაში რომელიღაც წარმონაქმნი მიჩნეულია ოურიდიულ პირად, ხოლო მეორე ქვეყანაში ის განიხილება, როგორც ფიზიკური პირების უბრალო ერთობლიობა. მაგალითად, ინგლისური „პარტნერ შიპ“ („სრული ამხანაგობა“), ინგლისის სამართლით არ ითვლება ოურიდიულ პირად, ხოლო საფრანგეთის კანონმდებლობით მსგავსი წარმონაქმნი წარმოადგენს ოურიდიულ პირს. ვინაიდან, ოურიდიული პირის არსებობის მთავარი პირობა მისი საკანონმდებლო ლეგიტიმაციაა, მოქმედი კანონმდებლობა ამა თუ იმ წარმონაქმნს უნდა მიიჩნევდეს ოურიდიულ პირად. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ იქნება ოურიდიული პირი.

საერთაშორისო კერძო სამართლის კლასიკური დოქტრინა ორგანიზაციული წარმოქმნის პიროვნულ კანონს განსაზღვრავს მისი სახელმწიფოებრივი კუთვნილების, მასი „ეროვნულობის“ საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ეროვნული“ საერთაშორისო კერძო სამართალში ოურიდიული პირის მიმართ ერთგვარ პირობით ხასიათის ატარებს და მისი შიშვენელობა განსხვავდება ფიზიკური პირის მიმართ გამოყენებული ანალოგიური ტერმინისაგან.

ოურიდიული პირის „პროვნული კანონი“ იძლევა მასუნს კითხვაზე, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის წარმონაქმნი ოურიდიულ პირს, თუ

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ამხანაგობის „პიროვნული კანონი“ იქნება ინგლისის კანონი, მაშინ ასეთი ამხანაგობა არ იქნება იურიდიული პირი, ხოლო, თუ წარმონაქმნის პიროვნულ კანონს წარმოადგენს საფრანგეთის კანონი, მაშინ ის მიჩნეული იქნება იურიდიულ პირად იურიდიული პირის პიროვნული კანონით (სტატუტით) განისაზღვრება ისეთი სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა იურიდიული პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მოცულობა, მისი ლიკვიდაციის წესა და პირობები ამიტომ, პიროვნული კანონის დადგენას დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს.

ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრის გაბატონებულ კრიტერიუმად ითვლება მისი დაფუძნების ადგილი ანუ იმ ქვეყნის კანონი, სადაც იურიდიული პირია შექმნილი და დამტკიცებულია მისი წესდება. ინგლისში ამ წესს უწოდებენ „ინკორპორაციის კანონს“. ამდენად, თუ იურიდიული პირი დიდ ბრიტანეთშია დაფუძნებული და მისი წესდება იქ არის რეგისტრირებული, მაშინ ითვლება, რომ ეს იურიდიული პირი ეკუთვნის ინგლისს (ინკორპორაციის პრინციპი).

დასავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებში გამოიყენება იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრის სხვა პრინციპი. ამ ქვეყნებს გაბატონებული ტენდენციის თანახმად, იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრას კრიტერიუმად მიჩნეულია იურიდიული პირის მდებარეობის ადგილი. იურიდიული პირის მდებარეობის ადგილად მიიჩნევა ის ადგილი, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაცია იმყოფება. ეს პრინციპი გამოიყენება საფრანგეთში, გერმანიაში, აგრეთვე საქართველოში.

